



საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი

პროფესიული სტანდარტები და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები
სსმ-ის პროგრამებში

2006

წინათქმა

ჩვენი მიზანია, საზოგადოებას შევთავაზოთ მაღალი ხარისხის პროგრამები და გავხდეთ ყველაზე სანდო მაუწყებელი. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ ვხელმძღვანელობთ უმაღლესი პროფესიული სტანდარტებით და ეთიკური პრინციპებით.

ჩვენ ვისწრაფვით დავიცვათ:

სიზუსტე – დავადგინოთ სიმართლე და ზუსტად ავსახოთ მიმდინარე მოვლენები. დავეყრდნოთ უტყუარ ფაქტებს, ზუსტ მონაცემებს და სანდო წყაროებს. არ შევიყვანოთ შეცდომაში აუდიტორია შემოწმებელი ინფორმაციის გავრცელებით.

მიუკერძოებლობა - ვიყოთ მიუკერძოებლები. შევისწავლოთ და სამართლიანად ავსახოთ განსხვავებული პოზიციები საკამათო საკითხის შესახებ. დავიცვათ ბალანსი და არ გამოვხატოთ არც ერთი პოზიციის მხარდაჭერა. უყურადღებოდ არ დავტოვოთ არც ერთი საგულისხმო და ღირებული აზრი.

სარედაქციო დამოუკიდებლობა - დავიცვათ სარედაქციო დამოუკიდებლობა და მივიღოთ პოლიტიკური, კომერციული თუ სხვა ინტერესებისგან თავისუფალი გადაწყვეტილებები. ჩვენი ქმედებით არ შევლახოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

კეთილსინდისიერება - კეთილსინდისიერად და თავაზიანად მოვექცეთ რესპონდენტს. მივცეთ მას პასუხის გაცემის საშუალება. ლოგიკური დასაბუთების შემთხვევაში, დავიცვათ რესპონდენტის ანონიმურობა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - პატივი ვცეთ და არ დავარღვიოთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. დაუსაბუთებლად, საზოგადოებრივი ინტერესის გარეშე, არ ვაქციოთ ინდივიდის პირადი ცხოვრების დეტალები საჯარო მსჯელობის საგნად.

საზოგადოებრივი ფასეულობები – სამართლიანად ავსახოთ სინამდვილე, ადამიანური გამოცდილების დადებითი და უარყოფითი ასპექტები, მაგრამ პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ისეთი საკითხების გაშუქებას, რომლებიც საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისთვის შეიძლება საზიანო ან შეურაცხმყოფელი იყოს.

ბავშვები - ვიზრუნოთ არასრულწლოვანთა განვითარებაზე. დავიცვათ ბავშვები მათთვის საზიანო და შეუფერებელი მასალისაგან.

მრავალშეროვნება - სამართლიანად გავაშუქოთ ქვეყანაში მცხოვრებ უმცირესობებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებული თემები.

თანასწორობა – არ დავუშვათ ადამიანთა დისკრიმინაცია რელიგიური, ეთნიკური, რასობრივი, გენდერული თუ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით

ანბარიშვალდებულება – ვიხელმძღვანელოთ საზოგადოების ინტერესებით. დავეხმაროთ მას ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში. მოვუსმინოთ მათ რჩევებს და პრეტენზიებს. დაუფარავად და დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ შეცდომები. მუდამ გვახსოვდეს, რომ

ჩვენ ვმუშაობთ საზოგადოებისთვის და საზოგადოებასთან ერთად

შესავალი

ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების და ინსტიტუტების დამკვიდრებისთვის კარგად ინფორმირებული საზოგადოებაა საჭირო, საზოგადოება კი ვერ იქნება სათანადოდ ინფორმირებული ხარისხიანი მაუწყებლობის გარეშე.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გარანტიანია იმისა, რომ საზოგადოებამ ინფორმაცია მიიღოს. მაგრამ მოქალაქეთა უფლებას, მიიღონ ხარისხიანი ინფორმაცია, მარტო სიტყვის თავისუფლების დამცავი კანონები ვერ უზრუნველყოფს.

ეს შესაძლებელია მხოლოდ მჭიდრო ურთიერთკავშირით ჟურნალისტებსა და აუდიტორიას შორის. ამის მისაღწევად ჟურნალისტებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ისინი ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების და არა ინფორმაციის წყაროების წინაშე, ისინი უნდა გრძნობდნენ პასუხისმგებლობას იმ ინფორმაციაზე, რომელსაც მოსახლეობას აწვდიან. თავის მხრივ, საზოგადოებამ, ხარისხიანი ინფორმაცია რომ მიიღოს და კარგად იყოს ინფორმირებული, უნდა იცოდეს, რა ევალუა და მოეთხოვება ჟურნალისტს.

ეთიკის კოდექსი ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების - ერთის მხრივ, ჟურნალისტის პასუხისმგებლობის და, მეორე მხრივ, საზოგადოების მიერ ამ პასუხისმგებლობის გაკონტროლების - ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

წინამდებარე ქცევის კოდექსი ამგვარი ინსტრუმენტის შექმნის პირველი მცდელობაა საქართველოს სამაუწყებლო სივრცეში. იგი ორიენტირებულია როგორც მომხმარებლის უფლებების, ასევე მაუწყებლისა და მისი ჟურნალისტების უფლებების დაცვაზე.

წინამდებარე კოდექსი არც ხისტი წესების კრებულია და არც ეთიკის სახელმძღვანელო. იგი მოიცავს ძირითად პროფესიულ სტანდარტებსა და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპებს, რომლებითაც სსმ-ის თანამშრომლები იხელმძღვანელებენ. შეუძლებელი იქნებოდა კოდექსში ჟურნალისტის საქმიანობის ყველა ასპექტისა თუ დეტალის ასახვა, ასევე შეუძლებელი იქნებოდა ყველა იმ ვითარების გათვალისწინება, რომელშიც შეიძლება ჟურნალისტი აღმოჩნდეს. ქცევის კოდექსი არ წარმოადგენს ზუსტი, მათემატიკური ფორმულების ნაკრებს, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში გამოდგებოდა და ჟურნალისტს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებოდა. გადაწყვეტილება, საბოლოო ჯამში, ისევ ჟურნალისტის შინაგან ეთიკასა და პროფესიულ ინტუიციაზეა დამოკიდებული. უბრალოდ, წინამდებარე კოდექსი ერთგვარი გზამკვლევაა, რომელიც ჟურნალისტს, მის შინაგან ეთიკასა და ინტუიციასთან ერთად, კონკრეტულ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების მიღებაში შეუწყობს ხელს.

ბუნებრივია, სსმ-ის ქცევის კოდექსი სტატიკური დოკუმენტი არ არის. იგი მუდმივად განახლდება და გადაისინჯება, რათა ფეხი აუწყოს განვითარებას, და პრაქტიკაში გამოყენების პარალელურად დაიხვეწება.

სარჩევნო

1. პროფესიული სტანდარტები

- 1.1 სიზუსტე
- 1.2 მიუკერძოებლობა
- 1.3 სარედაქციო დამოუკიდებლობა
- 1.4 ენა
- 1.5 სამართლიანობა და პასუხის უფლება
- 1.6 ანგარიშვალდებულება
- 1.7 კეთილსინდისიერი ურთიერთობა რესპონდენტთან, გადაცემის მონაწილესთან

2. მრავალფეროვნება და ბალანსი

- 2.1 საკითხთა მრავალფეროვნება
- 2.2 მოსაზრებათა მრავალფეროვნება
- 2.3 ინფორმაციის ბალანსი
- 2.4 ინფორმაციის ბალანსი ცალკეულ გადაცემებში
- 2.5 ინფორმაციის ბალანსი გადაცემათა ციკლში
- 2.6 ინფორმაციის ბალანსი საინფორმაციო გადაცემებში
- 2.7 ბალანსი საავტორო გადაცემებში

3. არჩევნების გაშუქება

- 3.1 არჩევნების გაშუქების წესები
- 3.2 პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები
- 3.3 ინფორმაციის ბალანსი არჩევნების გაშუქებაში
- 3.4 კანდიდატები წამყვანის როლში ან არაპოლიტიკურ გადაცემებში
- 3.5 პასუხის უფლება
- 3.6 ამომრჩევლის გაშუქება
- 3.7 დებატები
- 3.8 საეთერო დროის გამოყოფა, პოლიტიკური რეკლამა
- 3.9 არჩევნების დღის გაშუქება
- 3.10 არჩევნების შედეგების გაშუქება
- 3.11 საზოგადოებრივი აზრის კვლევა

4. პოლიტიკური საკითხების, კარლამენტის და პოლიტიკოსების გაშუქება

- 4.1 საპარლამენტო მასალის გამოყენება და საპარლამენტო სესიების გადაცემა
- 4.2 პოლიტიკური პარტიების გაშუქება
- 4.3 პოლიტიკური ინტერვიუ

5. ინფორმაციის მოპოვება

- 5.1 ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები
- 5.2 კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა
- 5.3 პირადი კომუნიკაცია

6. პირადი ცხოვრების ხელშეშლებლობა

- 6.1 პირადი და საჯარო ცხოვრება
- 6.2 თანხმობის მიღება
- 6.3 საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები
- 6.4 მასალის მომზადება კერძო ტერიტორიაზე
- 6.5 ინტერვიუ წინასწარი შეთანხმების გარეშე

- 6.6 ჩაწერა წინასწარი შეთანხმების გარეშე გასართობი ხასიათის პროგრამებისთვის
- 6.7 ექვმიტანილის ვინაობა
- 6.8 ბრალდებულის ვინაობა
- 6.9 ექვმიტანილის/ბრალდებულის ახლობლების ვინაობა
- 6.10 დანაშაულის მსხვერპლის ვინაობა
- 6.11 მწუხარების და ტრაგიკული მოვლენების გაშუქება
- 6.12 სათვალთვალო კამერებით გადაღებული მასალა

7. თანხის გადახდა ინფორმაციის წყაროებისათვის

8. საბანგებო მოვლენები

- 8.1 საგანგებო მოვლენების გაშუქება
- 8.2 დემონსტრაციები
- 8.3 სამოქალაქო არეულობა
- 8.4 ტერორისტული აქტები
- 8.5 შეიარაღებული კონფლიქტი
- 8.6 მუქარა და ცრუ შეტყობინებები
- 8.7 გატაცება, მძევლად აყვანა, ალყა
- 8.8 საგანგებო მდგომარეობა

9. დანაშაული და ანტისაზოგადოებრივი ქმედება

- 9.1 დანაშაულის გაშუქება
- 9.2 დანაშაულის სურათის აღდგენა
- 9.3 კანონსაწინააღმდეგო ქმედების თვითმხილველობა
- 9.4 უკანონო ქმედებების დემონსტრირება
- 9.5 საშიში დამნაშავეები
- 9.6 დამნაშავეის ოჯახი
- 9.7 ინტერვიუ მოწმეებთან ან პოტენციურ მოწმეებთან
- 9.8 ინტერვიუ პატიმრებთან

10. რეიდებზე დასწრება

11. ინფორმაციის მოკოვების უარული მეთოდები

- 11.1 ფარული ჩაწერა
- 11.2 სიცრუე, ვინაობის და პროფესიის დამალვა

12. საბამოძიებო უპრნალისტიკა

13. ინფორმაციის დამუშავება

- 13.1 პროგრამის წამყვანები და ინტერვიუერები
- 13.2 რესპონდენტები და მოწვეული სტუმრები
- 13.3 რედაქტირება, მონტაჟი
 - 13.3.1 ინტერვიუების რედაქტირება
 - 13.3.2 სპეცეფექტების გამოყენება
 - 13.3.3 კადრის კომპოზიცია, კამერის რაკურსის
- 13.4 მოვლენების რეკონსტრუქცია
- 13.5 არქივის მასალა
 - 13.5.1 არქივის მასალის ნიშანდობა
 - 13.5.2 პირადი მწუხარებისა და ტრაგედიის ამსახველი საარქივო მასალა
 - 13.5.3 დანაშაულის ამსახველი საარქივო მასალა

- 13.6 გადაცემის გამეორება
- 13.7 სატირა

14. აუდიტორიის პატივისცემა

- 14.1 დახვეწილი გემოვნება
- 14.2 აუდიტორიის მოლოდინი
- 14.3 გამაფრთხილებელი განცხადებები
- 14.4 ტელევიზია და წყალგამყოფი
- 14.5 რადიო
- 14.6 ანონსების განრიგი
- 14.7 ძალადობა
- 14.8 სექსი და ნუდიზმი
- 14.9 შეურაცხმყოფელი ლექსიკა
- 14.10 ნარკოტიკების, ნიკოტინისა და ალკოჰოლის მოხმარება
- 14.11 თვითმკვლელობა, თვითმკვლელობის მცდელობა
- 14.12 ჰიპნოზი
- 14.13 ზებუნებრივი ძალა, ოკულტიზმი, პარანორმალური მოვლენები
- 14.14 შექენილი პროგრამები

15. მრავალფეროვნების ასახვა

- 15.1 ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები
- 15.2 უმცირესობების ნეგატიურად ასახვა
- 15.3 ეთნიკური/რელიგიური დაპირისპირების გაშუქება
- 15.4 რელიგიური პროგრამები
- 15.5 პოზიცია არატოლერანტობის მიმართ
- 15.6 ტერმინოლოგია
- 15.7 ქალები
- 15.8 უნარშეზღუდული ადამიანები
- 15.9 სექსუალური უმცირესობები
- 15.10 ხანდაზმულთა ასახვა

16 არასრულწლოვანები და ბავშვები

- 16.1 არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა
- 16.2 თანხმობა ბავშვების გაშუქებაზე
- 16.3 ბავშვების მონაწილეობა პროგრამებში
- 16.4 არასრულწლოვანთა ვინაობის გამჟღავნება
- 16.5 ბავშვები და სახიფათო იმიტაცია
- 16.6 ბავშვები და ინტერნეტი

17. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, ინტერაქტივი

- 17.1 საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გაშუქება
- 17.2 ინტერაქტიული გამოკითხვა
- 17.3 სატელეფონო ინტერაქტივი
- 17.4 ფორუმი ინტერნეტში

18. სტატისტიკისა და რისკის შესახებ ინფორმაციის ბავრცელება

19. კონკურსები და პრიზები

20. ჩარევა

- 20.1 მასალის შეჩერების მოთხოვნა
- 20.2 ვეტოს დადება
- 20.3 ცენზურა

21. რეკლამა და სპონსორობა

- 21.1 რეკლამის ეთიკური კრიტერიუმი
- 21.2 რეკლამირება და პოპულარიზაცია
- 21.3 პროდუქციის და მომსახურების მიმოხილვა
- 21.4 პროდუქციის განთავსება
- 21.5 ეთერში მომუშავე ჟურნალისტები და წამყვანები
- 21.6 პროგრამების სპონსორობა

22. ინტერესთა კონფლიქტი

- 22.1 პირადი საქმიანობა და ინტერესთა კონფლიქტი
- 22.2 ინტერესთა კონფლიქტის გაცხადება
- 22.3 პოლიტიკურ ან პროფესიულ ორგანიზაციებში გაერთიანება
- 22.4 ოჯახი და ინტერესთა კონფლიქტი
- 22.5 თანამდებობის გამოყენება
- 22.6 კონკურენტ მედია საშუალებაში გამოჩენა და მონაწილეობა
- 22.7 საქმიანობა მაუწყებლის გარეთ
- 22.8 საჩუქრები, სარგებელი, შეღავათები

23. საჩივრების ბანხილვა

24. კონსულტაცია

1. პროფესიული სტანდარტები

სიზუსტე

ნებისმიერი ფორმით გადმოცემული ახალი ამბავი უნდა ასახავდეს ფაქტებს და იყოს ზუსტი. დაუშვებელია არასწორი ან ნახევრად მართალი ინფორმაციის გავრცელება და აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა.

იმ შემთხვევაში, თუ მოვლენის თვითმხილველი თავად არ ხართ, ეცადეთ, ინფორმაცია პირველწყაროსგან მიიღოთ. თუ ეს შეუძლებელია, ინფორმაცია მოიპოვეთ თვითმხილველისგან, შეძლებისდაგვარად დააზუსტეთ სხვა (ალტერნატიულ) წყაროსთან და საჭიროების შემთხვევაში, მოიძიეთ ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ზუსტად და თანმიმდევრულად ჩაიწერეთ ინფორმაცია. შეინახეთ თემის შესახებ მოპოვებული ყველა ჩანაწერი, კორესპონდენცია, მასალა და დოკუმენტი. თუ ინფორმაცია მიღებული გაქვთ ანონიმური წყაროსგან, არც ერთ ჩანაწერში არ მიუთითოთ წყაროს ვინაობა.

ჟურნალისტს, რესპონდენტის ნებართვის გარეშე, შეუძლია ჩაიწეროს საუბარი პატარა კამერით ან ტელეფონით მხოლოდ ინფორმაციის ჩანიშვნის მიზნით. ელექტრონული ჩანაწერი უზრუნველყოფს რეპორტაჟის სიზუსტეს, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში, ობიექტური გამოძიებისთვის არის საჭირო. ნებისმიერი ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც ინფორმაციის ჩანიშვნის მიზნით კეთდება, როგორც წესი, ეთერში არ გადაიცემა. ასეთი ჩანაწერის ეთერში გაშვება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ძირითადად მაშინ, როდესაც ეს არა მაუწყებლის, არამედ საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

რეკომენდაცია

დააზუსტეთ ნებისმიერი ინფორმაცია (განსაკუთრებით, ინტერნეტის მეშვეობით მოპოვებული), პრესრელიზები, დოკუმენტები. დარწმუნდით ფაქტების სისწორეში. ყურადღება მიაქციეთ თარიღების, საკუთარი სახელების, სტატისტიკური მონაცემების და სხვ. სიზუსტეს. ერთ რეპორტაჟში დაშვებული შეცდომა შეიძლება სხვაგანაც გაიმეოროს. საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდით ინფორმაციის მომწოდებლებს, ავტორებს და დაადგინეთ მისი წარმომავლობა და უტყუარობა.

ენდეთ მხოლოდ ავტორიტეტულ ადგილობრივ ან საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოებს. ნუ დაეყრდნობით ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროს. თუ ინფორმაცია მნიშვნელოვანია და ვერ ახერხებთ მის დაზუსტებას, აღნიშნეთ, რომ იგი დაუზუსტებელია და მიუთითეთ წყარო. თუ ინფორმაცია სანდო კონფიდენციალური წყაროსაგან გაქვთ მიღებული, მიუთითეთ, რომ იგი მიღებულია სარწმუნო წყაროსგან. თავი აარიდეთ ისეთ ზოგად ფრაზებს, როგორებიცაა „რამდენადაც ცნობილია“, „როგორც ამბობენ“, სხვ.

არ დაამახინჯოთ ინფორმაცია ზედმეტი ან არასწორი მახვილებით, მნიშვნელოვანი დეტალების გამოტოვებით ან სხვადასხვა ტექნიკური მანიპულაციით.

პლაგიატი პროფესიული სტანდარტების უმნიშვნელოვანესი დარღვევაა. სხვისი მასალის გამოყენებისას აუცილებლად მიუთითეთ წყარო.

ფაქტობრივი შეცდომები უნდა გასწორდეს სწრაფად და საჯაროდ. მნიშვნელოვანი ფაქტობრივი შეცდომა საჯაროდ (ეთერში) აღიარეთ და სწრაფად გაასწორეთ. შეცდომის იგნორირება

მაყურებლის ნდობას დაგაკარგვინებთ. დროულად აღიარებული შეცდომა განაწყენებული მხარის პრეტენზიებისაგან დაგიცავთ.

მიუკერძოებლობა

ნებისმიერი ფორმით გადმოცემული ინფორმაცია უნდა იყოს მიუკერძოებელი. პროგრამებში უნდა აისახოს საკითხთან დაკავშირებით არსებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრი. დაუშვებელია მოსაზრებათა არასწორი ინტერპრეტირება, რომელიმე მნიშვნელოვანი პოზიციის შეგნებულად უგულებელყოფა ან არასრულად გაშუქება.

ინფორმაციის მიუკერძოებლობა საზოგადოების ობიექტური ინფორმირების საფუძველია. მიუკერძოებელია გადაცემა, როდესაც იგი არ ასახავს მოსაზრებათა ფართო სპექტრს, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად არის ტენდენციური, შენიღბული სახით გამოხატავს რომელიმე პირის (ჯგუფის, ორგანიზაციის) კერძო მოსაზრებებს.

ჟურნალისტი უნდა იყოს თავშეკავებული და კარგად ინფორმირებული, მის მიერ გადმოცემული მასალა კი ინფორმაციული და ამომწურავი. ფაქტები და შეხედულებები დაბალანსებულად უნდა გაშუქდეს. ყოველი მხარისა და პირის აზრი მიუკერძოებლად უნდა გადმოიცეს. საინფორმაციო პროგრამების მიუკერძოებლობა არა მხოლოდ საპირისპირო პოზიციების დაბალანსებული გაშუქებით, არამედ ყველა იმ გარემოების სრულფასოვანი აღწერით მიიღწევა, რომლებიც საფუძველად უდევს ამ პოზიციებს.

საზოგადოებრივი დისკუსიის გაშუქებისას ნუ შემოიფარგლებით საკითხის მხოლოდ იმ ასპექტებით, რომლებიც მხარეთა დაპირისპირების მიზეზია. საკითხი საფუძველიანად შეისწავლეთ, რათა გაერკვეთ პრობლემის არსში და საზოგადოებას სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოთ. თუ შესაძლებელია, გააშუქეთ საკამათო საკითხის ის ასპექტებიც, რომლებსაც მხარეები უგულებელყოფენ ან რომლებზეც საერთო პოზიცია გააჩნიათ. შეძლებისდაგვარად ასახეთ არა მარტო დისკუსიის მონაწილეთა, არამედ სხვა დაინტერესებულ მხარეთა პოზიციებიც.

რეპორტაჟმა ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს მაუწყებლის მიუკერძოებლობა და არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი რომელიმე იდეოლოგიური, პოლიტიკური, ფინანსური, სოციალური ან რელიგიური ჯგუფის გავლენის ქვეშ არის.

რეპორტაჟები და გადაცემები უნდა იყოს ნეიტრალური. უპირატესობა არ მიანიჭოთ რომელიმე პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, სხვ. პოზიციას. არ გამოხატოთ საჯაროდ რომელიმე პოლიტიკური პარტიის, გაერთიანების, ან სხვა ინტერესთა ჯგუფის მხარდამჭერი აზრი.

მიუკერძოებლობა მაუწყებლისგან არ მოითხოვს სრულ ნეიტრალობას ნებისმიერ საკითხში. ჟურნალისტს აქვს უფლება, გამოხატოს პროფესიული შეხედულება, რომელიც ობიექტურ ფაქტებზე იქნება დაფუძნებული, მაგრამ არა აქვს უფლება, ცალმხრივად შეაფასოს მოვლენები და საჯაროდ გამოხატოს სუბიექტური აზრი.

საკუთარი აზრი არასოდეს წარმოადგინოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის პოზიციად. გარკვევით აღნიშნეთ, რომ შეხედულება პირადად თქვენ გეკუთვნით.

რადიო და ტელეპროგრამების შემქმნელებმა არ უნდა უგულებელყონ ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც პირადად არ ეთანხმებიან.

სარედაქციო დამოუკიდებლობა

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და ჟურნალისტებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, რომ დაიცვან სარედაქციო დამოუკიდებლობა. ჟურნალისტმა უარი არ უნდა თქვას პროფესიული ვალდებულების შესრულებაზე თავის აღმსარებლობასთან, პოლიტიკურ შეხედულებასა თუ მსოფლმხედველობასთან შეუთავსებლობის მოტივით. დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, შეასრულოს ისეთი დავალება, რომელიც მის სინდისს, ღირსებას ან პროფესიულ ეთიკას ეწინააღმდეგება.

ყველა გადაცემის შინაარსი და ხასიათი რედაქციის გადაწყვეტილებიდან უნდა მომდინარეობდეს და არ უნდა იყოს პოლიტიკური, კომერციული თუ კერძო ინტერესების ზეწოლის შედეგი. საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სარედაქციო გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ მტკიცე არგუმენტების საფუძველზე და უნდა ენდობოდეს სსმ-ის გადაცემებისა და სამსახურების კეთილსინდისიერებას.

სსმ-ის თანამშრომელთა ქმედებამ ან გარეშე საქმიანობამ არასასურველი გავლენა არ უნდა იქონიოს სსმ-ის გადაცემებსა და სამსახურებზე. აუდიტორიას არ უნდა მიეცეს საფუძველი, ეჭვი შეიტანოს სსმ-ის სარედაქციო დამოუკიდებლობაში, მიუკერძოებლობასა და კეთილსინდისიერებაში.

მაუწყებლის ყველა თანამშრომელმა უნდა დაიცვას სარედაქციო დამოუკიდებლობა და პროფესიული თავისუფლება. მაუწყებელი და მისი თანამშრომლები არ უნდა იყვნენ დავალებულები ინფორმაციის წყაროების, რესპონდენტების ან გადაცემის მონაწილეების წინაშე.

არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჟურნალისტს გადალების ნებართვის მოსაპოვებლად გარკვეულ პირობებს უყენებს. არ დათანხმდეთ ისეთ პირობებზე, რომლებიც სარედაქციო დამოუკიდებლობას შელახავს. სარედაქციო დამოუკიდებლობა მასალის თავისუფლად, ზეწოლის გარეშე ჩაწერას და მიუკერძოებლად, სამართლიანად და ზუსტად ასახვას გავალდებულებთ.

მაუწყებლის ხელმძღვანელობამ ჟურნალისტებს და პროდიუსერებს უნდა მიანიჭოს ყველა ის უფლებამოსილება, რაც აუცილებელია მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის და ამ კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დასაცავად.

სარედაქციო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მაუწყებლის ხელმძღვანელობა მხოლოდ კრიტიკული აუცილებლობის შემთხვევაში ერევა, მაგალითად, როდესაც ეს პირდაპირ ემსახურება ლეგიტიმური მიზნების განხორციელებას.

ჟურნალისტური საქმიანობა სავარაოა. მაუწყებელმა და ჟურნალისტებმა საზოგადოებას უნდა მიაწოდონ სრული ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რამაც შეიძლება მათი სარედაქციო დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დააყენოს.

ენა

ზუსტი ფაქტები გასაგები, გამართული ერთ გადაცემით. აუდიტორიას ინფორმაცია სტანდარტული, ყოველდღიური სასაუბრო ერთ მიაწოდეთ. სიტყვებისა თუ გამოთქმების წინდაუხედავი გამოყენებით ნუ გააზვიადებთ ფაქტებს, ნუ შესძენთ მოვლენებს, გამონათქვამებს ისეთ მნიშვნელობას, რომელიც რეალობას არ შეეფერება.

საინფორმაციო სიუჟეტებში ენა უნდა იყოს მარტივი და ყველასათვის გასაგები, წინადადების წყობა გამართული, ყოველგვარი ზედმეტი და უსარგებლო სიტყვების გარეშე. ინფორმაცია აუდიტორიას ლაკონურად, მოკლე და სხარტი ფრაზებით მიაწოდეთ. მოერიდეთ უცხო სიტყვების გაუმართლებელ გამოყენებას, როცა სიტყვის ქართული შესატყვისი არსებობს. შეეცადეთ არ გამოიყენოთ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი სპეციფიკური ტერმინოლოგია (მაგალითად, სამედიცინო, ტექნიკური). თუ ასეთი ტერმინების გამოყენება აუცილებელია, იქვე, პოპულარულ ენაზე, განუმარტეთ აუდიტორიას მისი მნიშვნელობა.

თუ რაიმე სიტყვის მნიშვნელობა არ გესმით ან არ ხართ მასში დარწმუნებული, კიდევ ერთხელ შეამოწმეთ ან ამ სიტყვის თქვენთვის ცნობილი სინონიმი გამოიყენეთ. შეამოწმეთ უცხო სიტყვების მნიშვნელობა და გამოთქმა. ასევე სწორად გამოთქვით საკუთარი სახელები (გეოგრაფიული, პიროვნებების, ორგანიზაციების, გაზეთების, სხვ.). თავიდან აიცილეთ ბუნდოვანი, გადატვირთული, გაუმართავი წინადადებები. მაგალითად, ნუ იტყვით, „განახორციელა გასროლა“, „მოახდინა დარიგება“, თქვით „გაისროლა“, „დაარიგა“ ანდა ასეთი წინადადების ნაცვლად - „განცხადება გაკეთდება მთავრობის წევრების მიერ“, თქვით „განცხადებას მთავრობის წევრები გააკეთებენ“.

ნუ გამოიყენებთ ისეთ ლექსიკას, რომელიც ენის არსებულ სტანდარტებს არ შეესაბამება. თუმცა, ისიც გაითვალისწინეთ, რომ ენა მუდმივად ვითარდება და კონკრეტული გამოთქმა თუ სიტყვა საზოგადოებისათვის მისაღები ან მიუღებელი ხდება.

სამართლიანობა და პასუხის უფლება

ნებისმიერი ინფორმაცია უნდა გაშუქდეს სამართლიანად. მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ფაქტი, თვალსაზრისი და კომენტარი.

სამართლიანობა მოითხოვს ბალანსის დაცვასა და მიუკერძოებლობას მოვლენების გაშუქებისას. თავიდან უნდა იქნეს აცილებული მოსაზრებათა არასწორი ინტერპრეტაცია. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტი, მოსაზრება და კომენტარი.

გადაცემა არ ჩაითვლება სამართლიანად თუ იგი:

- არ მოიცავს ყველა არსებით ფაქტს;
- აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, ხოლო ყველაზე მთავარი უგულებელყოფილია;
- შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეცდომაში შეჰყავს აუდიტორია;
- ჟურნალისტები და/ან გადაცემის წამყვანები იყენებენ ისეთ გამოთქმებს, რომლებიც მათ მიკერძოებულობაზე მეტყველებს.

პიროვნებას, რომლის მიმართ პროგრამაში სერიოზული ბრალდებები გამოითქვა, პასუხის დროულად და თანაზომადი საშუალებით გაცემის უფლება უნდა მიეცეს.

ზუსტად და დეტალურად აღუწერეთ პიროვნებას მის მიმართ გამოთქმული ბრალდებები, რათა მან სათანადო პასუხის გაცემა შეძლოს. პასუხი გააშუქეთ სამართლიანად და ზუსტად და იმავე

პროგრამით. თუ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ხერხდება იმავე გადაცემით პასუხის გაცემა, ხელმძღვანელ პირთან ერთად გამონახეთ სხვა საშუალება.

ანგარიშვალდებულება

ჟურნალისტები პასუხისმგებელნი არიან მთელი საზოგადოების წინაშე. ინფორმაცია ჟურნალისტიკაში განიხილება, როგორც საზოგადოებრივი სიკეთე და არა როგორც მოხმარების პროდუქტი. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ჟურნალისტებისაგან პროფესიული ეთიკის ფარგლებში მოქმედებას მოითხოვს.

ჟურნალისტები თავიანთი საქმიანობით ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების, პროფესიისა და საკუთარი თავის წინაშე.

ჟურნალისტები ვალდებულნი არიან:

- აქტიურად დაუჭირონ მხარი პროფესიული სტანდარტების დაცვას და იმოქმედონ მათ შესაბამისად;
- უპასუხონ საზოგადოებრივ ინტერესს. გამოიკვლიონ საჩივრები და, საჭიროებისამებრ, მიიღონ სათანადო ზომები;
- საზოგადოებას განუმარტონ ჟურნალისტური მეთოდები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იბადება კითხვები;
- იმოქმედონ ჟურნალისტური ეთიკის ფარგლებში;
- ყურადღებით მოუსმინონ პირებს, რომლებიც ეთიკურ პრეტენზიებს გამოთქვამენ.

კეთილსინდისიერი ურთიერთობა რესპონდენტთან, გადაცემის მონაწილესთან

ჟურნალისტი ვალდებულია, კეთილსინდისიერად და სამართლიანად მოექცეს რესპონდენტს და გადაცემის სტუმარს.

ინტერვიუსა ან გადაცემაში მონაწილეობაზე თანხმობის მისაღებად ჟურნალისტმა რესპონდენტს უნდა აცნობოს:

- გადაცემის შინაარსი, ხასიათი, მოწვევის მიზანი და გადაცემის ეთერში გასვლის დრო;
- მონაწილეობის ფორმა (პირდაპირი ჩართვა, ჩანაწერი, დისკუსია და ა.შ.);
- სავარაუდო თემები, რის შესახებაც იქნება კითხვები და, თუ შესაძლებელია, სხვა სავარაუდო სტუმრების ვინაობა;
- ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც რესპონდენტის თავდაპირველი თანხმობის შემდეგ შევიდა გადაცემაში და შესაძლოა, მისაღმი არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებად შეფასდეს;
- აქვს თუ არა უფლება წინასწარ ნახოს ჩაწერილი გადაცემა და რაიმე ცვლილებები შეიტანოს მასში.

დასაშვებია ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ დამალვა, თუ ეს საზოგადოებრივი ინტერესებით ან რაიმე სხვა სპეციფიკურ შემთხვევაშია (მაგალითად, გასართობი ჟანრის გადაცემის შემთხვევაში) გამართლებული.

ჟურნალისტს უფლება აქვს, არ გაუმჟღავნოს რესპონდენტს/მოწვეულ სტუმარს გადაცემის მიზანი, თუ არსებობს აშკარა საზოგადოებრივი ინტერესი და საქმე სერიოზულ კანონსაწინააღმდეგო ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებას ეხება.

ინტერვიუზე ან გადაცემაში მონაწილეობაზე რესპონდენტის უარის შემთხვევაში, აცნობეთ აუდიტორიას უარის მიზეზი.

2. მრავალფეროვნება და ბალანსი

საკითხთა მრავალფეროვნება

საინფორმაციო პროგრამებში თანაბრად უნდა გაშუქდეს მოვლენები როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. საკამათო საკითხებზე მოსაზრებების გაშუქებისას დაცული უნდა იყოს სათანადო ბალანსი.

ჟურნალისტი ვალდებულია, მიაწოდოს საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებზე. არ აარიდოთ თავი ინფორმაციის სრულყოფილად გაშუქებას იმ მოტივით, რომ ამან შეიძლება რომელიმე ინდივიდი ან ორგანიზაცია გაანაწყენოს ან გააღიზიანოს.

გამოიკვლიეთ და გააშუქეთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენები, სოციალური საკითხები, საკამათო საკითხები, აგრეთვე, ის ტენდენციები და მოვლენები, რომლებზეც, მათი მნიშვნელობის მიუხედავად, აუდიტორიის მოთხოვნა შეიძლება დიდი არ იყოს. პროგრამების მომზადებისას უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს საზოგადოების უმრავლესობას, არამედ გათვალისწინებული იქნეს ის, რაც უნდა იცოდეს და რისი მოთხოვნილებაც აქვს საზოგადოებას.

მოსაზრებათა მრავალფეროვნება

სათანადო ბალანსისა და მიუკერძოებლობის მისაღწევად, აუცილებელია საკამათო საკითხზე არსებული მოსაზრებათა ფართო სპექტრის გაშუქება. ნეიტრალურად გააშუქეთ საკამათო საკითხებზე არსებული საპირისპირო პოზიციები. არ გამოხატოთ საჯაროდ მხარდაჭერა რომელიმე პოზიციისადმი.

ინფორმაციის ბალანსი

საზოგადოებისათვის საინტერესო მოვლენის გაშუქებისას თანაბრად და ადეკვატურად ასახეთ განსხვავებული მოსაზრებები. მოსაზრებათა დაბალანსებული გაშუქება საპირისპირო პოზიციებს შორის წმინდა მათემატიკური ბალანსის დაცვას არ გულისხმობს. ეს ნიშნავს თითოეული განსხვავებული მოსაზრებისთვის მისი მნიშვნელობის შესაფერისი დროის დათმობას.

თუ ერთ გადაცემაში ყველა საგულისხმო აზრის გაშუქებას ვერ ახერხებთ, აუდიტორიას აცნობეთ, რომ ამ საკითხზე არსებულ სხვა მოსაზრებებს ცალკე გადაცემა დაეთმობა. სასურველია, მიუთითოთ იმ გადაცემის ზუსტი თარიღი და დრო.

ინფორმაციის ბალანსი ცალკეულ გადაცემებში

ცალკეულ გადაცემაში, რომელიც რაიმე მნიშვნელოვან, საკამათო საკითხს ეხება, სათანადოდ უნდა გაშუქდეს ყველა საგულისხმო მოსაზრება და მიღწეული იქნეს ბალანსი. მოსაზრებები წარმოდგენილი უნდა იყოს მიუკერძოებლად, რათა აუდიტორიამ თავად შეძლოს დასკვნის გამოტანა.

გამონაკლის შემთხვევებში გადაცემა შეიძლება დაეფუძნოს კონკრეტული პირის პირად მოსაზრებას. ამის თაობაზე აუდიტორიას წინასწარ უნდა ეცნობოს.

ინფორმაციის ბალანსი გადაცემათა ციკლში

გადაცემათა ციკლის ცალკეული გამოშვება შეიძლება დაეთმოს რომელიმე ერთ კონკრეტულ თვალსაზრისს, თუმცა მთელი ციკლის განმავლობაში უნდა აისახოს მოსაზრებათა ფართო სპექტრი, რათა არ დაირღვეს ბალანსი. აუდიტორიას პირველსავე გადაცემაში უნდა ეცნობოს, რომ ციკლის განმავლობაში ბალანსი მიღწეული იქნება.

როდესაც ერთი ციკლის თითოეული გადაცემა სხვადასხვა საკითხს ეძღვნება, ბალანსი მიღწეული უნდა იყოს თითოეულ გამოშვებაში.

ცალკეულ პროგრამაში გამოთქმულ ბრალდებაზე პასუხის გაცემის საშუალება შესაბამის პირებს და ორგანიზაციებს ციკლის მომდევნო გადაცემაში უნდა მიეცეთ.

ინფორმაციის ბალანსი საინფორმაციო გადაცემებში

საინფორმაციო გადაცემებში დაბალანსებულად უნდა აისახოს ყველა საგულისხმო მოსაზრება საკამათო საკითხის შესახებ, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ რომელიმე ერთ მოსაზრებას ანიჭებთ უპირატესობას.

საინფორმაციო პროგრამაში შეძლებისდაგვარად უნდა წარმოაჩინოთ ამა თუ იმ საკითხსა თუ მოვლენაში ყოველი დაინტერესებული მხარის პოზიცია.

ბალანსი საავტორო გადაცემებში

საავტორო გადაცემების მონაწილეები საკამათო საკითხებზე გამოთქვამენ პირად მოსაზრებებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მიკერძოებულია.

საავტორო გადაცემის ანონსში, ასევე, უშუალოდ მისი დაწყების წინ, აუდიტორიას უნდა ეცნობოს, რომ გადაცემა საავტოროა; დაცული უნდა იყოს ფაქტები; გადაცემაში გამოთქმული შეხედულება, რაც არ უნდა მიკერძოებული იყოს, უტყუარ ფაქტებს უნდა ემყარებოდეს.

საავტორო გადაცემათა ციკლში თითოეული შეხედულებისთვის თანაბარი დროის დათმობა არ არის სავალდებულო. მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ წლის განმავლობაში საავტორო გადაცემათა ციკლში წარმოდგენილი იყოს შეხედულებათა ფართო სპექტრი, ამ ციკლში პროგრამების სიხშირის, თითოეული გადაცემის ხანგრძლივობისა და განსახილველი თემების ხასიათის გათვალისწინებით.

3. არჩევნების გაშუქება

არჩევნების გაშუქების წესები

მაუწყებელი ვალდებულია სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გააშუქოს არჩევნები, არჩევნებში მონაწილე პარტიები და კანდიდატები; საარჩევნო გადაცემების დაგეგმვისას ზოგჯერ საჭიროა კონსულტაცია პოლიტიკურ პარტიებთან მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მაუწყებელმა.

საინფორმაციო გამოშვებებში, ასევე, სხვა გადაცემებში დაუშვებელია რომელიმე საარჩევნო სუბიექტის დისკრიმინაცია ან საარჩევნო სუბიექტისათვის უპირატესობის მინიჭება. სსმ-ის პროგრამები არ უნდა იქცეს რომელიმე პარტიის/კანდიდატის პოლიტიკური პროპაგანდის იარაღად.

არჩევნების დროს საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

- ახალი ამბების ძირითად გამოშვებაში, ასევე, უმცირესობათა ენაზე საინფორმაციო გამოშვებებში, სათანადო დრო დაუთმოს საარჩევნო კამპანიის გაშუქებას;
- აუდიტორიას შესთავაზოს სპეციალიზებული საარჩევნო გადაცემები - დებატები, დისკუსიები პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მონაწილეობით;
- უზრუნველყოს ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლება. მიაწოდოს ამომრჩევლებს ამომწურავი ინფორმაცია არჩევნების მნიშვნელობის, საარჩევნო პროცედურების და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ;
- უფრო ხშირად და ვრცლად გააშუქოს ამომრჩეველთა მოსაზრებები მიმდინარე მოვლენებსა და აქტუალურ საკითხებზე;
- ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს არჩევნების გაშუქების საკუთარი განრიგი და წესები: რა, როგორ და რატომ შუქდება საარჩევნო კამპანიის დროს.

ჟურნალისტებმა მიუკერძოებლად უნდა გააშუქონ საარჩევნო კამპანია. ინფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს. თვითნებურად ან განგებ არ გამოტოვოთ სიუჟეტში რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი. გაასწორეთ ნებისმიერი შეცდომა, რომელსაც აღმოაჩნთ.

სიფრთხილე გამოიჩინეთ ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობის გაშუქებისას. ისინი ზოგჯერ ცდილობენ, ეთერი თავიანთი პარტიის კანდიდატის სააგიტაციოდ გამოიყენონ.

პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები

საარჩევნო კამპანიის დროს ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი თანაბრად უნდა გაშუქდეს.

საარჩევნო გადაცემაში მონაწილეობისათვის კანდიდატი შესაბამის პარტიასთან კონსულტაციის საფუძველზე ირჩევა, მაგრამ **საბოლოო გადაწყვეტილებას მაუწყებელი იღებს.**

საარჩევნო გადაცემაში მოიწვიეთ ყველა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი. თუ რომელიმე პარტია უარს აცხადებს გადაცემაში მონაწილეობაზე, გადაცემა მაინც უნდა შედგეს და აუდიტორიას ეცნობოს კანდიდატის გამოუცხადებლობის მიზეზი. მოწვევისას გაითვალისწინეთ კანდიდატების კომპეტენტურობა სადისკუსიო საკითხებში. გადაცემაში მონაწილე კანდიდატებს თანაბარი დრო და ყურადღება დაუთმეთ.

ყოველი საარჩევნო კვირის განმავლობაში ერთი გადაცემა მაინც უნდა მიეძღვნას თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკას, საქმიანობასა და კანდიდატებს.

საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკური პროგრამა უნდა გაშუქდეს ამ პროგრამის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გასულ ყველა საინფორმაციო გამოშვებაში. თუ პოლიტიკური პროგრამის პრეზენტაციას იმავე დღეს ვერ ასწრებთ ან სათანადოდ ვერ აშუქებთ (მაგალითად, თუ გვიან საღამოს გაიმართა), აჩვენეთ მეორე დღის საინფორმაციო გამოშვებებში.

ინფორმაცია კანდიდატების ან პოლიტიკური პარტიების შეხედულებების შესახებ უშუალოდ მათგან მიიღეთ და არა მესამე პირისგან. ნუ მისცემთ საარჩევნო სუბიექტს დაპირებას, რომ სიუჟეტის შინაარსთან დაკავშირებით მის სურვილებს გაითვალისწინებთ. გაშუქებისას ნუ შემოიფარგლებით პარტიებისა და კანდიდატების მხოლოდ ბოლოდროინდელი საქმიანობითა და განცხადებებით.

ინფორმაციის ბალანსი არჩევნების გაშუქებაში

არჩევნების გაშუქების დროს დაცული უნდა იყოს სათანადო ბალანსი. საარჩევნო სუბიექტების გაშუქებისას ბალანსი მიღწეული უნდა იქნეს თითოეული საარჩევნო კვირის განმავლობაში. დღის განმავლობაში გასულ სხვადასხვა პროგრამაში ბალანსის დაცვა არ არის საკმარისი.

თითოეულ საინფორმაციო გამოშვებაში ან ერთი დღის გამოშვებებში ბალანსის მიღწევა შეიძლება ვერ მოხერხდეს, რაც სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტების აქტივობაზე. თუმცა, ამის დაბალანსება შესაძლებელია დღის განმავლობაში ტრანსლირებული სხვა გადაცემებით. თუ ობიექტური გარემოებების გამო საინფორმაციო გადაცემების მთავარი თემა რომელიმე ერთი საარჩევნო სუბიექტია, არ არის სავალდებულო ბალანსის იმავე დღეს მიღწევა. დაბალანსება სხვა დღეს სხვა საარჩევნო სუბიექტების სათანადო გაშუქებით შეიძლება.

წინასაარჩევნო გადაცემებში ბალანსი მთელი კამპანიის მანძილზე უნდა იქნეს მიღწეული. სასურველია, ციკლის ყოველი გადაცემის დასაწყისში აუდიტორიას აცნობოთ, რომ ბალანსი დროის კონკრეტულ პერიოდში იქნება მიღწეული. ამის გაკეთება შესაძლებელია, მაგალითად, წინა გადაცემის მოკლე მიმოხილვითა და მომდევნო გადაცემის ანონსირებით.

თუ საარჩევნო კამპანიის დროს გადაიცემა ინფორმაცია რომელიმე საარჩევნო ოლქის შესახებ, დაასახელეთ ამ ოლქში ნომინირებული ყველა კანდიდატი და პარტია, რომელსაც იგი წარმოადგენს (მაჟორიტარი კანდიდატის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლად იყრის კენჭს) ანდა მიუთითეთ ვებ-გვერდი ან ინფორმაციის სხვა წყარო, სადაც შესაძლებელია სრული ჩამონათვალის ნახვა.

თუ საარჩევნო კამპანიის დროს გადაიცემა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, დაასახელეთ მისი ყველა კონკურენტის სახელი, გვარი და პარტია. თუ ვერ ხერხდება ყველა კანდიდატის დასახელება, აუდიტორიას მიუთითეთ ვებ-გვერდი ან ინფორმაციის სხვა წყარო, სადაც შესაძლებელია სრული სიის ნახვა.

დასაშვებია საარჩევნო პროგრამებში ცალკეულ კანდიდატებზე ყურადღების გამახვილება, თუ ამის დასაბუთებული აუცილებლობა არსებობს. ასეთი აუცილებლობა წარმოიქმნება თუ:

- კანდიდატი მონაწილეობს ისეთ მოვლენაში, რომელიც, რედაქციის აზრით, საყურადღებოა.
- კანდიდატი რომელიმე საარჩევნო ოლქთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხის განხილვაში მონაწილეობს. ამ შემთხვევაში დაასახელეთ ის კანდიდატებიც, რომლებიც იმავე ოლქში იყრიან კენჭს.

რეკომენდაცია

ზოგ შემთხვევაში შეიძლება არც იყოს საჭირო, მეტიც, არაეთიკურად და უტაქტოდ ჩაითვალოს რომელიმე ერთი საარჩევნო სუბიექტის გაშუქების დაბალანსება, მაგალითად, პირადი ტრაგედიის ან ქვეყანაში მომხდარი დიდი ავარიის, კატასტროფის შესახებ კომენტარის შემთხვევაში.

კანდიდატები წამყვანის როლში ან არაპოლიტიკურ გადაცემებში

არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტი არ უნდა იყოს გადაცემის წამყვანი ან ინტერვიუერი.

არჩევნების დროს კანდიდატს არა აქვს უფლება, იყოს საინფორმაციო ან რომელიმე სხვა პროგრამის წამყვანი ან ინტერვიუერი.

დასაშვებია კანდიდატთა მონაწილეობა იმ არაპოლიტიკურ გადაცემებში, რომლებიც საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე დაიგეგმა, თუმცა ასეთი გადაცემა არ უნდა დაგეგმოს საარჩევნო კამპანიის პერიოდში. კანდიდატს, რომელიც არჩევნების დროს ტრანსლირებულ არაპოლიტიკურ გადაცემაში მონაწილეობს, არ უნდა მიეცეს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების ან ელექტორატის მოზიდვის მიზნით, ეთერის სხვაგვარად გამოყენების საშუალება, თუ ასეთივე საშუალება სხვა კანდიდატს არა აქვს.

მაუწყებლის თანამშრომელს, რომელიც კენჭს იყრის არჩევნებში, ეკრძალება ეთერში გამორჩენა საინფორმაციო გადაცემის წამყვანის ან კორესპონდენტის როლში.

პასუხის უფლება

საარჩევნო სუბიექტს აქვს პასუხის გაცემის უფლება.

საჯარო პირის მიერ საკამათო პოლიტიკურ საკითხებზე გამოთქმული მოსაზრებების გაშუქებისას საარჩევნო სუბიექტებს ერთი კვირის განმავლობაში შეუძლიათ, გამოიყენონ პასუხის უფლება. მაუწყებელი ვალდებულია, ორი დღის განმავლობაში გააშუქოს სხვა საარჩევნო სუბიექტების პასუხი, თუ განცხადების ავტორი საჯარო პირი იმავდროულად კენჭს იყრის არჩევნებში.

ამომრჩევლის გაშუქება

ამომრჩევლებზე გადაცემის ან რეპორტაჟის მომზადებისას დაცული უნდა იყოს მიუკერძოებლობის პრინციპი და ბალანსი. თუ კანდიდატი მონაწილეობს გადაცემაში, რომელიც მის ამომრჩევლებს ეხება, ყველა სხვა კვალიფიციური სუბიექტის კანდიდატებსაც უნდა მიეცეთ გადაცემაში მონაწილეობის საშუალება. რომელიმე კანდიდატის მხრიდან უარის შემთხვევაში, დაგეგმილი გადაცემა მაინც შედგება.

დებატები

პოლიტიკური დებატები უნდა წარიმართოს ობიექტურად და მიუკერძოებლად.

საარჩევნო კამპანიის დროს მაუწყებელი ვალდებულია, ეთერში განათავსოს დებატები კანონმდებლობით დადგენილი წესით. დებატების პერიოდულობას, ქრონომეტრაჟსა და სტრუქტურას ადგენს მაუწყებელი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.

დებატები გადაიცემა სპეციალურად მოწყობილი სტუდიიდან (შესაბამისი ვიდეო და გრაფიკული გაფორმებით). დებატების წამყვანმა (მოდერატორმა):

- მიუკერძოებლად და ობიექტურად უნდა წარიმართოს დისკუსია საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს შორის;
- თანაბარი დრო დაუთმოს ყველა მონაწილეს;
- საშუალება მისცეს თითოეულ მონაწილეს, გამოხატოს საკუთარი პოზიცია და გასცეს დასმულ კითხვაზე პასუხი წინასწარ განსაზღვრული დროის ფარგლებში;

- მონაწილეს, რომელიც არ დაიცავს დროის ლიმიტს, გამოუერთოს მიკროფონი.

კანდიდატი, რომელიც უარს განაცხადებს დებატებში მონაწილეობაზე, კარგავს დებატებისათვის განკუთვნილი უფასო ეთერის გამოყენების უფლებას. პარტიისა და კანდიდატის მიერ გამოუყენებელი უფასო საეთერო დრო არ გადაეცემა სხვა პარტიას და კანდიდატს, გარდა საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საეთერო დროის გამოყოფა, პოლიტიკური რეკლამა

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, ეთერში განათავსოს საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო რეკლამა.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, საკუთარ ეთერში განათავსოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო რეკლამა საათში არანაკლებ 60 წამის ოდენობით.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია ან ბლოკი:

- ა) რომელიც საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია ფრაქციით;
- ბ) რომელმაც უკანასკნელ საყოველთაო არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა მინიმუმ 4%.

საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე ერთი თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად, სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4%-ის მხარდაჭერით. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ სოციოლოგიური კვლევის შედეგების დისკრიმინაციული გამოყენება.

ზემოაღნიშნული საზოგადოებრივი აზრის კვლევები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) უნდა ეფუძნებოდეს წარმომადგენლობითი შემთხვევითი შერჩევის აღიარებულ მეცნიერულ მეთოდოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების არანაკლებ 95%-იან საიმედოობას და რომლის ცდომილების ფარგლები 3%-ს არ აღემატება;
- ბ) უნდა გამოქვეყნდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურობის დაზუსტების შემდეგ;
- გ) იმავე ან სხვა შესაძარბელები საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავებების ან ცვლილებების არსებობისას, შესაძლებელი უნდა იყოს ამ განსხვავებების ან ცვლილებების დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა;
- დ) არ უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ან თანხის მოზიდვის საშუალება, არ უნდა ტარდებოდეს ტელეფონის, ფოსტის ან/და ინტერნეტის მეშვეობით;
- ე) უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალე მეთოდოლოგიას, რომელიც იძლევა შედეგების დამოუკიდებელი შემოწმების შესაძლებლობას;

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს უფასო საარჩევნო რეკლამისთვის ეთერი 18:00-დან 22:30-მდე უნდა დაუთმოს. სხვა პარტიებისა და კანდიდატების უფასო საარჩევნო რეკლამა ეთერში 17:30-დან 23:30-მდე უნდა გავიდეს.

მაუწყებელი ვალდებულია, ეთერში თითო სარეკლამო ჭრის დროს სულ მცირე ორი პარტიის ან კანდიდატის უფასო საარჩევნო რეკლამა განათავსოს. უფასო საარჩევნო რეკლამის ეთერში

განთავსების რიგითობა განისაზღვრება წილისყრის ან რომელიმე სხვა სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცედურის საფუძველზე.

მაუწყებელმა არ უნდა დაუთმოს რომელიმე პარტიას ან კანდიდატს მთლიანი უფასო ეთერისა და პოლიტიკური რეკლამისთვის განკუთვნილი დროის 50%.

არჩევნების დღის გაშუქება

არჩევნების დღეს მაუწყებელს ეკრძალება რაიმე სახის სააგიტაციო მასალის ტრანსლირება. საარჩევნო უბნების დახურვამდე ეთერში გასულმა ინფორმაციამ არ უნდა იმოქმედოს არჩევნების შედეგებზე.

არჩევნების დღეს კენჭისყრის დასრულებამდე არჩევნების გაშუქება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებებით.

რეკომენდაცია

საარჩევნო უბნების დახურვამდე გააშუქეთ ისეთი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, ამომრჩეველთა რაოდენობა, საუბნო და საოლქო კომისიების შემადგენლობა, დამკვირვებლების საქმიანობა, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და პარტიების მიერ მოწყობილი პრესკონფერენციები, აღმოჩენილი დარღვევები, დღის განმავლობაში მომხდარი ექსცესები, და ა.შ. ანუ ყველა ის საკითხი, რომელიც უკავშირდება არჩევნების მიმდინარეობას და არ წარმოადგენს აგიტაციას. შეიძლება გადაიციეს ამომრჩევლებისადმი მოწოდება, გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებში.

დაუშვებელია ნებისმიერი წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის (პლაკატები, ბუკლეტები, სიმბოლოები, ა.შ.) ჩვენება. საარჩევნო უბნებთან ინტერვიუების აღების, ასევე, პირდაპირი ჩართვის დროს მიაქციეთ ყურადღება კამერაში არ მოხვდეს პლაკატი ან სხვა ტიპის სააგიტაციო დეტალი. უბნების დახურვამდე რეპორტაჟში არ გადასცეთ ამომრჩევლის, მათ შორის საჯარო პირის, პოზიცია; არ გააშუქოთ რომელიმე პარტიისა თუ კანდიდატის მხარდამჭერი აქცია. ეს ყველაფერი ჩაიწერეთ და აჩვენეთ საინფორმაციო გამოშვებებში უბნების დახურვის შემდეგ.

არჩევნების დღე გააშუქეთ ნეიტრალურად, ობიექტურად, სამართლიანად და მიუკერძოებლად. არც ტონით, არც სიტყვებით, არც ქმედებით ან რაიმე ვიზუალური თუ ხმოვანი ეფექტით არ გამოხატოთ საკუთარი დამოკიდებულება კანდიდატისა თუ პარტიის მიმართ.

არჩევნების შედეგების გაშუქება

განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ არჩევნების შედეგების შესახებ ისეთი ინფორმაციის გავრცელებისას, რომელიც ოფიციალურ მონაცემებს არ ემყარება.

არჩევნების დღეს ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგები არ არის საკმარისად სანდო. ამიტომ, ეგზიტპოლის შედეგების გამოცხადებისას არ გააზვიადოთ მათი მნიშვნელობის და მკაფიოდ განუმარტეთ აუდიტორიას, რომ ეს პროგნოზი ოფიციალურ მონაცემებს არ ემყარება.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა

წინასაარჩევნო კამპანიის დროს მაუწყებელმა საზოგადოებას უნდა აცნობოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პარტიებისა და კანდიდატების, პოლიტიკური პროცესის,

ამომრჩეველთა ქცევის, აქტუალური საკითხების და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინსტიტუტების შესახებ.

კვლევის შედეგების გამოცხადებამდე საარჩევნო სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ ამ შედეგების გაანალიზებისა და საკუთარი კომენტარის მომზადებისათვის საკმარისი დრო. მათ წინასწარ უნდა ეცნობოთ მაუწყებლის დაკვეთით განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის კონკრეტული თარიღები, იმ გადაცემის დრო და ფორმატი, რომელშიც შედეგები გამოცხადდება.

საარჩევნო სუბიექტებს კომენტარის საშუალება უნდა მიეცეთ იმავე გადაცემაში, რომელშიც კვლევის შედეგები ცხადდება ან სხვა გადაცემებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებიდან 1 კვირის განმავლობაში.

კვლევის შედეგების გამოქვეყნებისას უნდა აღინიშნოს, რომ იგი ასახავს მხოლოდ კვლევის ჩატარების დღეს არსებულ სურათს.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა მიეთითოს:

- ორგანიზაცია, რომელმაც ჩატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი ან დამფინანსებელი;
- კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და მიმდევრობა;
- სავალდებულო კვლევის ჩატარების დრო;
- გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი;
- რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა;
- იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა;
- ცდომილების ფარგლები;
- ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის დასრულებამდე (დამის 12 საათამდე) დაუშვებელია არჩევნებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნება, გარდა იმ კვლევებისა, რომლებიც ამომრჩეველთა აქტივობის დონეს განსაზღვრავს.

4. პოლიტიკური საკითხების, კარლამენტის და პოლიტიკოსების ბაშუქება

საპარლამენტო მასალის გამოყენება და საპარლამენტო სესიების გადაცემა

საპარლამენტო რეპორტაჟი უნდა იყოს მიუკერძოებელი და ობიექტურად ასახავდეს პარლამენტში განხილულ საკითხებს და იქ განვითარებულ მოვლენებს.

ჟურნალისტებმა დაბალანსებულად უნდა გადმოსცენ ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები.

საინფორმაციო პროგრამაში აუცილებლად უნდა გაშუქდეს:

- საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის არჩევნები;
- პრემიერ-მინისტრის არჩევნები;
- მთავრობის არჩევნები;

- იმპიჩმენტის პროცედურები პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- იმპიჩმენტის პროცედურები პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ;
- პარლამენტის საგანგებო სხდომები.

გადაწყვეტილება ეროვნული მნიშვნელობის სხვა სხდომების ტრანსლირების შესახებ მიიღება სარელაქციო გადაწყვეტილების საფუძველზე.

პოლიტიკური პარტიების გაშუქება

პოლიტიკური პარტიების საქმიანობა უნდა გაშუქდეს მიუკერძოებლად. პოლიტიკური პარტიებისათვის სამაუწყებლო ეთერის დათმობა მათ საქმიანობასა და აქტიურობაზე დამოკიდებული, რაც მხოლოდ პრესკონფერენციების მოწყობის სიზშირით არ განისაზღვრება. შესაბამისად, არ არის სავალდებულო (წინასაარჩევნო კამპანიის გარდა) პარტიებს ერთი და იგივე დრო დაეთმოს. თუმცა, ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და მათი მოსაზრებების გაშუქებაში ბალანსი დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა იქნეს მიღწეული (მაგალითად, ერთი თვის განმავლობაში).

ამა თუ იმ გადაცემაში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მოწვევა სარელაქციო გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. მოწვეულთა შემადგენლობა ისე უნდა შეირჩეს, რომ გადაცემაში ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის პოზიცია აისახოს. მოწვეული პირის უარმა გადაცემაში მონაწილეობაზე არ უნდა გამოიწვიოს გადაცემის გაუქმება. ასეთ შემთხვევაში პროგრამის ავტორმა უნდა სცადოს, მოიწვიოს ისეთი სტუმარი, რომლის მონაწილეობით თავიდან აიცილებს მოსაზრებათა დისბალანსს, ან აუწყოს აუდიტორიას სტუმრის უარის შესახებ.

პოლიტიკური ინტერვიუ

პოლიტიკური ინტერვიუს აღებამდე რესპონდენტს აცნობეთ იმ გადაცემის შინაარსი და ხასიათი, რომლისთვისაც ინტერვიუს ჩაწერას აპირებთ. ყველა კითხვას წინასწარ ნუ შეათანხმებთ რესპონდენტთან. დაუსვით ისეთი შეკითხვები, რომლებზეც საზოგადოება პასუხს ელის.

5. ინფორმაციის მოპოვება

ინფორმაციის კონფიდენციალური წყაროები

ინფორმაციის წყაროების დაცვა ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობაა.

ჟურნალისტმა, ჩვეულებრივ, არ უნდა გამოიყენოს ანონიმური წყაროები, თუ არსებობს ინფორმაციის სხვა, ღია წყაროებით მიღების შესაძლებლობა. ანონიმური წყაროს გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ინფორმაცია სანდო და ღირებულია და მისი გავრცელება სხვა გზით შეუძლებელია. წყაროების ანონიმურობის დაცვა ინფორმაციის თავისუფლების ერთ-ერთი ღირებული ელემენტია და ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობაა.

სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მიხედვით ჟურნალისტის პროფესიული საიდუმლოების წყარო დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. კონფიდენციალურობის დარღვევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ემსახურება საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, მაგალითად, როდესაც ინფორმაცია დანაშაულის მომზადებას ეხება. ასეთ

დროს ჟურნალისტი მოვალეა, აცნობოს შესაბამის ორგანოებს მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ. კონფიდენციალური წყაროს გამჟღავნება, ასევე, გამართლებულია, როდესაც საკითხი სახელმწიფო ინტერესების დაცვას ეხება. ამის საჭიროება შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყნის კონსტიტუციურ წყობილებას რეალური საფრთხე ემუქრება.

წყარო, რომელიც ანონიმურობის დაცვას არ მოითხოვს, უნდა დაასახელოთ. ანონიმური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადაცემისას კი აღნიშნეთ, რომ წყარო ანონიმურია.

გამოიყენეთ ისეთი კონფიდენციალური წყაროსგან მიღებული ინფორმაცია, რომელსაც იცნობთ და ენდობთ. წყაროს საიმედოობის მიუხედავად, შეამოწმეთ ინფორმაციის უტყუარობა, რომ თავიდან აიცილოთ არასწორი და მიკერძოებული ინფორმაციის გავრცელება. ამისათვის მოიპოვეთ ინფორმაციის დამადასტურებელი დამატებითი მონაცემები ორი წყაროდან (თუ შესაძლებელია). თავი შეიკავეთ ეთერში ისეთი ინფორმაციის გადაცემისგან, რომელსაც დამაჯერებლობისა და სიზუსტის ელემენტები აკლია.

თუ ანონიმური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სერიოზულ ბრალდებებს შეიცავს, საზოგადოებას მიაწოდეთ წყაროს შესახებ მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომლითაც წყაროს ამოცნობა ვერ მოხერხდება, მაგრამ აუდიტორია შეძლებს ინფორმაციის საიმედოობის შეფასებას. ასეთ შემთხვევაში უნდა გამჟღავნდეს ანონიმური წყაროს მხოლოდ ის დეტალები, რომლებზეც წყარო იქნება თანახმა.

ანონიმი რესპონდენტი ყველა საშუალებით უნდა იყოს დაცული. უნდა შეინიღბოს მისი გამოსახულებაც და ხმაც. დაუშვებელია ისეთი დეტალების ჩვენება, როგორებიცაა, მაგალითად, მისი მანქანის ნომერი, საცხოვრებელი სახლი და სხვ. მართალია, ანონიმი რესპონდენტის გამოყენებამ აუდიტორიას შეიძლება აფიქრებინოს, რომ ვუძალავთ ისეთ ინფორმაციას, რომლითაც შეძლებდა ამ ადამიანის კვალიფიკაციისა და კომენტარების საიმედოობის შეფასებას. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ინფორმაცია ღირებულია და ანონიმი რესპონდენტის გამოყენება გამართლებულია.

ანონიმი რესპონდენტების გადაცემაში გამოყენება შეთანხმებული უნდა იყოს რედაქციის ხელმძღვანელობასთან. ასევე, კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესახებ აცნობეთ საინფორმაციო პროგრამების ერთ ხელმძღვანელ პირს მაინც, რათა ინფორმაციის ეთერში გადაცემაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღოს.

წყაროს არ შესთავაზოთ ანონიმურობა, როგორც ინფორმაციის გაცემის პირობა. ამის შეთავაზება მხოლოდ იმ შემთხვევებშია გამართლებული, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნების გამო წყაროს შეიძლება საფრთხე დაემუქროს. ანალოგიური ვითარება შეიძლება წარმოიშვას საჯარო მოხელეებთან ურთიერთობაშიც, რომლებიც არ გასცემენ ინფორმაციას ანონიმურობის დაცვის გარანტიის გარეშე.

ანონიმურობის გარანტი არა მარტო ჟურნალისტი, არამედ მთელი სამაუწყებლო კომპანიაა. ნებისმიერი პროდიუსერი ან სხვა თანამშრომელი, რომლისთვისაც ცნობილი გახდება წყაროს ვინაობა, ვალდებულია, დაიცვას მისი ანონიმურობა.

კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა

სამთავრობო უწყებებიდან ინფორმაციის გაჟონვა ანონიმური ინფორმირების ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც საჯარო მოხელეები საზოგადოებისთვის კონფიდენციალური ინფორმაციის მისაწოდებლად იყენებენ.

ასეთი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებას სიფრთხილით მოეკიდეთ და საგულდაგულოდ შეამოწმეთ. ასეთი ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს და ახალი ამბების მთავარ თემადაც კი იქცეს. მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ ასეთი ინფორმაცია შეიძლება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავდეს მიზნად, ვინაიდან ინფორმატორის მიზანი ყოველთვის სიმართლის თქმა არ არის.

პირადი კომუნიკაცია

პირადი კომუნიკაციის დროს ჩანაწერის გაკეთება კანონიერად მხოლოდ მაშინ ითვლება, თუ საუბრის ერთ-ერთმა მონაწილემ მაინც იცის, რომ საუბარი იწერება. ასეთი ჩანაწერის გამჟღავნება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ეს საუბრის ყველა მონაწილისთვისაა ცნობილი. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისიც დაიშვება. პირადი საუბრის ჩანაწერის ეთერში გადაცემა წინასწარი შეთანხმების გარეშე დასაშვებია, თუ ინფორმაცია ეხება უკანონო, ანტისაზოგადოებრივ და თაღლითურ საქმიანობას ან საზოგადოებრივი ნდობის ბოროტად გამოყენებას, და თუ ამ ინფორმაციის მოპოვება სხვა გზით შეუძლებელია.

6. პირადი ცხოვრების ხელშეშნებლობა

პირადი და საჯარო ცხოვრება

დაუშვებელია კერძო ცხოვრების გაუმართლებელი ხელყოფა გადაცემებში ან გადაცემისათვის მასალის მოპოვების დროს.

საჯარო ცხოვრებისაგან განსხვავებით, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდის პირადი ცხოვრება გავლენას ახდენს მის საჯარო ცხოვრებაზე ან საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს წარმოადგენს.

საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესში შედის: დანაშაულის, ანტისაზოგადოებრივი ქმედების, კორუფციისა და უსამართლობის ფაქტების, არაკომპეტენტურობისა და დაუდევრობის გამოვლენა; ადამიანის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა; საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობის აღკვეთა ან ნებისმიერი ისეთი საკითხის გაშუქება, რომელიც მოქალაქეებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

სსმ-ის ჟურნალისტიკა რესპონდენტის პირადი ცხოვრების გაუმართლებელი ხელყოფის გარეშე უნდა გამოიძიოს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხი.

რეკომენდაცია

მასალის მომზადებისას გაითვალისწინეთ, რომ რიგით მოქალაქეებს მეტი უფლება აქვთ, არ გაამჟღავნონ პირადი ცხოვრების დეტალები, ვიდრე საჯარო პირებს ან იმ ადამიანებს, რომლებიც ძალაუფლების, გავლენისა თუ სხვა მდგომარეობის მოპოვებას ცდილობენ. საჯარო პირის პირადი ცხოვრების გაშუქებისას, გაითვალისწინეთ, რამდენად მოქმედებს მისი პირადი ცხოვრება სამსახურებრივი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებაზე.

პირადი ცხოვრების გაშუქებისას შემოიფარგლეთ მხოლოდ ფაქტებით და თავი აარიდეთ ჭორებს. გადაეცით მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც არის მნიშვნელოვანი, ზუსტი და წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. გაითვალისწინეთ ის ინფორმაცია, რამაც კონკრეტული

პირისადმი ასეთი ინტერესი გამოიწვია. დაუშვებელია ისეთი დეტალების გამჟღავნება, რომლებიც უბრალოდ საინტერესოა, მაგრამ განსახილველ თემას არ უკავშირდება.

არ გადასცეთ ისეთი მასალა, რომელშიც ჩანს ინდივიდის შიშველი სხეული ან ასახულია მისი პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალები. ცალკეული შემთხვევის გარდა, რიგითი მოქალაქის თანხმობის გარეშე არ გადასცეთ მისი საუბარი, თუ სრულიად აშკარა არ არის, რომ ეს ადამიანი შეგნებულად აძლევს ჟურნალისტს ინტერვიუს თუ კომენტარს.

ჩაწერილი მასალის სხვა მიზნით ან სხვა პროგრამაში გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გაუმართლებელი ხელყოფა. ეს ეხება როგორც მაუწყებლის მიერ მოპოვებულ მასალას, ისე სხვა წყაროებისგან მიღებულ მასალას.

თანხმობის მიღება

თუ მასალის მომზადების ან პირდაპირი რეპორტაჟის დროს პირის პირადი ხელშეუხებლობის უფლება ირღვევა, მას შეუძლია მოითხოვოს გადაღების, ჩაწერის ან პირდაპირი ტრანსლაციის შეწყვეტა. დაემორჩილეთ ამ მოთხოვნას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების დარღვევა გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით.

- თუ პროგრამის მომზადებისას ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ირღვევა, აიღეთ მისგან თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დარღვევა საზოგადოებრივი ინტერესით არის გამართლებული;
- თუ გადაღებული მასალის ტრანსლირებით ირღვევა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, აიღეთ მისგან თანხმობა მასალის ეთერში გაშვებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ უფლების დარღვევა გამართლებულია;
- რომელიმე დაწესებულებაში მასალის მოსამზადებლად აიღეთ თანხმობა პასუხისმგებელი პირებისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მასალის უნებართვოდ მომზადება გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით;
- თუ სიუჟეტი ისეთი დაწესებულებიდან მზადდება, როგორც არის სკოლა, საავადმყოფო, ციხე ან პოლიციის განყოფილება, აიღეთ თანხმობა როგორც პასუხისმგებელი პირებისგან, ასევე იქ მყოფი იმ პირებისგან (ავადმყოფები, დაკავებულები, სხვ.), რომლებიც აისახებიან მასალაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა თანხმობის გარეშე სიუჟეტის მომზადება გამართლებულია). თუ მომზადებულ სიუჟეტში პიროვნების ამოცნობა შეუძლებელია, მის ტრანსლირებაზე დამატებითი თანხმობის მიღება არ არის აუცილებელი.
- პიროვნების თანხმობის გარეშე დაუშვებელია მისი მისამართის და სხვა მსგავსი მონაცემების გამჟღავნება.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მოლოდინი განსხვავდება ადგილმდებარეობის, ინფორმაციის ხასიათის, კონკრეტული საქმიანობისა თუ საზოგადოებრივი ინტერესის მიხედვით.

ადამიანებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მოლოდინი საჯარო თავშეყრის ისეთ ადგილებშიც აქვთ, როგორებიცაა აეროპორტი, რკინიგზის სადგური ან სავაჭრო ცენტრი. ზოგჯერ საქმიანობა ან ვითარება იმდენად პირადი ხასიათისაა, რომ მისი ჩაწერა ან გადაღება თვით საჯარო თავშეყრის ადგილებშიც კი შეიძლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფად ჩაითვალოს (მაგალითად, დამშვიდობების სცენა სადგურში ან აეროპორტში). საჯარო თავშეყრის ადგილებში არ უნდა გადაიღოთ ისეთი პირადული კადრები, რომლის

ტრანსლირებისათვის პირის წინასწარი თანხმობა დაგჭირდებათ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მასალის თანხმობის გარეშე ტრანსლირება გამართლებულია.

მასალის მომზადება კერძო ტერიტორიაზე

მასალის კერძო ტერიტორიაზე მოსამზადებლად წინასწარ აიღეთ ნებართვა მესაკუთრისგან. თანხმობაზე უარის შემთხვევაში, დატოვეთ ტერიტორია. გამონაკლისი დაიშვება თუ ჩაწერა საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას ემსახურება და სერიოზული საფუძველი გაქვთ, ივარაუდოთ, რომ ჩადენილია უკანონო ან ანტისაზოგადოებრივი ქმედება.

ინტერვიუ წინასწარი შეთანხმების გარეშე

ინტერვიუს ჩასაწერად რესპონდენტთან გაუფრთხილებლად მისვლა შეიძლება კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად ჩაითვალოს.

საჯარო და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პიროვნებისაგან კომენტარისა და ინტერვიუს ჩაწერა და მისი გადაღება გაუფრთხილებლად შეიძლება. ინტერვიუს კერძო ტერიტორიაზე აღებაზე კი პიროვნებას წინასწარ უნდა შეუთანხმდეთ. რესპონდენტს უნდა შეუთანხმდეთ სატელეფონო საუბრის ჩაწერასა და მის გადაცემაში გამოყენებაზეც. თუმცა ამ წესიდანაც არის გამონაკლისი. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისს „დორსტეპინგს“ ეძახიან, რაც ინტერვიუს ასაღებად ჩასაფრებას ან რესპონდენტთან გაუფრთხილებლად მისვლას ნიშნავს.

დორსტეპინგი არის ეთერში გადაცემის მიზნით ინტერვიუს ან სატელეფონო საუბრის ჩაწერა წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

როგორც სატელეფონო, ისე უშუალო დორსტეპინგის დროს რესპონდენტს უნდა აცნობოთ, რომ მას იწერთ და/ან იღებთ. რესპონდენტს არ უნდა ეგონოს, რომ კამერა ან აუდიოჩამწერი გამორთულია.

დორსტეპინგი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ:

- რესპონდენტმა უარი გითხრათ ინტერვიუზე, მაგრამ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე დორსტეპინგი გამართლებულია;
- ცნობილია, რომ რესპონდენტი ხშირად ამბობს უარს ინტერვიუზე;
- ფიზიკურად ვერ ახერხებთ რესპონდენტთან დაკავშირებას;
- სერიოზული საფუძველი გაქვთ ივარაუდოთ, რომ საკითხის გამოძიებას ხელი შეეშლება, თუ რესპონდენტს წინასწარ აცნობებთ ინტერვიუს აღების განზრახვის შესახებ.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დორსტეპინგი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იყოს გამართლებული.

დორსტეპინგის წესები არ ვრცელდება შემთხვევითი შერჩევით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, ეგრეთ წოდებული „ვოქსპოპის“ (vox pop), ჩატარებაზე.

ჩაწერა წინასწარი შეთანხმების გარეშე გასართობი ხასიათის პროგრამებისთვის

გასართობი ხასიათის გადაცემებისთვის დორსტეპინგით მასალის მოპოვება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაღებული ან ჩაწერილი მასალას არავის ჩააგდებს უხერხულ მდგომარეობაში, არ შეურაცხყოფს და არ გააღიზიანებს.

მასალა ეთერში არ უნდა გავიდეს იმ პიროვნებების თანხმობის გარეშე, რომლებიც ღორსტეპინგის „მსხვერპლნი“ აღმოჩნდნენ; თანხმობა არ არის საჭირო, თუ შეუძლებელია მასალაში ასახული პიროვნებების ამოცნობა.

ექვმიტანილის ვინაობა

გამოძიების მიმდინარეობა თავისთავად არ გულისხმობს, რომ ექვმიტანილი პიროვნება დამნაშავეა. ექვმიტანილის შესახებ სიუჟეტის მომზადებისას კარგად აწონ-დაწონეთ, რა არის მოცემულ შემთხვევაში უმთავრესი - საზოგადოებრივი ინტერესი თუ პიროვნების დაცვა. თუ გამოძიება ექვმიტანილის ვინაობას არ მალავს, შეგიძლიათ, მის შესახებ მონაცემები გაამჟღავნოთ.

გამოძიების გაშუქებისას ზუსტად მისდით მოვლენების განვითარებას და მომხდარი ცვლილებების (გამოძიების შეწყვეტა, პირის დამნაშავედ ცნობა თუ გამართლება, სხვ.) შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ საზოგადოებას.

ბრალდებულის ვინაობა

სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობამდე ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება. ბრალდებულის ვინაობის დასახელებისას გაითვალისწინეთ, რომ სასამართლო პროცესის მხოლოდ ერთ ეტაპს აშუქებთ. ბრალის წაყენებასა და საბოლოო განაჩენის გამოტანას შორის ხშირად დიდი დრო გადის. ბრალდებულის ვინაობის გამჟღავნებით შეიძლება უდანაშაულო ადამიანი ძალზე დააზარალოთ.

თუ სასამართლო პროცესის გაშუქებისას ასახელებთ ბრალდებულის ვინაობას, გააშუქეთ საბოლოო განაჩენიც, ხოლო თუ იგი უდანაშაულოდ სცნეს, დაუყოვნებლივ აცნობეთ ეს საზოგადოებას, რათა უდანაშაულო ადამიანის რეპუტაცია არ შეილახოს.

ექვმიტანილის/ბრალდებულის ახლობლების ვინაობა

ექვმიტანილისა თუ ბრალდებულის ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია.

მათ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ნებისმიერ ადამიანს. ამიტომ, ექვმიტანილის/ბრალდებულის თანხმობის გარეშე ნუ გადასცემთ ინფორმაციას მისი ოჯახის, ბინის მისამართისა, და სხვ. შესახებ, თუ არ არსებობს მკაფიოდ გამოხატული საზოგადოებრივი ინტერესი.

გაითვალისწინეთ ბრალდებულის ან ექვმიტანილის ოჯახის წევრთა უფლებები და მათი თანხმობის გარეშე არ გადასცეთ მათგან აღებული ინტერვიუები ან რეპორტაჟული კადრები, თუ სრულიად აშკარა არ არის, რომ ისინი შეგნებულად გაძლევენ ინტერვიუს თუ კომენტარს.

დანაშაულის მსხვერპლის ვინაობა

ჟურნალისტებმა, როგორც წესი, არ უნდა დაასახელონ დანაშაულის მსხვერპლის, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ვინაობა, რომელიც ცოცხალია. ვინაობის გამჟღავნებით მსხვერპლის სულიერ მდგომარეობას ვაძიმებთ.

გამონაკლისი დაიშვება თუ:

- დაზარალებული თავად არის თანახმა და ამას წერილობით ან აუდიოჩანაწერით ადასტურებს;
- დაზარალებული პირადად მოგვითხრობს, რა გადახდა.

გამონაკლისი დაიშვება მკაფიოდ გამოხატული საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაშიც, როდესაც მსხვერპლის ვინაობის დასახელება გამართლებულია. თუმცა, ფრთხილად მოეკიდეთ საზოგადოებრივი ინტერესის განსაზღვრას, ვინაიდან მის უკან შეიძლება უბრალო ცნობისმოყვარეობა ან სულაც ჭორაობის სურვილი იდგეს.

თუ სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე დაზარალებული ვინმეს დანაშაულში სდებს ბრალს, უფლება გაქვთ, გაამჟღავნოთ მისი ვინაობა. მაგრამ ბრალდების გაშუქების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს რედაქციისა და იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელებმა დაზარალებული პირის საიმედოობისა და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველიანი შემოწმების და ცილისწამების პოტენციური რისკის გათვალისწინების შემდეგ.

მწუხარების და ტრაგიკული მოვლენების გაშუქება

ჟურნალისტმა უნდა დაიცვას ბალანსი მწუხარებისა და ტრაგიკული მოვლენებისადმი საზოგადოებრივ ინტერესსა და პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის. უბედური შემთხვევა უნდა გაშუქდეს ისე, რომ არ შეილახოს არც პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და არც მისი ადამიანური ღირსება.

დაუშვებელია დაზარალებული პირებისაგან ძალდატანებით ინტერვიუს აღება. ინტერვიუს ასაღებად უმჯობესია, ასეთ პირებთან დაკავშირება მათი მეგობრების ან ნათესავების მეშვეობით სცადოთ. ინტერვიუს ასაღებად დაუშვებელია:

- ზეწოლა;
- სატელეფონი ზარებით, ტექსტური შეტყობინებებით, კარზე კაკუნით, სხვ. მათი შეწუხება;
- კერძო საკუთრების დატოვების მოთხოვნის შეუსრულებლობა;
- დაზარალებულთა კვალდაკვალ დევნა.

დაუშვებელია ჭირისუფლისგან ინტერვიუს აღება, თუ სრულიად აშკარა არ არის, რომ ინტერვიუ ამ ადამიანის ინტერესებში შედის და მისი თხოვნით იწერება. მგლოვიარე ან დაზარალებული პირები ისე უნდა ჩაწეროთ, რომ არ გააღრმავოთ მათი მწუხარება. ყურადღებით შეარჩიეთ კითხვები. დაუფიქრებელი, უტაქტო კითხვებით შეიძლება ზედმეტი დაძაბულობა შექმნათ და ტრავმა მიაყენოთ მათ.

არ გადაიღოთ ან გადასცეთ უბედური შემთხვევის ან პირადი ტრაგედიის ან გლოვის ამსახველი მასალა, რომელიც ლახავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული ფაქტი საზოგადოების თავშეყრის ადგილზე მოხდა. გადაღება დასაშვებია მხოლოდ პირის თანხმობის შემთხვევაში. თუ მსხვერპლს არ შეუძლია თავად გამოხატოს თანხმობა, მოიპოვეთ თანხმობა მისი ოჯახის წევრისგან, ხოლო თუ იგი შემთხვევის ადგილზე არ იმყოფება, მასალა მხოლოდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაში გადაიღეთ.

დაუშვებელია გარდაცვლილი პირის, უბედური შემთხვევის ან ძალადობის მსხვერპლის ვინაობის დასახელება მანამ, ვიდრე ამის შესახებ ოჯახის წევრები არ შეიტყობენ ან თუ ამგვარი ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე გამართლებული

არაა. ოჯახის წევრის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის მიღებისას ნათესავების რეაქციის გადაღება არ შეიძლება.

დაკრძალვების გადაღება დასაშვებია მხოლოდ ოჯახის წევრის თანხმობის შემთხვევაში; გამონაკლისი დაიშვება ძლიერი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას. მიზაშეწონილი არ არის მგლოვიარე პირების ახლო ხედით გადაღება.

სათვალთვალო კამერებით გადაღებული მასალა

განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ ისეთი მასალის გამოყენებისას, რომელიც გარეშე პირის მიერ არის მოწოდებული. ასეთი მასალა შეიძლება იყოს სათვალთვალო კამერით გადაღებული თუ სხვადასხვა უწყებისა ან პიროვნების მიერ მოწოდებული ვიდეომასალა. ასეთი მასალის გამოყენებით გაუმართლებლად არ უნდა შეილახოს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

7. თანხის გადახდა ინფორმაციის წყაროებისათვის

ჟურნალისტმა ინფორმაციის წყაროს თანხა არ უნდა გადაუხადოს.

ჟურნალისტმა ინფორმაცია უსასყიდლოდ უნდა მოიძიოს. წყაროსთვის თანხის გადახდა გამართლებულია მხოლოდ ისეთი ინფორმაციის შემთხვევაში, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის და მისი მიღება სხვაგვარად შეუძლებელია.

ინფორმაციის მისაღებად:

- დაუშვებელია თანხის გადახდა, თანხის დაპირება ან ნატურით გადახდა მთავრობის, პარლამენტის, სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი ხელისუფლების, მუნიციპალური ორგანოების წევრებისათვის.
- დაუშვებელია თანხის გადახდა, თანხის დაპირება ან ნატურით გადახდა მსჯავრდებულისთვის ან იმ ადამიანისათვის, რომელიც დანაშაულს აღიარებს. იგივე წესი ვრცელდება დამნაშავეთა ნათესავებისა და ოჯახის წევრების შემთხვევაში.
- დაუშვებელია თანხის გადახდა, თანხის დაპირება ან ნატურით გადახდა სისხლის სამართლის პროცესის მოწმეების ან სავარაუდო მოწმეებისათვის.
- სისხლის სამართლის პროცესის დაწყების ლოგიკური მოლოდინის არსებობისას, დაუშვებელია თანხის გადახდა, გადახდის დაპირება ან ნატურით გადახდა სავარაუდო მოწმეებისთვის. გამონაკლისი დაიშვება საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევის გამოძიებისათვის ინფორმაციის მოსაპოვებლად საჭიროა თანხის გადახდა.

რეკომენდაცია

თუ ინფორმაციისათვის წყაროს საფასურს უხდით, ამის შესახებ აცნობეთ რედაქციის ხელმძღვანელს და, საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებასაც.

8. საბანგებო მოვლენები

საგანგებო მოვლენების გაშუქება

დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც საზოგადოებას არეულობისაკენ მოუწოდებს ან უბიძგებს.

დემონსტრაციები

ხშირად საპროტესტო აქციები და დემონსტრაციები მედიის ყურადღების მისაპყრობად ტარდება. ამიტომ აქციები იმ დროს და ისეთ ადგილზე იმართება, სადაც მედიის ყურადღების ცენტრში მოხვედრის დიდი ალბათობაა (მაგალითად, რაიმე საზოგადოებრივი ღონისძიების ჩატარების ადგილას)

დემონსტრაციების და საპროტესტო აქციების გაშუქებისას იხელმძღვანელებთ შემდეგი წესებით:

- გადაწყვეტილება დემონსტრაციის გაშუქების შესახებ არავის აცნობოთ კომპანიის გარეთ;
რეკომენდაცია
გაშუქების პერსპექტივამ შეიძლება გავლენა იქონიოს დემონსტრანტების რაოდენობასა და გეგმებზე.
- გარკვეული დისტანცია დაიცავით ორგანიზატორებთან და მონაწილეებთან ურთიერთობაში.
რეკომენდაცია
არ უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს დემონსტრანტების კეთილგანწყობით სარგებლობთ ან ისინი სარგებლობენ თქვენი კეთილგანწყობით.
- კამერის სიახლოვე მოქმედებს ხალხის ქცევაზე.
რეკომენდაცია
განასხვავეთ სპონტანური და კამერისთვის დადგმული ქმედებები. თავი შეიკავეთ ისეთი ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის ასახვისაგან, რომელიც აშკარად კამერისთვის ირჯება.
- არ სთხოვოთ დემონსტრანტებს ისეთი მოქმედების გამეორება, რომლის გადაღებაც ვერ მოასწარით.
- დაადგინეთ ორგანიზატორების ვინაობა და აუდიტორიას მიაწოდეთ ინფორმაცია მათ შესახებ, ასევე დემონსტრაციის მიზნებისა და მონაწილეთა რაოდენობის შესახებ.

რეპორტაჟის ეთერში გაშვებაზე გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს დემონსტრაციის ან აქციის მნიშვნელობას და არა რეპორტაჟში მოცემულ ვიზუალურ თუ ხმოვან ეფექტებს.

სამოქალაქო არეულობა

რეპორტაჟები სამოქალაქო არეულობის შესახებ მიუკერძოებელ და შეძლებისდაგვარად სრულყოფილ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს. არ გადასცეთ ისეთი მასალა, რომელმაც შეიძლება ვითარება გაამწვავოს. მოსალოდნელ არეულობაზე წინასწარმა საუბარმა შეიძლება პოტენციური ორგანიზატორები წააქეზოს.

ასეთი მოვლენების გაშუქების დროს:

- სრულად და ობიექტურად უნდა აისახოს ვითარება;
რეკომენდაცია
თუ ისეთ ადგილას აღმოჩნდით, რომ ვერ ახერხებთ დაპირისპირების ორივე მხარის გადაღებას, რეპორტაჟში კადრები უფრო ვრცელ კონტექსტში გამოიყენეთ, რათა მაყურებელს რეალური სურათი დაანახოთ.
- კამერების და მიკროფონების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ძალადობის პროვოცირება;
რეკომენდაცია

თუ ჩამწერი აპარატურის გამოყენება ამწვავებს მდგომარეობას, შეწყვიტეთ მისი გამოყენება და, საჭიროების შემთხვევაში, დამალეთ.

- ასეთ მოვლენებში მონაწილეთა რაოდენობა სკეპტიკურად უნდა შეფასდეს;

რეკომენდაცია

დაასახლეთ წყაროები, რომლებიც რაოდენობის აღმნიშვნელ ციფრებს ავრცელებენ.

- არ უნდა გადაიცეს ძალადობის ამსახველი კადრები.

რეკომენდაცია

პირდაპირი რეპორტაჟის დროს, როდესაც ძალადობა ან არეულობა ძალზე გამოძახველობით ფორმებს იღებს, შეწყვიტეთ პირდაპირი ჩართვა, გააგრძელეთ ჩაწერა და ჩაწერილი მასალა დამონტაჟებული სახით გამოიყენეთ.

ტერორისტული აქტები

ოპერატიულად მიაწოდეთ საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია ტერორისტული აქტის და მისი შედეგების შესახებ. თავი შეიკავეთ ემოციური და სუბიექტური შეფასებებისაგან. აუდიტორიას მიაწოდეთ ობიექტური ინფორმაცია, რათა მან თავად შეძლოს გარკვევა, ვინ არის დამნაშავე, რა დანაშაულს ჩადის და ვის წინააღმდეგ.

რეკომენდაცია

ტერორისტული აქტის გაშუქების დროს გაითვალისწინეთ, რომ ტერორისტის მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს კოლდურ სიტყვებს, მოწოდებებს და სხვ., რამაც შეიძლება ვითარება უფრო გაართულოს.

ტერორისტული აქტის გაშუქების დროს, იხელმძღვანელეთ შემდეგი წესებით:

- ტერორისტებისგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება მიმდინარე ან მოსალოდნელ ტერორისტულ აქტს, დაუყოვნებლივ აცნობეთ საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელს ან პროდიუსერს;
- ტერორისტის ან მძევლის პირდაპირი თუ ჩაწერილი განცხადება ან მასთან ინტერვიუ არ გადასცეთ ეთერში საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელის ან პროდიუსერის თანხმობის გარეშე. ასეთი განცხადების ეთერში გადაცემა მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში ხდება.
- ტერორისტების მოთხოვნები არ გადასცეთ სრული სახით. ჩვეულებრივ, ასეთი მოთხოვნები შემოკლებული ან რედაქტირებული სახით უნდა გავიდეს ეთერში.
- ტერორისტთან თუ ტერორიზმის მსხვერპლთან, ან ორივესთან ერთად, სატელეფონო ან სხვა სახის პირდაპირი კონტაქტის დამყარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო პროგრამის ხელმძღვანელი ან პროდიუსერი ჩათვლის, რომ ამით არც ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეშლებათ ხელი ტერორისტებთან კავშირის დამყარებაში და არც მძევლის მდგომარეობა გაუარესდება.
- ხელისუფლების ნებისმიერი მოთხოვნა, შეჩერდეს (უსაფრთხოების თუ სხვა მოსაზრებით) ტერორისტული აქტის შესახებ რაიმე ინფორმაციის ეთერით გადაცემა, დაუყოვნებლივ აცნობეთ საინფორმაციო გადაცემის ხელმძღვანელს.

შეიარაღებული კონფლიქტი

შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქება ჟურნალისტს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ასეთ დროს მოსახლეობა მისგან ზუსტ ინფორმაციას ელის. აუდიტორიას კონფლიქტის არსში გარკვევაც სურს და ამიტომ მას კონფლიქტის მიუკერძოებელი ანალიზი უნდა შესთავაზოთ.

რეკომენდაცია

სიცოცხლის რისკთან, ადამიანურ ტანჯვასა თუ უბედურებასთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებისას გაითვალისწინეთ აუდიტორიის ემოციები და განცდები. არ არის გამორიცხული, რომელიმე მსმენელის ახლობელი უშუალოდ მონაწილეობდეს ასეთ მოვლენაში.

ახლობლის დაღუპვის ან დაშავების ამბავი ოჯახმა პირველად სსმ-სგან არ უნდა შეიტყოს. ომისა და სისასტიკის ამსახველი ძალზე მძიმე კადრების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აშკარად გამართლებულია საზოგადოებრივი ინტერესით.

შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქების დროს:

- მიუთითეთ ინფორმაციის წყარო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ურთიერთგამომრიცხავი ან განსხვავებული განცხადებები ვრცელდება;
- აღნიშნეთ, თუ რეპორტაჟებზე ცენზურა ან მონიტორინგი ხორციელდება, ან არ გაძლევენ ინფორმაციის ეთერში გადაცემის უფლებას და შეძლებისდაგვარად განმარტეთ ის წესები, რომლის შესაბამისადაც გიხდებათ მოქმედება;
- შეინარჩუნეთ მშვიდი ტონი. ეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც რეპორტაჟის საიმედოობა.

მუქარა და ცრუ შეტყობინებები

ნებისმიერი მუქარა ან გაფრთხილება ბომბის თუ სხვა შესაძლო საფრთხის შესახებ, რომელსაც ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით თუ სხვა საშუალებით იღებთ, დაუყოვნებლივ აცნობეთ შესაბამის უწყებებს.

ასეთი საფრთხის გაშუქებისას:

- არ აღნიშნოთ უსაფრთხოების ისეთი დეტალები ან სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯარო და რომელმაც მოძალადეს შეიძლება მუქარის განხორციელება გაუადვილოს;
- არ გადასცეთ ინფორმაცია ცრუ შეტყობინების შესახებ, თუ მას რაიმე სერიოზული ან შესამჩნევი შედეგი (მაგალითად, ტრანსპორტის შეფერხება, ქუჩის გადაკეტვა) არ მოჰყვება.

გატაცება, მძევლად აყვანა, ალყა

გატაცების, მძევლად აყვანის და ალყის შემთხვევების გაშუქებისას თქვენს მიერ გავრცელებული ინფორმაცია დამნაშავეისთვისაც არის ხელმისაწვდომი.

ასეთი მოვლენების გაშუქებისას:

- ღია ეთერში არ აიღოთ დამნაშავეისგან ინტერვიუ;
- ღია ეთერში არ გადასცეთ დამნაშავეის მიერ მოწოდებული ვიდეო თუ აუდიომასალა;
- დამნაშავეის მიერ ჩაწერილი მასალა, რომელიც დანაშაულის ინსცენირება ან ძალადობის აქტს თუ ძალადობის მსხვერპლს ასახავს, ეთერში გაუშვით მხოლოდ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელთან ან პროდიუსერთან შეთანხმების შემდეგ.

თვითმფრინავის და ადამიანის გატაცების, მძევლად აყვანის თუ ალყის შესახებ რეპორტაჟის გაშუქებისას გაითვალისწინეთ შესაბამისი სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის რჩევები, რათა სიტუაცია უფრო არ დაიძაბოს. ზოგჯერ ამ უწყებებმა შეიძლება გთხოვონ კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებისგან თავის შეკავება ან პირიქით, რაიმე ინფორმაციის გავრცელება. გაითვალისწინეთ მათი თხოვნა, მაგრამ არ გადასცეთ მათ მიერ მოწოდებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც დანამდვილებით იცით, რომ სიმართლეს არ შეეფერება.

საგანგებო მდგომარეობა

საგანგებო მდგომარეობის, მათ შორის, სტიქიური უბედურებების და დიდი ავარიების გაშუქებისას, ასევე დაზარალებულთა რაოდენობის დასახელებისას, მიუთითეთ ინფორმაციის წყარო.

რეკომენდაცია

გაითვალისწინეთ, რომ დაზარალებულთა შესახებ პირველი მონაცემები სინამდვილეს ხშირად არ შეეფერება. როდესაც სხვადასხვა წყარო განსხვავებულ მონაცემებს ავრცელებს, დაასახელეთ როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური ციფრი ან გამოიყენეთ ყველაზე საიმედო წყაროს მონაცემი.

უბედურებების და დიდი ავარიების შესახებ რეპორტაჟში თავი შეიკავეთ გვარების დასახელებისგან. ადამიანთა დაღუპვის, დაშავების ან დაკარგვის შესახებ ინფორმაცია ახლობლებმა მაუწყებლისგან არ უნდა შეიტყონ. შეძლებისდაგვარად სწრაფად მოიპოვეთ დამატებითი დეტალები ასეთი შემთხვევების შესახებ, მაგალითად, ავიაკატასტროფის შემთხვევაში, ავიაკომპანიის სახელი, რეისის ნომერი, გამგზავრებისა და დანიშნულების პუნქტები, რათა კიდევ უფრო მეტი ისეთი ადამიანი არ შევაშფოთოთ, რომლის ახლობელიც შეიძლება ამ შემთხვევის პოტენციური მსხვერპლი იყოს.

9. დანაშაული და ანტისახობადობრივი ქმედება

არ უნდა გადაიცივს ისეთი მასალა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას, მოახდინოს დანაშაულის პროვოცირება ანდა გამოიწვიოს არეულობა და მღელვარება.

მკაფიო სარედაქციო დასაბუთების გარეშე დაუშვებელია:

- საქართველოში მოქმედ ან ძებნაში მყოფ დამნაშავესთან პირდაპირი ინტერვიუს ეთერით გადაცემა;
- გაქცეულ პატიმართან ან ძებნაში მყოფ პირებთან პირდაპირი ინტერვიუს ეთერით გადაცემა;
- იმ პირის ანონიმურობის დაცვა, რომელიც კანონს არღვევს.

რეკომენდაცია

გაითვალისწინეთ, რომ საქართველოში მოქმედ ან ძებნაში მყოფ კრიმინალთან ანდა გაქცეულ პატიმართან თუ ძებნაში მყოფ პირებთან კავშირი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდეს. ასეთ დროს ყოველთვის გაიარეთ კონსულტაცია მაუწყებლის იურიდიულ სამსახურთან და შესაბამისი რედაქციის ხელმძღვანელთან ან პროდიუსერთან.

დანაშაულის გაშუქება

დანაშაულზე რეპორტაჟის მომზადებისას გაითვალისწინეთ, რომ ინფორმაციის თავისუფლება არ ღვას პიროვნებების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე მაღლა. დანაშაულის შესახებ მომზადებულმა მასალამ არ უნდა გააძლიეროს მოსახლეობაში შიში, რომ ის შეიძლება დანაშაულის მსხვერპლი გახდეს. არ შემოიფარგლოთ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით და შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია მიაწოდეთ აუდიტორიას ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მაგალითად, აუწყეთ დანაშაულის ჩადენის სუბიექტური მიზეზები (თუ ცნობილია), ვითარება, მსხვერპლის მდგომარეობა (ვინაობის დაუსახელებლად), დანაშაულების შესახებ არსებული უახლესი სტატისტიკა და სხვ.

დანაშაულის გაშუქებისას:

- არ შექმნათ საზოგადოებაში უსაფუძვლო პანიკა და გაითვალისწინეთ აუდიტორიის მოსალოდნელი რეაქცია;
- გაითვალისწინეთ დანაშაულის, განსაკუთრებით, ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულის შესახებ რეპორტაჟის გადაცემის დრო და მისი შესაძლო გავლენა აუდიტორიის სავარაუდო შემაღვენლობაზე (ბავშვები);
- არ ასახოთ დანაშაულის ისეთი დეტალები, რომელთა გამეორებაც ადვილია;
- ნუ გაიმეორებთ წინა დღის სიუჟეტს, თუ დანაშაულთან დაკავშირებით ახალი, საგულისხმო ინფორმაცია არ გაგაჩნიათ.

მძიმე დანაშაულის გაშუქებისას ეთიკურ სტანდარტებს სცილდება:

- უმწეო მსხვერპლის, გვამებისა და დასახიჩრებული ადამიანების, სხვ. ჩვენება. მსგავსი სცენები გადაიღეთ გარკვეული დისტანციიდან, რათა შეუძლებელი იყოს მსხვერპლის ამოცნობა;
- ისეთი დეტალების ჩვენება, რომლის მიხედვითაც შეიძლება მსხვერპლის ვინაობის ამოცნობა (მაგ, საცხოვრებელი სახლის).

რეკომენდაცია

მძიმე დანაშაულის გაშუქებას შეიძლება რამდენიმე დღე დაეთმოს, ვინაიდან მძიმე დანაშაულთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დეტალები შემდგომში ვლინდება ხოლმე. თუმცა, არ არის საჭირო მისი ისეთ დღეებში გაშუქება, როდესაც პროცესში რაიმე მნიშვნელოვანი ან საგულისხმო ცვლილება არ მომხდარა.

ცხადია, დანაშაული უარყოფითი და უსიამოვნო მოვლენაა და მასზე რეპორტაჟიც ასეთი განწყობითა და ფორმით უნდა მომზადდეს. მაგრამ, ამავე დროს, ყურადღება მიაქციეთ გამოყენებულ ლექსიკას, ტონს, რათა თავიდან აიცილოთ მოვლენების მეტი დრამატიზება მძაფრი სიტყვებისა თუ ფრაზების, აღელვებელი ტონის და სხვ. მეშვეობით.

დანაშაულის სურათის აღდგენა

საინფორმაციო გამოშვებებში, ჩვეულებრივ, დანაშაულის სურათის აღდგენა (ინსცენირება) არ ხდება. დანაშაულის ადგილის მონახულება ან დაზარალებულთან და მოწმებთან გასაუბრება არ ნიშნავს ინსცენირებას. თუმცა, დამატებითი სიცხადის შეტანის მიზნით, დასაშვებია პოლიციის მიერ აღდგენილი სურათის ჩვენება.

რეალურ მოვლენებზე დამყარებულ გადაცემებში ინსცენირება გამოიყენება დანაშაულის უკეთ ილუსტრირების მიზნით. გაითვალისწინეთ შემდეგი წესები:

- არ გამოიყენოთ ფაქტის ინსცენირების ხერხი აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის ან გართობის მიზნით;
- მიზანშეწონილი არ არის ისეთი დეტალების აღდგენა, რომლებიც არ ადასტურებს მომხდარ ფაქტს;
- მიზანშეწონილი არ არის მუსიკალური ფონის ან სხვა ხმოვანი ეფექტების გამოყენება;
- მოერიდეთ შენელებული კადრების გამოყენებას მხოლოდ მოვლენის დრამატიზების მიზნით;
- ისე აღადგინეთ დანაშაულის სურათი, რომ მისი უარყოფითი ზეგავლენა დაზარალებულსა თუ დანაშაულის მსხვერპლის ახლობლებზე მინიმალური იყოს.

პროგრამის მსვლელობისას აუდიტორიისთვის გასაგები უნდა იყოს, სად იწყება ან სად მთავრდება ინსცენირება.

კანონსაწინააღმდეგო ქმედების თვითმხილველობა

ჟურნალისტი, რომელიც კანონსაწინააღმდეგო ქმედების თვითმხილველი აღმოჩნდა და მას ფირზე აღბეჭდავს:

- არავითარი გზით არ უნდა ჩაერიოს მოვლენების განვითარებაში;
- არ უნდა შეუწყოს ხელი დანაშაულებრივ ქმედებას;
- არ უნდა შეაფერხოს სამართალდამცავი ორგანოების ქმედება.

უკანონო ქმედებების დემონსტრირება

ჟურნალისტებმა, როგორც წესი, არ უნდა აღწერონ ან აჩვენონ დანაშაულის მეთოდები ისე დეტალურად, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამეორება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საზოგადოებრივი ინტერესებით არის გამართლებული. არც ისეთი დეტალები უნდა აჩვენონ ან გაამჟღავნონ, რომლებმაც შესაძლოა კრიმინალური საქმიანობა მიმზიდველი გახადოს.

დაუშვებელია ისეთი ფაქტებისა და ინფორმაციის გადაცემა, რომელიც საზოგადოებას დანაშაულისა და არეულობისაკენ მოუწოდებს ან უბიძგებს.

საშიში დამნაშავეები

საშიში დამნაშავეების, მათ შორის სექსუალური მოძალადეების და პედოფილების, ციხიდან გათავისუფლებამ შესაძლოა მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვიოს. ასეთი დამნაშავეის გათავისუფლების ფაქტის და ვინაობის გამჟღავნება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ იგი საზოგადოებისთვის კვლავაც რეალურ საშიშროებას წარმოადგენს. თუმცა, ასეთმა ინფორმაციამ არ უნდა გამოიწვიოს ზედმეტი დაძაბულობა და პირის კერძო ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევა. თუ დამნაშავეს სასჯელი მოხდილი აქვს და მზადაა საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდეს, ზედმეტი ყურადღების გამახვილება საზოგადოებაში მის ინტეგრირებას შეაფერხებს.

რეკომენდაცია

არ უნდა ჩათვალოთ, რომ კანონიერად გათავისუფლებული პიროვნება აუცილებლად უქმნის საფრთხეს საზოგადოებას. თუმცა, საზოგადოების ინტერესში შედის იმის გარკვევა, რამდენად უწყინარია ციხიდან გათავისუფლებული დამნაშავე.

ასეთ თემაზე მუშაობისას მოიპოვეთ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია დამნაშავეის ხასიათისა და დანაშაულის ხარისხის შესახებ. გაითვალისწინეთ დაზარალებულის, პოლიციის, პენიტენციური სისტემის და თვითონ დამნაშავეის, ასევე, ყველა იმ ადამიანის მოსაზრება, ვინც უშუალოდ იცნობს საქმეს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. მომზადებული მასალა უნდა შეიცავდეს დამნაშავეის შესახებ ოქმში არსებულ ინფორმაციას, ასევე ყველა იმ პირობასა და მიზეზს, რის საფუძველზეც გათავისუფლდა დამნაშავე.

დაუშვებელია ფაქტების გაზვიადება და საზოგადოებაში შიშის დათესვა. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით გაავრცელებული სრულყოფილი ინფორმაცია, რათა საზოგადოებამ თავად შეძლოს არსში გარკვევა და გათავისუფლებული დამნაშავეის უწყინარობის ხარისხის შეფასება.

დამნაშავეის ოჯახი

დამნაშავეების შესახებ დეტალური რეპორტაჟის მომზადებისას შეიძლება საჭირო გახდეს მისი ოჯახური მდგომარეობის ასახვა. განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ, რომ ასეთი ინფორმაციის გავრცელებისას მორალური ზიანი არ მიაყენოთ დამნაშავეის ოჯახის წევრებს და/ან არ მოხდეს მათი დანაშაულთან ასოცირება.

ინტერვიუ მოწმეებთან ან პოტენციურ მოწმეებთან

სასამართლო პროცესის მოწმეებისგან ან პოტენციურ მოწმეებისგან ინტერვიუს აღებამ ხელი არ უნდა შეუშალოს სამართლიანობის დადგენას.

რეკომენდაცია

ასეთი მოწმეებისგან ინტერვიუს აღება არ არის მიზანშეწონილი სასამართლო პროცესის დასრულებამდე. ზოგიერთ შემთხვევაში, მოწმემ შესაძლოა განაცხადოს, რომ ჟურნალისტმა გარკვეული მითითებები მისცა ან შეეცადა მასზე ზეგავლენის მოხდენას. მსგავსი ბრალდებების თავიდან ასაცილებლად სრულად ჩაიწერეთ ინტერვიუ.

ინტერვიუ პატიმრებთან

პატიმართან ინტერვიუს ჩასაწერად აიღეთ ნებართვა ციხის ადმინისტრაციისგან. თუ პატიმარს ტელეფონით სარგებლობის უფლება აქვს და დაგიკავშირდათ, ჩაიწერეთ ეს საუბარი და არ გადასცეთ იგი პირდაპირი ეთერით. პატიმართან ინტერვიუ არ უნდა გადაიზარდოს დანაშაულის პროპაგანდაში.

10. რეკომენდაცია დასწრება

პოლიციის, საგადასახადო ორგანოსა თუ სხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები ზოგჯერ ნებას რთავენ ჟურნალისტებს, დაესწრონ მათ მიერ ჩატარებულ ოპერაციებს თუ რეიდებს (მაგალითად, ნარკოტიკების გამსაღებელთა, კორუმპირებულ ჩინოვნიკთა, და სხვ. გამოსავლენად). ასეთი შეთავაზების მიღების შემთხვევაში, ჟურნალისტებმა კარგად უნდა გაიაზრონ ამ პროცესში მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

რეკომენდაცია

უდავოა, რომ ზემოაღნიშნული რეიდების გაშუქება საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. მაგრამ არსებობს იმის საფრთხეც, რომ ეს მხოლოდ საზოგადოებაში დადებითი გამოხმაურების მოსაპოვებლად კეთდებოდეს. ამ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ასეთ უწყებებს ჟურნალისტები ამ მიზნის მიღწევაში უწყობენ ხელს. გადაცემის ავტორები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაესწრონ ასეთ რეიდებს, როდესაც ამ მოვლენის მიმართ არსებობს ძეგფიოდ გამოხატული საზოგადოებრივი ინტერესი.

პოლიციის, საბაჟო, ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებულ ოპერაციებზე დასწრების, განსაკუთრებით, კერძო საკუთრებაზე ჩატარებული რეიდების დროს, საჭიროა:

- შენიღბოთ მასალაში ასახული უდანაშაულო პირთა გამოსახულება, თუ არსებობს საშიშროება, რომ მათი ვინაობის გამჟღავნებას არასასურველი შედეგი მოჰყვება.
- სათანადო ტექნიკური თუ გრაფიკული საშუალებებით შენიღბოთ გადაღებული ადგილი ისე, რომ მისი ამოცნობა შეუძლებელი იყოს, თუ ამ ადგილის ასახვამ შეიძლება ხელი შეუწყოს უდანაშაულო პირთა ვინაობის ამოცნობას.

11. ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდები

ფარული ჩაწერა

ინფორმაციის მოპოვების ფარული მეთოდები გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ კანონიერების ფარგლებში, კეთილსინდისიერებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპების გათვალისწინებით.

ინფორმაცია, ჩვეულებრივ, დაუფარავად უნდა მოიპოვოთ, რათა არ დაირღვეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და რესპონდენტთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის პრინციპები. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია ინფორმაციის ფარული მეთოდებით მოპოვება. ფარულ ჩაწერას ყოველდღიურ პრაქტიკად ნუ აქცევთ და ამ მეთოდს მხოლოდ მაშინ მიმართეთ, როდესაც მისი გამოყენება გამართლებულია.

ფარული მეთოდების გამოყენება გამართლებულია, როდესაც:

- დასადგენია საზოგადოებისათვის საინტერესო ისეთი საკითხები, რომლებიც სერიოზულ ანტი-საზოგადოებრივ თუ დანაშაულებრივ ქმედებას ეხება;
- არსებობს დანაშაულებრივი ქმედების დოკუმენტური ან სხვა სახის მტკიცებულება, ან არსებობს ამგვარი ქმედების ჩადენის განზრახვის დამადასტურებელი საბუთი;
- ღია მეთოდებით შეუძლებელია საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვება;
- აუცილებელია მტკიცებულების მოსაპოვებლად;
- ტარდება სოციალური კვლევა ისეთი პროგრამისათვის, რომლის მიზანიც ადამიანთა ბუნებრივი დამოკიდებულებისა და ქცევის ასახვაა, რაც სუბიექტის გაფრთხილების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. მაგალითად, როგორ რეაგირებს ხალხი, როდესაც ქუჩაში მათხოვარს ჩაუვლის.
- აუცილებელია კომედიური და გასართობი ხასიათის გადაცემების მოსამზადებლად.

ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, აუდიტორიას უნდა აცნობოთ ფარული ჩაწერის მიზეზი.

ფარული ჩაწერა წინასწარ შეუთანხმეთ შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელს. ფარულად ჩაწერილი მასალა შეინახეთ მაშინაც კი, როდესაც მოპოვებული მასალა ეთერით არ გადაიცემა. გადაწყვეტილება მასალის ფარული მეთოდებით მოპოვებასა და მის ტრანსლირებაზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიღება.

- კერძო ტერიტორიაზე ფარული ჩაწერის გასაკეთებლად საზოგადოებრივი ინტერესი გაცილებით დიდი უნდა იყოს, ვიდრე საჯარო ადგილზე ფარული ჩაწერის შემთხვევაში.
- მკურნალობის პროცესის ფარულად ჩაწერა მხოლოდ ძლიერი საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაშია გამართლებული. გადაღებულ მასალაში არ უნდა იყოს შესაძლებელი ავადმყოფის ამოცნობა, თუ ამაზე თავად ავადმყოფი არ არის თანახმა ან არ არსებობს ძლიერი საზოგადოებრივი ინტერესი.
- მხოლოდ ძლიერი საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაშია დასაშვები ადამიანების ფარულად ჩაწერა პირადი მწუხარების ან გლოვის დროს.

- დაუშვებელია კერძო ტერიტორიაზე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ფარულად ჩაწერა მხოლოდ იმის გასარკვევად, მონაწილეობს თუ არა იგი რაიმე დანაშაულსა ან ანტისოციალურ ქმედებაში; ამისათვის სერიოზული საფუძველი უნდა არსებობდეს
- დაუშვებელია ჩამწერი აპარატურის კერძო ტერიტორიაზე დატოვება მეპატრონის, მობინადრის ან წარმომადგენლის ნებართვის გარეშე, თუკი ეს სერიოზული დანაშაულის მტკიცებულებების მოპოვების მიზნით არ ხდება.

როდესაც ფარული ჩაწერა ან რაიმე სხვა სახის ტყუილი გამოიყენება კომპიუტერი და გასართობი ხასიათის პროგრამებისთვის, აუცილებელია:

- მასალის ჩვენებაზე თანხმობა მიიღოთ იმ ადამიანებისგან, რომლებიც გამოკვეთილად ჩანან მასალაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უნდა შენიღბოთ;
- სატელეფონო საუბრის ეთერში გაშვებაზე მიიღოთ ჩაწერილი ადამიანის თანხმობა.
- შეწყვიტოთ ჩაწერა, თუ ადამიანი მიხვდა, რომ ფარულად იწერენ, და მოითხოვა მისი შეწყვეტა. თუ მან ფარულად ჩაწერილი მასალის განადგურებაც მოითხოვა, ეს მოთხოვნა უნდა შეასრულოთ.

ფარულად ჩაწერილმა მასალამ ადამიანი დაცინვის ობიექტად არ უნდა აქციოს.

სიცრუე, ვინაობის და პროფესიის დამალვა

ინფორმაციის მოსაპოვებლად არ იცრუოთ, არ დამალოთ არც თქვენი ვინაობა და არც პროფესია. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის მოსაპოვებლად პროფესიის დამალვაა საჭირო, მაგალითად, საზოგადოების მოტყუების სქემის გამოძიების დროს.

ჟურნალისტური პროფესიისა და მიზნის შესახებ ტყულის თქმა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის და მისი მოპოვება სხვა გზით შეუძლებელია.

12. საბამოძიებო ჟურნალისტიკა

ჟურნალისტური გამოძიება მნიშვნელოვანი მეთოდია საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხების გასარკვევად. ჟურნალისტური გამოძიება რედაქციულად გამართლებული უნდა იყოს, ხოლო გამოსაძიებელი საკითხი ბოლომდე შესწავლილი.

რეკომენდაცია

საგამოძიებო ჟურნალისტიკამ უნდა გაითვალისწინოს საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა, რათა დრო ტყუილად არ დაიხარჯოს უმნიშვნელო საკითხებზე მაშინ, როდესაც უფრო მნიშვნელოვანი საკითხები იმსახურებს ყურადღებას.

დანაშაულის ან ანტისაზოგადოებრივი ქმედების გამოძიება განყოფილების ხელმძღვანელთან ან პროდიუსერთან შეათანხმეთ. გამოძიების დაწყებამდე გაიარეთ იურიდიული კონსულტაცია. განყოფილების ხელმძღვანელისგან ან პროდიუსერისაგან თანხმობის მიღებამდე, შეისწავლეთ ინფორმაციის წყაროს რეპუტაცია და მოტივაცია. ასევე, კარგად აწონ-დაწონეთ გამართლებულია თუ არა დამატებითი ფაქტების მოსაპოვებლად ტყუილის გამოყენება, შენიღბულად მუშაობა ან ფარულად ჩაწერა. დაფიქრდით, არის თუ არა ეს ერთადერთი სამოქმედო გზა და გაანალიზეთ ამ გამოძიების სავარაუდო შედეგები.

ჟურნალისტური გამოძიების სიუჟეტი ისე უნდა მომზადდეს, რომ აუდიტორიამ შესწავლილ საკითხზე საკუთარი დასკვნის გამოტანა შეძლოს. დასკვნა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს გადაცემაში წარმოდგენილი ფაქტებიდან და არა მასში გამოთქმული ჟურნალისტის მოსაზრებებიდან ან გამოსახულების მანიპულირებით შექმნილი შთაბეჭდილებიდან. გადაცემა უნდა ასახავდეს ყველა ხელმისაწვდომ მტკიცებულებას და აღნიშნულ საკითხზე არსებულ განსხვავებულ მოსაზრებათა სათანადო სპექტრს.

რეკომენდაცია

საკითხი შეისწავლეთ სერუპულოზურად, რათა აუდიტორიას ზუსტი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და ამომწურავი ინფორმაციის მიაწოდოთ..

დაიცავით მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპები და საშუალება მიეცით ყველა მონაწილეს მხარეს, გამოთქვას საკუთარი ვერსია ან პოზიცია. ჟურნალისტური გამოძიების დროს განსახილველ საკითხზე ინტერვიუს აღებისას, რესპონდენტს აცნობეთ ინტერვიუს ზოგადი მიზანი, მაგრამ ინტერვიუ ისე წარმართეთ, რომ საზოგადოებამ მიიღოს საჭირო ინფორმაცია და დასმულ კითხვებზე გულახდილი, წინასწარ მოუმზადებელი პასუხები.

თუ გამოძიება სპეციალური ჟურნალისტური მეთოდების (მაგალითად, ფარული ჩაწერის) გამოყენებას მოითხოვს, ფარულ ჩაწერაზე აიღეთ ნებართვა შესაბამისი ხელმძღვანელისაგან.

ჟურნალისტი ვალდებულია, შეინახოს ნებისმიერი მასალა (აუდიო, ვიდეო თუ ხელით ჩაწერილი), რომელიც საგამოძიებო პროგრამებისთვის გროვდება:

13. ინფორმაციის დამუშავება

პროგრამის წამყვანები და ინტერვიუერები

პროგრამის წამყვანები და ინტერვიუერები სამართლიანად უნდა მოექცნენ რესპონდენტს თუ გადაცემის სტუმარს.

გადაცემის წამყვანი ან ინტერვიუერი:

- არ უნდა იყოს კრიტიკული და მომთხოვნი ერთი რესპონდენტის, ხოლო შემრიგებლური და დამთმობი მეორის მიმართ;
- არ უნდა გამოხატოს რესპონდენტისადმი მხარდაჭერა არც საჯარო განცხადებებით, არც დისკუსიის წაყვანის მანერით ან შეკითხვების შერჩევით.

რესპონდენტები და მოწვეული სტუმრები

გადაცემაში მონაწილეობისათვის ისეთი კვალიფიკაციის სტუმრები უნდა მოძებნოთ, რომლებიც განსახილველ საკითხზე კომპეტენტური მოსაზრების გამოხატვას შეძლებენ. თუ საჭიროა, მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია სავარაუდო სტუმრის კვალიფიკაციის შესახებ.

ინტერვიუს აღების ან გადაცემის წაყვანის დროს დაუშვებელია ტენდენციურობა, უხეშობა ან დისკუსიაში მონაწილე რომელიმე მხარის გამორჩევა. კითხვები, რაც არ უნდა მძაფრი იყოს, დასვით თავაზიანად. მიეცით რესპონდენტს საშუალება, დასმულ კითხვაზე პასუხი გაგცეთ. თუმცა, რესპონდენტის შეჩერება და მის პასუხში ჩარევა გამართლებული და დროულია, თუ იგი ეთიკურ ნორმებს არღვევს ან თავს არიდებს დასმულ კითხვას და ცდილობს, ინტერვიუ

საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს. რესპონდენტს მოსთხოვთ ინტერვიუს ან დისკუსიის დროს გამოთქმული სადავო აზრების არგუმენტირება.

რეკომენდაცია

ინტერვიუს ჩაწერამდე მოიპოვეთ ამომწურავი ინფორმაცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რომ შეძლოთ კვალიფიციური კითხვების დასმა, არასწორი, ტენდენციური მოსაზრების გამოცნობა და კონტრარგუმენტის მოყვანა. ნუ გამოავლენთ საკუთარ დამოკიდებულებას და ემოციებს, დაუკვირდით თქვენს შესტებს, ტონს, სიტყვებს და ა.შ., რომ დაყურებელმა მიკერძოებულობაში არ დაგდოთ ბრალი.

რესპონდენტს აცნობეთ გადაცემაში მოწვევის მიზეზი, განსახილველი თემები, გადაცემის ხასიათი; ასევე, აცნობეთ გადაცემაში მისი როლი. ზოგჯერ რესპონდენტები საკუთარ პირობებს უყენებენ ინტერვიუერებს. მაგალითად, რესპონდენტი შეიძლება ინტერვიუზე არ დათანხმდეს კითხვების წინასწარ გაცნობის გარეშე. ამ შემთხვევაში განსაზღვრეთ, რამდენად მიზანშეწონილია ასეთი ინტერვიუს ჩაწერა.

გამონაკლის შემთხვევაში, შეიძლება დაეთანხმით რესპონდენტის პირობებს, თუ ამით სარედაქციო დამოუკიდებლობა არ ილახება. თუ პირობები მიუღებელია, დაიცავით საკუთარი პოზიცია და თავი შეიკავეთ ასეთი რესპონდენტის მოწვევისგან.

ეთერში გაშვებამდე, ჩვეულებრივ, რესპონდენტს/პროგრამის სტუმარს ჩაწერილ მასალას არ უჩვენებენ. თუ სარედაქციო, ეთიკური ან იურიდიული მოსაზრებებით რესპონდენტს წინასწარ უჩვენებთ მასალას, გარკვევით განუმარტეთ მას, რომ არ შელახავთ სარედაქციო დამოუკიდებლობას და გაითვალისწინებთ მხოლოდ შესაძლო ფაქტობრივ უზუსტობებთან დაკავშირებულ შენიშვნებს.

რედაქტირება, მონტაჟი

რედაქტირებული და/ან დამონტაჟებული მასალა ამბის ან მოვლენის ობიექტურ სურათს უნდა ასახავდეს. დაუშვებელია ტექსტის, გამოსახულების ან ხმის მანიპულირებით, კადრების გამეორებით ან სხვა მასალიდან აღებული სცენების ჩამატებით საკითხების არასწორად წარმოჩენა და აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა.

13.3.1 ინტერვიუების რედაქტირება

დაუშვებელია ინტერვიუს ტენდენციური რედაქტირება, რესპონდენტის აზრის და პოზიციის დამახინჯება. ჟურნალისტი ვალდებულია, უზრუნველყოს რედაქტირებული მასალის შესაბამისობა რესპონდენტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან.

ინტერვიუს რედაქტირებას მოეკიდეთ კეთილსინდისიერად. ზუსტად და სწორ კონტექსტში გამოიყენეთ რესპონდენტის პასუხები და მოსაზრებები. პერიფრაზირებისას არ დაამახინჯოთ მისი გამონათქვამები. არაეთიკური და უსამართლოა მხოლოდ სუსტი პასუხების დატოვება და არგუმენტირებული პასუხების უგულებელყოფა.

ინტერვიუების რედაქტირების/მონტაჟის დროს დაიცავით შემდეგი წესები:

- არ შეცვალოთ კითხვებისა და პასუხების თავდაპირველი აზრი ან მთელი ინტერვიუს საერთო არსი;
- ერთ კონტექსტში დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხები არ გამოიყენოთ სხვა კონტექსტში;
- ერთ კითხვაზე გაცემული პასუხი არ გამოიყენოთ სხვა კითხვის პასუხად;

- არ შეცვალოთ ან დაამახინჯოთ კითხვა და არც ახალი კითხვა ჩაამატოთ;
- ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაწერილი რესპონდენტების ინტერვიუები არ დაამონტაჟოთ ისე, რომ აუდიტორიამ რესპონდენტებს შორის კამათად აღიქვას.
- არ გამოიყენოთ მასალა სხვა მიზნით ან სხვა პროგრამაში, თუ ამით რესპონდენტისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების პრინციპი ირღვევა.

თუ საჭიროა, აუდიტორიას აცნობეთ ინტერვიუს ჩატარების ადგილი და ვითარება. ადრინდელი ჩანაწერის გამოყენების შემთხვევაში კი გარკვევით აღნიშნეთ, რომ ჩანაწერი ძველია.

13.3.2 სპეციფიკების გამოყენება

რადიო და სატელევიზიო პროგრამებში სპეციფიკების გამოყენებამ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს მაუწყებლის მიუკერძოებლობა.

განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდეთ ვიზუალური და ხმოვანი ეფექტების, ასევე კომპიუტერული ეფექტების, გამოყენებას და მკაცრად შეაფასეთ აუდიტორიაზე მათი ზემოქმედება. ასეთი ეფექტების გამოყენებამ არ უნდა დაამახინჯოს რეალობა და არ უნდა აღძვრას ეჭვი, რომ მათი მეშვეობით საკუთარ ან მაუწყებლის მოსაზრებას გამოხატავთ.

13.3.3 კადრის კომპოზიცია, კამერის რაკურსის

საინფორმაციო გამოშვებებში კადრები მომხდარ ან მიმდინარე მოვლენებს ობიექტურად უნდა ასახავდეს.

კადრის კომპოზიციით აუდიტორიაზე ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეიძლება (მაგალითად, გადაცემული მასალისადმი სასურველი განწყობის შექმნა, მის შესახებ აზრის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედება და ა.შ.). ძირითადად, გადაღების ორი მეთოდი არსებობს: სუბიექტური ანუ პერსონალური გადაღება და ობიექტური ანუ რეპორტაჟული გადაღება. საინფორმაციო სიუჟეტებში სუბიექტური მეთოდის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან არსებობს ობიექტური სურათის დამახინჯების საშიშროება.

კამერის რაკურსის შერჩევით შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს გადაღების ობიექტის როგორც მნიშვნელობა, ასევე გამოსახულება. საინფორმაციო გამოშვებისთვის მასალას ისეთი რაკურსით ნუ გადაიღებთ, რომ რეალური სურათი შეიცვალოს (განსაკუთრებით პიროვნებების გადაღების დროს).

13.4 მოვლენების რეკონსტრუქცია

მოვლენების რეკონსტრუქციამ არ უნდა შეიყვანოს აუდიტორია შეცდომაში.

მოვლენათა აღდგენა ან განმეორებით დადგმა აუდიტორიას ეზმარება, უკეთ გაერკვეს საკითხში ან აღიქვას მოვლენა. ფაქტების რეკონსტრუქცია ყოველთვის ზუსტად და სამართლიანად, სანდო მასალებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს. არ დადგათ ისეთი რამ, რაც სინამდვილეში არ მომხდარა. რეკონსტრუქციის დროს მოერიდეთ მოვლენის ზედმეტ დრამატიზებას ან მისთვის სენსაციურობის მინიჭებას. დადგმული სცენები არ წარმოადგინოთ დოკუმენტურ მასალად. დანარჩენი მასალისაგან გამოყავით ვიზუალური ხერხით (მაგალითად, შენელებული ან შავ-თეთრი კადრებით, სხვ.) ან განმასხვავებელი გრაფიკული ნიშნით, რათა აუდიტორია არ დაიბნეს.

საინფორმაციო გამოშვებებში მიმდინარე მოვლენების რეკონსტრუქცია, როგორც წესი, არ ხდება. თუმცა, სხვების (მაგ. პოლიციის) მიერ აღღგენილი სცენები შეიძლება გამოიყენოთ.

13.5 არქივის მასალა

13.5.1 არქივის მასალის ნიშანდობა

გადაცემებში გამოყენებული საარქივო მასალა განმასხვავებელი ნიშნით უნდა აღინიშნოს.

საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტებში და მიმდინარე მოვლენების ამსახველ გადაცემებში გამოყენებულ საარქივო მასალას უნდა ჰქონდეს გრაფიკული ნიშანი „არქივი“ ან გამოყოფილი იყოს სხვა ვიზუალური ხერხით, რათა აუდიტორია შეცდომაში არ შევიყვანოთ.

რეკომენდაცია

არ არის აუცილებელია ისეთი მასალის აღნიშვნა, რომლის სიძველეს აშკარაა (მაგ. შავ-თეთრი კადრები, მოძველებული ფორმატი, სხვ.).

13.5.2 პირადი მწუხარებისა და ტრაგედიის ამსახველი საარქივო მასალა

პირადი მწუხარებისა და ტრაგედიის ამსახველი საარქივო მასალის გამოყენება გამართლებულია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაში. საარქივო მასალის გამეორებამ მაყურებელს ტრავმა არ უნდა მიაყენოს.

თუ შესაძლებელია, წინასწარ აცნობეთ საარქივო მასალაში ასახულ პირებს ან გარდაცვლილი ადამიანის ნათესავებს ამ კადრების გამეორების შესახებ. გულისხმიერებითა და თანაგრძნობით მოეკიდეთ მათ აზრს და გაითვალისწინეთ მასალის განმეორებითი ჩვენებისას. ასეთი საარქივო მასალების გამოყენებაზე უარის შემთხვევაში მათი გამეორება დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას.

რეკომენდაცია

დრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ მწუხარებისა და ტრაგედიის ამსახველი საარქივო კადრების ჩვენებისას. როდესაც შემთხვევა ახალი მომხდარია, მოვლენის სრულად და ზუსტად გაშუქებისათვის დეტალური კადრების გამოყენება, როგორც წესი, გამართლებულია. თუმცა დროის გასვლასთან ერთად, ასეთი მასალის გამეორება შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი. შემთხვევის წლისთავზე მისი გამოყენება, ჩვეულებრივ, გამართლებულია, მაგრამ სიფრთხილის გამოჩენა აქაც გამართებთ.

13.5.3 დანაშაულის ამსახველი საარქივო მასალა

პასუხისმგებლობით მოეკიდეთ იმ საარქივო მასალის გამოყენებას, რომელზეც დანაშაული ან დანაშაულის მსხვერპლია ასახული.

დაიცავით შემდეგი წესები:

- არ გამოიყენოთ ერთი დანაშაულის ამსახველი საარქივო მასალა სხვა სახის დანაშაულის საილუსტრაციოდ;
- ნუ გამოიყენებთ ერთსა და იმავე კადრებს ზოგადი თემის საილუსტრაციოდ;
- რაიმე დანაშაულის საილუსტრაციოდ არქივიდან მასალის შერჩევისას, არ გამოიყენოთ ისეთი კადრები, რომლებიც რასობრივი, ნაციონალური, რელიგიური, სექსუალური თუ სხვა სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ან გამყარებას უწყობს ხელს;

- სიფრთხილე გამოიჩინეთ სპეციფიკური დანაშაულის ან დანაშაულის კატეგორიის საილუსტრაციოდ პატიმრების ამსახველი საარქივო კადრების გამოყენებისას. ასეთ კადრებში პიროვნება არ უნდა იყოს ამოსაცნობი, თუკი მას მოცემულ დანაშაულთან კავშირი არა აქვს.

რეკომენდაცია

ისეთი დანაშაულის ამსახველი საარქივო მასალის გამოყენებისას, რომელზეც ჯერ სასამართლოს განაჩენი არ გამოუტანია ან რომელიც განხილვის პროცესშია, კონსულტაცია იურიდიულ განყოფილებასთან გაიარეთ.

13.6 გადაცემის გამეორება

განმეორებითი ჩვენების წინ ყველა გადაცემა შეამოწმეთ. პირველი ჩვენების შემდეგ შეიძლება ისეთი ცვლილებები მოხდეს, რომ გადაცემაში ასახული მასალა რეალობას აღარ შეეფერება (მაგალითად, მასალაში გადმოცემული მოსაზრება შეიცვალა, მასში ასახული პიროვნება გარდაიცვალა, დააპატიმრეს და ა.შ.). აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად, გამეორებულ გადაცემას უნდა ექნოს გრაფიკული ნიშანი.

შესაძლოა, გადაცემის პირვანდელი სახით გამეორება გამართლებული იყოს. მაგრამ თუ იცით, რომ პროგრამაში ასახული ფაქტობრივი მასალა აღარ არის ზუსტი, ან სხვა რაიმე მიზეზით მოძველებულია, აცნობეთ აუდიტორიას ამის შესახებ.

13.7 სატირა

საინფორმაციო პროგრამებში, იშვიათი შემთხვევების გარდა, სატირას არ იყენებენ. სატირულმა სიუჟეტმა ზოგიერთი მაყურებელი შეიძლება ისე დააბნიოს, რომ ვერ მიხვდეს სიუჟეტის მიზანს. სატირული სიუჟეტები ისე უნდა მომზადდეს, რომ მაყურებელმა ადვილად გაარჩიოს რეალური ინფორმაცია და მოსაზრება იუმორისტულად გადმოცემული ინფორმაციისაგან.

14 აუდიტორიის პატივისცემა

14.1 დახვეწილი გემოვნება

სსმ-ის გადაცემები დახვეწილი გემოვნებით უნდა გამოირჩეოდეს.

ჩვენი მოვალეობაა, ავსახოთ რეალობა მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტებით. ამავე დროს, უნდა დავიცვათ ზომიერება და პატივისცემით მოვეკიდოთ საზოგადოების გემოვნებას, ტრადიციულად ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხისადმი.

სიფრთხილით მოეკიდეთ ისეთი საკითხების გაშუქებას, რომლებიც აუდიტორიის გარკვეული ნაწილისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, შეიძლება საზიანო და შეურაცხმყოფელი იყოს ანდა მისი გემოვნებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდეს (მაგალითად, შეიცავს უცენზურო სიტყვებს, დამამცირებელ ლექსიკას, ეროტიკულ სცენებს, სექსუალურ ძალადობას, უბედურებისა თუ ძალადობის ამსახველ კადრებს, დისკრიმინაციულ ქმედებას ან საუბარს, სხვ.)

მსგავსი მასალის ტრანსლირებისას დაიცავით შემდეგი წესები:

- სათანადოდ დაგეგმეთ გადაცემის ტრანსლირების დრო;

- გამოიყენეთ მინიშნებები და გამაფრთხილებელი განცხადებები, რათა აუდიტორიამ საკმარისი ინფორმაცია მიიღოს პროგრამის შესახებ და თავად განსაჯოს, რამდენად შესაფერისია იგი მისთვის ან მისი ბავშვებისათვის;
- გაითვალისწინეთ აუდიტორიის მოლოდინი ტრანსლირებული მასალის შინაარსისა და ხასიათისადმი.

14.2 აუდიტორიის მოლოდინი

დღის განმავლობაში (დღიდან გვიან საღამომდე) აუდიტორია მოელის საოჯახო ჩვენებისთვის შესაფერის გადაცემებს. ამიტომ, გადაცემების დაგეგმვისას, გაითვალისწინეთ იგი და აუდიტორიის აცნობეთ ასეთი მოლოდინისათვის შეუფერებელი მასალის შესახებ.

რეკომენდაცია

გაითვალისწინეთ კონკრეტული გადაცემის სავარაუდო აუდიტორია და ასაკი, ასევე, მომდევნო გადაცემის შინაარსი და ხასიათი, რადგან ეს აუდიტორია შეიძლება ისევ უყურებდეს ან უსმენდეს მაუწყებელს. მაგალითად, „ბაბილინას“ არ უნდა მოსდევდეს ისეთი პროგრამა, რომელიც ბავშვისათვის შეუფერებელი იქნება. გასათვალისწინებელია კონკრეტული გარემოებებიც. მაგალითად, რაიმე რელიგიური დღესასწაულის ან ტრავიკული მოვლენის წლისთავზე გარკვეული ხასიათის (მაგალითად, გასართობი) გადაცემის ტრანსლირება აუდიტორიის მოლოდინს შეიძლება არ შეეფერებოდეს.

14.3 გამაფრთხილებელი განცხადებები

ისეთი მასალის ტრანსლირებამდე, რომელიც შეიძლება შეიცავდეს აუდიტორიის ან მისი გარკვეული სემენტისათვის (ბავშვები) საზიანო ან შეურაცხმყოფელ მასალას, უნდა გაკეთდეს მინიშნება ან გამაფრთხილებელი განცხადება.

გამაფრთხილებელი განცხადება არ უნდა დაემსგავსოს მოწოდებას, რომ აუდიტორიამ შეწყვიტოს გადაცემის ყურება ან მოსმენა. იგი უნდა შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას მასალის შინაარსისა და ხასიათზე, რათა აუდიტორიამ თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

14.4 ტელევიზია და წყალგამყოფი

სატელევიზიო პროგრამების განრიგის შედგენისას, ერთის მხრივ, უნდა დავიცვათ არასრულწლოვანები (განსაკუთრებით, ბავშვები) მათთვის შეუფერებელი მასალისაგან და, მეორეს მხრივ, გავითვალისწინოთ ზრდასრული მაყურებლის უფლება, დღის განმავლობაში მიიღოს ინფორმაცია საკითხთა ფართო სპექტრის შესახებ. განრიგის შედგენისას დაცული უნდა იყოს ე.წ. „წყალგამყოფი“ ანუ საეთერო დროის გამყოფი ზღვარი.

წყალგამყოფი ეწოდება საეთერო დროის გამყოფ ზღვარს, რომელიც საოჯახო ჩვენებისათვის და ზრდასრული აუდიტორიისათვის განკუთვნილი პროგრამების ერთამეთისაგან გასამიჯნად გამოიყენება. **სსმ-ში წყალგამყოფი იწყება 21:00 და მთავრდება 08:00-ზე.**

წყალგამყოფის დადგომისთანავე ნუ აჩვენებთ ბავშვებისათვის ძალზე შეუფერებელ მასალას. გაითვალისწინეთ, რომ ისინი შეიძლება ისევ ისხდნენ ეკრანთან. თუ ეს ვერ ხერხდება, გააკეთეთ გამაფრთხილებელი განცხადება.

გადაცემების მომზადებამდე ზუსტად დაგეგმეთ ტრანსლირების დრო. თავდაპირველ განრიგში მოგვიანებით ცვლილების შეტანისას (განსაკუთრებით, თუ ცვლილება წყალგამყოფის შემდეგ

დაგეგმილი პროგრამის წყალგამყოფამდე გადმოტანას გულისხმობს) შეიძლება აუცილებელი გახდეს მასალის რედაქტირება.

ახალი ამბების სპეციფიკიდან გამომდინარე ყოველთვის ვერ ხერხდება წყალგამყოფის დაცვა. თუ სინფორმაციო გამოშვების სიუჟეტი მიიძევა, აუდიტორია უშუალოდ სიუჟეტის წინ გააფრთხილეთ. განსაკუთრებული ყურადღება გმართებთ ახალი ამბების სპეციალური გამოშვების დროს, ვინაიდან ასეთი გამოშვებების დროისა და შინაარსის პროგნოზირება შეუძლებელია. თუ აუცილებელია საბავშვო პროგრამების სპეციალური გამოშვებით შეწყვეტა, გააკეთეთ ვიზუალური და სიტყვიერი განცხადება მისი ტრანსლირების წინ, რათა მაყურებლისთვის შეუფერებელი მასალა მოულოდნელი არ აღმოჩნდეს. ეს მაშინაც კი უნდა გაკეთდეს, როდესაც სპეციალური გამოშვება ძალზე ოპერატიულად უნდა გადაიცეს.

14.5 რადიო

რადიო განსხვავდება ტელევიზიისაგან. რადიოს წყალგამყოფი არა აქვს, რადგან იქ გამოსახულების ფაქტორი არ არსებობს. თუმცა, რადიოში საეთერო დროის დაგეგმვის პრინციპი მოქმედებს. რადიოპროგრამების განრიგის შედგენისას გაითვალისწინეთ სავარაუდო აუდიტორიის მოლოდინი. როგორც ტელევიზიის შემთხვევაში, რადიომსმენელიც უნდა გააფრთხილოთ მისთვის შეუფერებელი გადაცემის გაშვების წინ.

რადიოგადაცემების უმრავლესობა, მათ შორის, დისკუსიები პრობლემატურ და საკამათო თემებზე, პირდაპირ ეთერში გადის და ინტერაქტიულია. ამიტომ, წამყვანები ყურადღებით უნდა იყვნენ, რომ გადაცემის მონაწილეებმა და სტუდიაში შემოსული სატელეფონო ზარების ავტორებმა არ დაარღვიონ ეთიკური ნორმები. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად სასურველია გადაცემის მონაწილეებსა და, შეძლებისდაგვარად, სატელეფონო ზარის ავტორებს ეთერში გასვლამდე სთხოვოთ, თავი შეიკავონ არაეთიკური გამონათქვამებისაგან. პირდაპირ ეთერში მომუშავე წამყვანებმა ნებისმიერ უხერხულ ან რთულ სიტუაციას დელიკატურად უნდა გაართვან თავი.

14.6 ანონსების განრიგი

ტელე და რადიოგადაცემების ანონსების დაგეგმვისას გაითვალისწინეთ აუდიტორიის სავარაუდო მოლოდინი.

- ანონსები, რომელთა ეთერში გაშვება იგეგმება საბავშვო პროგრამამდე ან შემდეგ, შესაფერისი უნდა იყოს საოჯახო ჩვენებისათვის.
- წყალგამყოფის შემდეგ დაგეგმილი პროგრამების ანონსები, რომლებიც წყალგამყოფამდე გადაიცემა, შესაფერისი უნდა იყოს საოჯახო ჩვენებისათვის.

ახალი ამბების სატელევიზიო ანონსები არ უნდა გავიდეს შეუფერებელ დროს, განსაკუთრებით საბავშვო პროგრამების ჩვენების დროს.

14.7 ძალადობა

ძალადობის ამსახველი მასალა უნდა გადაიცეს წყალგამყოფის შემდეგ.

ძალადობის სცენებზე აუდიტორია სხვადასხვაგვარად რეაგირებს. მაყურებელი (განსაკუთრებით, ბავშვები) შეიძლება ძალზე შეაშფოთოს როგორც რეალური, ასევე დადგმული (მხატვრული ფილმები, სხვ.) ძალადობის სცენებმა. ასეთ სცენებს განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს ის მაყურებელი, რომელსაც მსგავსი რამ ცხოვრებაში გადახდენია.

საინფორმაციო გამოშვებაში ძალადობის ასახვაზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინეთ ასეთი ფაქტის მნიშვნელობა და საზოგადოების ინტერესი. ძალადობის ფაქტთან ერთად მისი შედეგიც გააშუქეთ. ასეთი ფაქტის გაშუქებისას დაიცავით ზომიერება და აუდიტორიას ზედმეტად ნუ ააღვლებთ. თავი აარიდეთ ძალადობრივი ფაქტის ძალზე მძიმე დეტალების - გვამების, დამავებულების, სისხლის გუბის, სხვ. - ხანგრძლივად ან ახლო ხედით ჩვენებას, თუმცა ნურც რეალობას შეარბილებთ.

დაუშვებელია ძალადობის სენსაციად გადაქცევა ან უმიზეზოდ, მხოლოდ იმიტომ გაშუქება, რომ ასეთი რამ მოხდა. ყოველი ასეთი მასალის ტრანსლირებამდე კარგად დაფიქრდით, რა მიზანს ისახავთ – საზოგადოების ინფორმირებას თუ უბრალოდ, მის შოკში ჩაგდებას. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ძალადობის ხშირად ჩვენებამ შეიძლება, ერთის მხრივ, საზოგადოებაში პანიკა და, მეორეს მხრივ, სრული აპათია გამოიწვიოს.

განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო დრამატულ ნაწარმოებში ასახული თვითმკვლელობის ჩვენებისას, რათა ასახულმა მოვლენამ ან თვითმკვლელობის მეთოდმა სხვას გამეორებისკენ არ უბიძგოს.

რეკომენდაცია

გაითვალისწინეთ ისიც, თუ რა გავლენას მოახდენს ძალადობის ამსახველი მასალა იმ მაყურებელზე, რომელიც პირველად უყურებს და რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ასეთი მასალის ერთმანეთის მიყოლებით ან განმეორებით ჩვენებას.

ძალადობის აქტის ზედმეტი დრამატიზებისათვის არ გამოიყენოთ ხმოვანი ან ვიზუალური ეფექტები.

14.8 სექსი და ნუდიზმი

შიშველი სხეულის, ეროტიკული კადრების ჩვენება და სექსთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა სათანადო სიფრთხილითა და დელიკატურობითა უნდა მოხდეს. წყალგამყოფამდე ასეთ საკითხებზე მსჯელობა გამართლებული უნდა იყოს კონტექსტით (მაგალითად, საგანმანათლებლო მიზნით), ხოლო სექსუალური ურთიერთობის ამსახველი კადრები არ უნდა იყოს გულახდილი. მაუწყებელი ვალდებულია, წინასწარ გააფრთხილოს აუდიტორია ასეთი შინაარსის მქონე გადაცემის შესახებ.

დაუშვებელია ბავშვებსა და მოზრდილებს შორის სექსუალური ურთიერთობის ასახვა - ასეთი ურთიერთობის ამსახველი სცენები საერთოდ არ უნდა გადაიცეს.

14.9 შეურაცხყოფელი ლექსიკა

თავაზიანობა და აუდიტორიისადმი პატივისცემა ჟურნალისტებს ავალდებულებს, არ გამოიყენონ დაუფიქრებლად ისეთი სიტყვები თუ ფრაზები, რომლებმაც შეიძლება აუდიტორია შეურაცხყოს. ასეთი ლექსიკა შეიძლება მოიცავდეს გინებას, რასისტულ ტერმინებს, ავადმყოფობის ან უნარშეზღუდულობის აღმნიშვნელ დამცინავ ტერმინებს, და სხვ.

რაიმე წესის დადგენა, რომელი სიტყვა შეიძლება აღმოჩნდეს შეურაცხყოფელი და რომელი არა, ძალზე ძნელია. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, გამოთქმის ტონზე და იმ კონტექსტზე, რომელშიც სიტყვაა გამოყენებული. სრულიად უწყინარი სიტყვა შეიძლება ტონმა და კონტექსტმა უხეშად აქციოს. იმას, აღმოჩნდება თუ არა რაიმე სიტყვა კონკრეტული

ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი, განაპირობებს ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა ასაკი, სქესი, განათლება, საქმიანობა, აღმსარებლობა, ეროვნება და ა.შ.

ზოგჯერ ერთი ჯგუფის ლექსიკა (მაგ. ახალგაზრდების) შეუფერებელია მეორე ჯგუფის გემოვნებისთვის (მაგ. ხანდაზმულებისათვის). პროგრამებში ასეთი ლექსიკის გამოყენება გამართლებული უნდა იყოს კონტექსტით, მაგალითად, გადაცემის ან რეპორტაჟის ხასიათით, მხატვრული ფილმის თუ სიმღერის ტექსტით. შესაბამის კონტექსტში ჩასმულმა უხეშმა სიტყვამ შეიძლება მწვავე გაღიზიანება არც კი გამოიწვიოს, მაგრამ აუდიტორია წინასწარ მაინც უნდა გააფრთხილოთ.

წყალგამყოფამდე ტრანსლირებული ტელეგადაცემა, ან ისეთი რადიოგადაცემა, რომლის მსმენელთა შორის საგარეულოდ ბევრი ბავშვია, არ უნდა შეიცავდეს უცენზურო სიტყვებს. წყალგამყოფამდე გასულ მასალაში უცენზური სიტყვები გადაფარეთ ხმოვანი სიგნალით ან სხვა საშუალებით.

აცნობეთ აუდიტორიას წყალგამყოფის შემდეგ დაგეგმილი ისეთი გადაცემის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით უცენზურო სიტყვებს შეიცავს (ანონსით, გამაფრთხილებელი განცხადებით, სპეციალური გრაფიკული ნიშნით).

14.10 ნარკოტიკების, ნიკოტინისა და ალკოჰოლის მოხმარება

საზოგადოების მიდრეკილებებისა და ქცევების რეალისტურად ასახვისას თავიდან აიცილეთ პოტენციურად მავნე ან უკანონო ქცევის წახალისების (განსაკუთრებით ბავშვებში) საფრთხე.

ნარკოტიკების, ნიკოტინისა და ალკოჰოლის მოხმარება არ უნდა აისახოს საბავშვო გადაცემებში. მოერიდეთ ასეთი მასალის ჩვენებას წყალგამყოფამდე ტრანსლირებულ გადაცემებში. სამართლიანად ასახეთ ამ მავნე ჩვევების ყველა ასპექტი, მათ შორის მათი უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ სტატუსზე. თავი აარიდეთ ნარკოტიკების გამოყენების ძალზე დეტალურ, ახლო ხედით ჩვენებას.

უზრუნველყავით, რომ რესპონდენტებმა და სტუმრებმა გადაცემის ჩაწერისა თუ პირდაპირი ტრანსლირების დროს არ მოწიონ. ამის შესახებ ისინი ჩაწერის ან პირდაპირი ტრანსლაციის დაწყებამდე გააფრთხილეთ.

14.11 თვითმკვლელობა, თვითმკვლელობის მცდელობა

თვითმკვლელობა და თვითმკვლელობის მცდელობა განსაკუთრებული სიფრთხილით გააშუქეთ. არ გაამახვილოთ ყურადღება თვითმკვლელობის მეთოდის დეტალებზე, თუკი მათ აღნიშნას რაიმე სერიოზული მიზეზი არა აქვს. გაითვალისწინეთ, რომ თვითმკვლელობის და თვითმკვლელობის მცდელობის დეტალების გაშუქებამ შეიძლება ვინმეს ასეთივე საქციელის ჩადენისკენ უბიძგოს (მაგ. ლაბილური ფსიქიკის მქონე ადამიანებს, ბავშვებს, სხვ.).

14.12 ჰიპნოზი

ტელევიზიით ან რადიოთი გადაცემული ჰიპნოზური სეანსის აუდიტორიაზე მავნე ზეგავლენის ან პოტენციური ზიანის მიყენების სტატისტიკა უცნობია. მაგრამ ჰიპნოზური სეანსის ამსახველი მასალის ტრანსლირებისას სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა მგრძნობიარე მაყურებლის ან მსმენელის ჰიპნოზირების ან მასში უკუურეაქციის გამოწვევის რისკი შემცირდეს. უშუალოდ კამერის წინ ჰიპნოტიზორმა არც ზეპირი სეანსი უნდა ჩაატაროს და არც ჰიპნოზური ექსტეზები

შეასრულოს. სიფრთხილის გამოჩენა საჭირო კიპნოზის სეანსების გასართობ პროგრამებში გამოყენებისას, განსაკუთრებით თუ ეს ვინმეს გასამასხარავებლად კეთდება.

14.13 ზებუნებრივი ძალა, ოკულტიზმი, პარანორმალური მოვლენები

ზებუნებრივი ძალის, ოკულტიზმის, წინასწარმეტყველების, პარანორმალური ან მსგავს მოვლენებზე მსჯელობა არ უნდა შეიცავდეს ისეთ რჩევებს, რომლებიც ადამიანს ცხოვრების წესის შეცვლისკენ უბიძგებს (მაგალითად, რჩევები მკურნალობის, ფინანსური მდგომარეობის, დასაქმების ან ურთიერთობების შეცვლის შესახებ). ეს წესი არ ეხება რელიგიურ პროგრამებს, დრამატულ თუ მხატვრულ ნაწარმოებებს.

აუდიტორიას მკაფიოდ უნდა განემარტოს, როდესაც ზებუნებრივი ძალის, ოკულტიზმის, პარანორმალური ან მსგავსი მოვლენების ჩვენება გართობის მიზნით ხდება.

14.14 შეძენილი პროგრამები

შეძენილი პროგრამები არ უნდა არღვევდეს კანონმდებლობით და ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. შეამოწმეთ შეძენილი გადაცემები და ტრანსლირების განრიგი მათი შინაარსისა და ხასიათის შესაბამისად დაგეგმეთ. ფილმების განრიგის შედგენისას იხელმძღვანელოთ ფილმების კლასიფიკაციით.

15 მრავალშემოქმედების ასახვა

15.1 ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები

სსმ ვალდებულია, პროგრამებში ასახოს საქართველოში მცხოვრები ყველა უმცირესობის და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები და მათი რეალური ცხოვრება.

სსმ-ის მიზანია, სრულფასოვნად და სამართლიანად გააშუქოს საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი და კულტურა, პატივი სცეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებზე გადაცემებისა და რეპორტაჟების მომზადებისას:

- დაუშვებელია უმცირესობათა დისკრიმინაცია რასის, სქესის, რელიგიური აღმსარებლობის, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურული და სოციალური კუთვნილების, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკისა ან ნებისმიერი სხვა ნიშნის მიხედვით;
- არ გამოიყენოთ ისეთი სიტყვები, გამოთქმები ან კადრები, რომლებმაც ინდივიდის ან საზოგადოების ნაწილის რომელიმე ზემოჩამოთვლილი ნიშნით დისკრიმინაცია შეიძლება გამოიწვიოს;
- პირის, განსაკუთრებით ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება აღნიშნეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას სიუჟეტისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს;
- არ აღწეროთ ისეთი ფიზიკური მონაცემები, რომლებმაც დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება სრულიად არასწორად ეთნიკურ წარმომავლობას დაუკავშიროს;
- არ გაავლოთ უმცირესობებსა და სოციალურ პრობლემებს შორის დაუსაბუთებელი პარალელები;

- განასხვავეთ უმცირესობის ინდივიდუალური წარმომადგენლისა და ზოგადად მთელი უმცირესობის საქმიანობა. ნუ გააიგივებთ ინდივიდს მთელ უმცირესობასთან;
- ხელი შეუწყვეთ უმცირესობების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

გახსოვდეთ, რომ უმცირესობების წარმომადგენლების აზრთა და შეხედულებათა პროგრამებში ასახვით ხელს უწყობთ მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში და შემწყნარებლობის ხარისხის ამაღლებას საზოგადოებაში.

უმცირესობების შესახებ გადაცემის მომზადებისას:

- ინტერვიუ აიღეთ უმცირესობის წარმომადგენლებისგან და ასახეთ მათი მოსაზრებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სიუჟეტის „ობიექტები“ იქნებიან და არა „სუბიექტები“. დაუშვებელია სიუჟეტში რომელიმე ერთი ჯგუფის კრიტიკა, თუ ამ ჯგუფის წევრებს საკუთარი შეხედულებების გამოთქმის და პასუხის გაცემის საშუალება არ ეძლევათ;
- გადაცემაში, სხვა სტუმრებს შორის, შესაბამისი კვალიფიციაციის მქონე უმცირესობის წარმომადგენლიც მოიწვიეთ;
- რეაგირება მოახდინოთ უმცირესობების შესახებ გამოთქმულ ნეგატიურ შეხედულებებზე მაშინაც კი, როდესაც მათი ავტორები ადმინისტრაციული, პოლიტიკური ან კულტურული ელიტის წარმომადგენლები არიან;
- უმცირესობების წარმომადგენელთა მოსაზრებების ასახვით არა მარტო უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების, არამედ სხვა თემების გაშუქების შემთხვევაშიც.

15.2 უმცირესობების ნეგატიურად ასახვა

არ გააშუქოთ უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ან ძალადობა ისეთი ფორმით, რომელიც „მედია პანიკის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ბუნებრივია, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების უარყოფით მხარეებს გვერდი არ უნდა აუაროთ, მაგრამ არც „უცვლელ რეპერტუარად“ უნდა აქციოთ.

თავი აარიდეთ კრიმინალურ ქრონიკებში ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის არასათანადო სიხშირით წარმოჩენას, რადგან ეს ხელს შეუწყობს უარყოფითი სტერეოტიპის ჩამოყალიბებას.

15.3 ეთნიკური/რელიგიური დაპირისპირების გაშუქება

ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები, ამ ნიშნით წარმოქნილი კონფლიქტები და დაპირისპირებები გააშუქეთ ობიექტურად, სრულყოფილად და შესაბამის ისტორიულ კონტექსტში. ასეთ საკითხზე მომზადებული მასალა უნდა შეიცავდეს დაპირისპირების ისტორიას, მიზეზებს, კონფლიქტის ყოველ მხარეს და ნეიტრალურ მოსაზრებებს, რათა აუდიტორია გაერკვეს პრობლემის არსში.

15.4 რელიგიური პროგრამები

მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, აღიაროს ნებისმიერი რელიგია თუ კონფესია, ქადაგებდეს მას და ასრულებდეს რელიგიურ რიტუალებს.

რელიგიურ თემებზე გადაცემებისა თუ სიუჟეტების მომზადებისას უნდა იცოდეთ, რამ შეიძლება შეურაცხყოფს აუდიტორია. გადაცემის ავტორებმა და წამყვანებმა, ასევე, ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ საქართველოში არსებული რელიგიური ჯგუფების შეხედულებანი და თავისებურებანი. ის, რაც ერთი რელიგიისა თუ კონფესიის წარმომადგენლისთვისაა მისაღები, შეიძლება მიუღებელი იყოს მეორისათვის.

როდესაც გადაცემის მთავარი საკითხი ერთი კონკრეტული რელიგია ან კონფესიაა, აუდიტორიას აცნობეთ მისი სახელწოდება. რესპონდენტებს, პროგრამის მონაწილეებს არ მისცეთ უფლება, უდიერად მოიხსენიონ სხვების რწმენა ან შეურაცხყოფა მიაყენონ განსხვავებული რელიგიისა თუ კონფესიის მიმდევრებს. არ წარმოაჩინოთ კონკრეტული რელიგიისა თუ კონფესიის წარმომადგენლის მოსაზრებები ამ რელიგიის ყველა მიმდევრის მოსაზრებად, არც რომელიმე რელიგიურ ჯგუფს მისცეთ უფლება, ყველა აღმსარებლის სახელით ისაუბროს.

დაუშვებელია რელიგიური გადაცემების მეშვეობით მაყურებლის გრძნობებით მანიპულირება, რომელიმე რელიგიური შეხედულებისა თუ მრწამსის გაქილიკება ან ერთი რწმენის ფარულად პოპულარიზაცია.

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ ინფორმაციას, რომელიც ზოგადად ადამიანის, ამა თუ იმ პირის (ან ადამინთა ჯგუფის) ზებუნებრივ უნარებსა და შესაძლებლობებს აღწერს. ასევე, ინფორმაციას, რომელიც აღწერს ზოგადად ადამიანის, ამა თუ იმ პირის (ან ადამინთა ჯგუფის) ზებუნებრივ უნარებს მკურნალობის (ფიზიკური/ფსიქოლოგიური) ან ნათელმხილველობის თვალსაზრისით. ასეთი მასალა არ უნდა მიეწოდოს მაყურებელს, როგორც დადგენილი და დადასტურებული ფაქტი. იგი უნდა გატარდეს კვალიფიციური კომენტარის პრიზმაში (კონტექსტში).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოთ, როდესაც ასეთი ინფორმაცია ან განცხადება რელიგიური ხასიათის გადაცემაში კეთდება.

ასეთი მასალა არ უნდა გადაიცეს ისეთ დროს, როდესაც მაყურებელთა/მსმენელთა შორის ბევრი ბავშვი და მოზარდია.

თავი შეიკავეთ ისეთი მასალის გადაცემისაგან, რომელმაც შეიძლება შეურაცხოს ესა თუ ის რელიგიური ჯგუფი.

ეთერში (ან ზოგადად ინფორმაციაში) ჰოროსკოპების ტირაჟირებისას მიუთითეთ, თუ რომელ ქვეყანაშია ესა თუ ის ჰოროსკოპი გავრცელებული. ასტროლოგიური პროგნოზების ტირაჟირების დროს მიუთითეთ ამ პროგნოზის ავტორი (ან მეტნაკლებად კვალიფიციური წყარო) და თავი აარიდეთ ამ ავტორის (წყაროს) არააკადემიური წოდებების (თუ კი მას ასეთი აქვს) მოხსენიებას (უკიდურეს შემთხვევაში აღნიშნეთ, რომ ეს წოდებები არააკადემიური ხასიათისაა).

მსოფლიოს უდიდესი რელიგიები სამართლიანად უნდა აისახოს პროგრამებში. დაუშვებელია ხალხისა და სახელმწიფოების რელიგიური ნიშნით იდენტიფიცირება, თუ ეს პროგრამის თემას არ უკავშირდება.

15.5 პოზიცია არატოლერანტობის მიმართ

როდესაც გადაცემის სტუმარი ან რესპონდენტი უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას ან რელიგიურ მრწამსს, როგორც რაიმე მოვლენის გამომწვევ მიზეზს, აუცილებლად უნდა აცნობოთ აუდიტორიას ამ მოვლენის რეალური მიზეზები და ხაზგასმით აღნიშნოთ, რომ ეთნიკური წარმომავლობა და რელიგია არავითარ კავშირში არ არის მოცემულ საკითხთან.

არ დატოვოთ რეაგირების გარეშე გადაცემის სტუმრის/რესპონდენტის რასისტული ან ქსენოფობიური გამონათქვამები. გააკრიტიკეთ მსგავსი განცხადებები. მასალიდან აშკარა უნდა იყოს, რომ არ იზიარებთ რასისტულ და ქსენოფობიურ გამონათქვამებს.

15.6 ტერმინოლოგია

არ გამოიყენოთ ისეთი ტერმინები, რომლებიც კონკრეტული ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობისთვის შეურაცხმყოფელი შეიძლება აღმოჩნდეს.

რეაგირება მოახდინეთ ისეთ სიტყვებზე, რომლებიც ამცირებს და შეურაცხყოფს პიროვნებას ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით. რესპონდენტებს, რომლებიც აღნიშნულ სიტყვებს პირდაპირ ეთერში გამოიყენებენ, მკაფიოდ განუმარტეთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ეთანხმება მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და გამოხატვის ფორმას.

ვინაიდან საქართველოში არსებული სხვა აღმსარებლობებიც იყენებენ სიტყვას „ეკლესია“, ნუ გამოიყენებთ ამ სიტყვას მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის სინონიმად; გადაცემაში აღნიშნეთ, რომელ ეკლესიაზეა საუბარი: მართლმადიდებლურზე, კათოლიკურზე თუ სხვაზე. თუ გადაცემა ერთ აღმსარებლობას (მაგალითად, მართლმადიდებლობას) ეხება, რაც სავსებით აშკარაა აუდიტორიისათვის, დაკონკრეტების გარეშე შეიძლება სიტყვა „ეკლესიის“ აღმსარებლობის სინონიმად გამოყენება.

ხელაღებით ნუ გამოიყენებთ ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა, მაგალითად, „ფუნდამენტალისტი“, „ისლამისტი“. ის, რაც ერთი ჯგუფის დახასიათებისთვის არის შესაფერისი, მეორისათვის შეიძლება შეუფერებელი აღმოჩნდეს.

ადამიანის ეთნიკური წარმომავლობა არ აღნიშნოთ ისეთი სიტყვით, რომელსაც უარყოფითი ელფერი დაჰკრავს. მაგალითად, „ურია“ არ თქვათ „ებრაელის“ ნაცვლად, „თათარი“ კი „აზერბაიჯანელის“ ნაცვლად და ა.შ.

15.7 ქალები

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ქალებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და დღევანდელ საქართველოში ქალები საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწევიან, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი სტერეოტიპები, რომლებიც ბევრი ქალისათვის შეურაცხმყოფელია. ქალებზე მსჯელობისას უნდა მოვერიდოთ სექსისტური გამოთქმების გამოყენებას, სექსისტური შეფასებებისა თუ შედარებების გაკეთებას.

სექსიზმი ნიშნავს დისკრიმინაციულ აზრს, გამონათქვამს, ქცევას, დამოკიდებულებას ერთი სქესის მიმართ.

მაგალითად, ქალის ისეთი დახასიათება, როგორიცაა: „კაცს ტოლს არ უდებს“, „კაცივით ჭკვიანია“ და სხვ. ზოგმა ქალმა შეიძლება შეურაცხყოფად აღიქვას.

15.8 უნარშეზღუდული ადამიანები

უნარშეზღუდულ ადამიანებთან ურთიერთობისას განსაკუთრებული დელიკატურობის გამოჩენაა საჭირო, რომ მათი ღირსება არ შეილახოს. დაუშვებელია მათადმი ქედმაღლური დამოკიდებულება. მათ არც სიბრალულით მოეკიდოთ და მოექცეთ, როგორც საზოგადოების

სრულფასოვან წევრებს. უნარშეზღუდულებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ რეალურ ფაქტებზე აგებულ გადაცემებში, გასართობი თუ სხვა ხასიათის პროგრამებში.

აუდიტორიას მიაწოდეთ სწორი და ობიექტური ინფორმაცია იმ პრობლემებისა და სირთულეების შესახებ, რომლებიც უნარშეზღუდულ ადამიანებს გააჩნიათ. ამისათვის უნდა მოუსმინოთ უნარშეზღუდულ ადამიანებს, გაიგოთ მათი პრობლემები, შეისწავლოთ სოციალური და ჯანდაცვის ექსპერტთა და სხვა კომპეტენტური ადამიანების მოსაზრებები. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეძლებთ ობიექტური მასალის მომზადებას, რომელიც თანაგრძნობას გამოიწვევს აუდიტორიაში.

ჩვეულებრივ, უნარშეზღუდული ადამიანები არ ცდილობენ თავიანთი ნაკლოვანებების დამალვას და მათ შესახებ ღიად და დეტალურად საუბრობენ. ინტერვიუს ალებამდე აცნობეთ მათ განსახილველი საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ტერმინებს. დაუშვებელია მოძველებული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება. მათ ნაცვლად თანამედროვე და ექსპერტების მიერ აღიარებული ტერმინოლოგია გამოიყენეთ.

„ინვალიდი“ ან „ხეიბარი“ დღეს უკვე შეურაცხმყოფელ სიტყვად აღიქმება. „უნარშეზღუდულიც“ ვინმეს შეიძლება შეურაცხმყოფელი მოეჩვენოს. ამიტომ, უმჯობესია გამოვიყენოთ სიტყვა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები“. დღეს სოციალური, ჯანდაცვისა და განათლების სფეროს ექსპერტები მათ „განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებად“ მოიხსენიებენ. ეს ტერმინიც შეგვიძლია გამოვიყენოთ.

სიტყვები, როგორცაა „განუვითარებელი“, „დეფექტური“, „დებილი“ უკიდურესად შეურაცხმყოფელია. უმჯობესია ვთქვათ „გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე“, „გიჟის“ ნაცვლად „ფსიქიკურად დაავადებული“ ან სხვა უფრო ნეიტრალური სიტყვა, „ყრუს“ ნაცვლად „სმენადაქვეითებული“ და ა.შ.

15.9 სექსუალური უმცირესობები

ჰომოსექსუალები ხშირად შეურაცხმყოფელი სტერეოტიპების მსხვერპლნი ხდებიან. ჰომოსექსუალები და ბისექსუალები უმცირესობას შეადგენენ და გადაცემის ავტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინიც, სხვების მსგავსად, საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ.

გადაცემაში ჰომოსექსუალის სექსუალური ორიენტაცია აღნიშნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თემას უშუალოდ უკავშირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაარღვევთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და ხელს შეუწყობთ სტერეოტიპის გაძლიერებას.

ყურადღება გმართებთ სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევას. თქვით ჰომოსექსუალი ან ბისექსუალი. დაუშვებელია ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა „მამათმავალი“, „პედერასტი“, „ციხფერი“. ნურც გადაცემაში მოწვეულ სტუმრებს მისცემთ უფლებას, ამგვარი სიტყვები გამოიყენონ.

15.10 ხანდაზმულთა ასახვა

ხანდაზმული ადამიანები არ უნდა წარმოაჩინოთ ისეთ მარტოხელა, უძლურ და გაჭირვებულ ადამიანებად, რომლებიც მხოლოდ უფასო სასადაილოებში დადიან. რასაკვირველია, ეს რეალობის ერთი ნაწილია, მეორე ნაწილი კი ის არის, რომ ბევრი ხანშიშესული ადამიანი, რომელმაც უკვე განვლო საქმიანი ცხოვრება, აქტიურად ცხოვრობს.

ასაკი არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოთ ადამიანის შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და გონებრივ თუ ფიზიკურ მდგომარეობაზე მსჯელობისას. ასაკი უნდა აღნიშნოთ მხოლოდ სათანადო სიტუაციებში.

16 არასრულწლოვანები და ბავშვები

16.1 არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა

სსმ-მ უნდა უზრუნველყოს არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა როგორც პროგრამების მომზადების, ასევე მათი ტრანსლირების დროს.

არასრულწლოვანები აუდიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენენ და მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს მათი, როგორც მაყურებლებისა და მსმენელების ინტერესი, დამოუკიდებლად იმისა, პროგრამა ბავშვებისათვის არის განკუთვნილი თუ არა.

მასალა, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანების, განსაკუთრებით ბავშვების (15 წლამდე ასაკის მოზარდების), ფიზიკურ, გონებრივ თუ ზნეობრივ განვითარებას, არ უნდა გადაიცეს წყალგამყოფად.

საეთერო დრო სათანადოდ უნდა დაიგეგმოს, რათა ბავშვები მათთვის შეუფერებელი პროგრამებისგან დავიცვათ. საეთერო დრო უნდა დაიგეგმოს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: გადაცემის შინაარსი, მისი დაწყებისა და დასრულების დრო, აუდიტორიის სავარაუდო მოლოდინი კონკრეტულ დღესა და დროს ტრანსლირებული გადაცემისადმი, აუდიტორიაში ბავშვთა სავარაუდო რაოდენობა და მათი სავარაუდო ასაკი.

ტელევიზიაში წყალგამყოფი მკაცრად დაიცავით. ბავშვებისათვის შეუფერებელი მასალა ეთერში წყალგამყოფის შემდეგ უნდა გადაიცეს. რადიოში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ გადაცემებს, რომლებიც ეთერში გადის ისეთ დროს, როდესაც რადიომსმენელთა შორის ბევრი ბავშვია.

გადაცემაში მონაწილეობამ ან გადაცემის ტრანსლირებამ არ უნდა გამოიწვიოს ბავშვებისა და მოზარდების ზედმეტი აღელვება.

16.2 თანხმობა ბავშვების გაშუქებაზე

პროგრამებში ბავშვები სხვადასხვაგვარად არიან ჩართულნი; ისინი შეიძლება იყვნენ რესპონდენტები, გადაცემის მონაწილეები, მთავარი გმირები, სხვ. ბავშვისგან ინტერვიუს აღება ან მისი სხვაგვარად გადაცემაში ჩართვა არ შეიძლება მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე. რაც უფრო მცირეწლოვანია ბავშვი და დელიკატურია საკითხი, მით უფრო მნიშვნელოვანია თანხმობის მიღება. დაუშვებელია თანხმობის მისაღებად მშობლის ან მეურვისათვის ანაზღაურების შეთავაზება. საჭიროა ბავშვის თანხმობაც. სანამ ინტერვიუს აღებაზე ან გადაცემაში მონაწილეობაზე თანხმობის თხოვნით მიმართავთ ბავშვს, გაითვალისწინეთ მისი ასაკი, განვითარების დონე, სხვ., რომ განსაზღვროთ, შეძლებს თუ არა იგი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. ბავშვების თანხმობა უნდა დაადასტურონ მშობლებმა ან მეურვეებმა. თანხმობა არ არის საჭირო ბავშვებს შორის ე.წ. vox pop-ის ჩასატარებლად ისეთ მსუბუქ საკითხებზე, როგორებიცაა, მაგალითად, ბავშვების საყვარელი მომღერალი ან სპორტსმენი.

გადაცემაში მონაწილეობაზე ნებართვის აღებისას, ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე აუხსენით გადაცემის შინაარსი და ხასიათი. ბავშვისაგან უარის მიღების შემთხვევაში პატივი ეცით მის გადაწყვეტილებას. მშობელს ან მეურვეს განუმარტეთ ნებისმიერი მოსალოდნელი შედეგი, რომელიც შეიძლება ბავშვის მონაწილეობას მოჰყვეს, რათა მშობელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. მშობლის თანხმობის გარეშე ბავშვის პროგრამაში მონაწილეობა გამართლებულია მხოლოდ მკაფიოდ გამოკვეთილი საზოგადოებრივი ინტერესის შეთხვევაში.

თუ გადალება სკოლის ტერიტორიაზე ან გაკვეთილების დროს მიმდინარეობს, სკოლის ღირეპტორისგან აიღეთ თანხმობა.

16.3 ბავშვების მონაწილეობა პროგრამებში

ბავშვები, ჩვეულებრივ, ადვილად თანხმდებიან ინტერვიუზე და გადაცემაში მონაწილეობაზე და უჭირთ, განსაზღვრონ ტელე ან რადიოგადაცემაში მონაწილეობის მოსალოდნელი შედეგი. ჟურნალისტებმა და პროგრამის ავტორებმა, განურჩევლად იმისა, არსებობს მშობლის თანხმობა თუ არა, სათანადოდ უნდა შეაფასონ, როგორ იმოქმედებს ბავშვზე პროგრამაში მონაწილეობა და რა შეიძლება პროგრამის ეთერით გადაცემას მოჰყვეს.

ბავშვებთან ინტერვიუს ჩატარება განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს. ბავშვები ხალისით პასუხობენ დასმულ კითხვებს. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ მათ სინამდვილის გარჩევა ფანტაზიისაგან უჭირთ და მეტი ეფექტის მოსახდენად, გაზვიადებაც სჩვევიათ. თავი შეიკავეთ ბავშვისათვის რაიმე მინიშნების მიცემისაგან. მიეცით საშუალება, გამოთქვას საკუთარი აზრი. ნუ მოსთხოვთ ბავშვებს ისეთ საკითხებზე მოსაზრების გამოთქმას, რომლებზეც სათანადო პასუხის გაცემა არ შეუძლიათ.

განსაკუთრებული შემთხვევების გაშუქებისას, როგორცაა ბავშვებზე ძალადობა ან ოჯახური უსიამოვნებები, რჩევა ჰკითხეთ გამოცდილ სპეციალისტებს, რათა შეძლოთ მოსალოდნელი სტრესის მინიმუმამდე შემცირება.

საჭიროა სპეციალისტის კონსულტაცია, როდესაც გადაცემა ანტისაზოგადოებრივ ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩართულ ბავშვებს ეხება (მაგალითად, ნარკომანია ან პროსტიტუცია). თუ გადაცემაში ბავშვები მონაწილეობენ, მოიწვიეთ ექსპერტიც. ასეთი საქმიანობა ისე გააშუქეთ, რომ სხვა მოზარდებს მიბაძვის სურვილი არ აღეძრათ.

16.4 არასრულწლოვანთა ვინაობის გამჟღავნება

ბავშვის კეთილდღეობა საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა დგას და ბავშვის ანონიმურობის დაცვა, რაც არ უნდა დიდი იყოს საზოგადოებრივი ინტერესი, უფრო მნიშვნელოვანია. მშობლების თანხმობა ბავშვის ვინაობის გამჟღავნებაზე არ არის საკმარისი საფუძველი იმისა, რომ ბავშვის ვინაობა დასახელოთ. დიდი სტრესის დროს მშობლები ხშირად ვერ აცნობიერებენ, რომ ბავშვს შეიძლება მომავალში სერიოზული პრობლემები შეექმნას. ამიტომ, განსაკუთრებული წინდახედულება გამართებთ ბავშვის ვინაობის დასახელებასა ან მის ჩვენებაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

ბავშვების მიერ ჩადენილ ანტისაზოგადოებრივ ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე გადაღებულ მასალაში, რომლის მიზანიც ამ ქმედებების და არა კონკრეტული ბავშვების ჩვენებაა, არ უნდა იყოს შესაძლებელი ბავშვების ამოცნობა.

როდესაც კრიმინალურ და ანტისოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით ინტერვიუს ზრდასრული ადამიანებისგან იღებთ, თავი შეიკავეთ მათი შვილების ჩვენებისაგან. ამის გაკეთება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს ბავშვის კეთილდღეობას.

დაუშვებელია იმ ბავშვის ვინაობის გამჟღავნება, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებული, დაზარალებული ან მოწმეა. ნებისმიერი ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება გამჟღავნდეს სასამართლო პროცესის არასრულწლოვანი ბრალდებულის, მოწმის ან სხვა მხარის ვინაობა (მაგალითად, სკოლის ნომერი, მისამართი), არ უნდა გადაიცეს ეთერში. დაუშვებელია ასეთი არასრულწლოვანის ფოტოს ეთერში ჩვენება ან ვებგვერდზე განთავსება. იგივე პრინციპები ვრცელდება იმ სასამართლო პროცესებზე, რომლებზეც განიხილება ბავშვის შვილად აყვანის, მეურვის დანიშვნისა და მსგავსი საკითხები.

დაუშვებელია სექსუალური ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის ვინაობის დასახელება, ასევე, ისეთი დეტალების ჩვენება ან ინფორმაციის გავრცელება, რამაც შეიძლება გააადვილოს სექსუალური ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის, მოწმის (ან სავარაუდო მოწმის) ან ბრალდებულის ვინაობის იდენტიფიცირება. მაგალითად, ასეთი დეტალი ან ინფორმაცია შეიძლება იყოს მსხვერპლის საცხოვრებელი სახლის ან მისი მშობლების თუ მეზობლების ჩვენება, სასწავლებლის დასახელება, ძალადობის რაიმე სპეციფიკური ნიშნით დახასიათება (მაგ., ინცესტი), სხვ.

16.5 ბავშვები და სახიფათო იმიტაცია

ბავშვები ხშირად სხვებს ბაძავენ, ნანახ ქმედებას იმეორებენ. ისეთი ქმედება ან მეთოდი, რომლის გამეორებაც შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს ბავშვისთვის, არ უნდა გადაიცეს საბავშვო გადაცემებში ან წყალგამყოფამდე ტრანსლირებულ გადაცემებში.

დაუშვებელია ნარკოტიკების გამოყენების, თამბაქოს მოწვევის და ალკოჰოლური სასმელების მიღების ჩვენება საბავშვო გადაცემებში.

ფიზიკური თუ სიტყვიერი ძალადობა არ უნდა აისახოს საბავშვო გადაცემებში. ფიზიკური თუ სიტყვიერი ძალადობა, მისი შედეგები და ძალადობის აქტები შეზღუდულად უნდა აისახოს გადაცემებში, რომლებიც წყალგამყოფამდე გადაიცემა ან რომლებსაც სავარაუდოდ ბევრი ბავშვი უსმენს. სიფრთხილით მოეკიდეთ ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი ისეთი საყოფაცხოვრებო საგნების ჩვენებას, რომლებიც შეიძლება ძალადობის იარაღად იყოს გამოყენებული (მაგალითად, დანა, ჩაქუჩი, ბოთლი, სხვ.). ასევე მოერიდეთ წყალგამყოფამდე სახიფათო საქმიანობის ჩვენებას, რომლის გამეორებაც შეიძლება ბავშვმა მოისურვოს. მაგალითად კლდეზე ცოცვა, სკეიტბორდით სრიალი, სიმაღლიდან ხტომა და სხვ.

საბავშვო პროგრამები არ უნდა შეიცავდეს უცენზურო სიტყვებს. უცენზურო სიტყვები არ უნდა გამოიყენებოდეს პროგრამებში, რომელთა ტრანსლირებაც წყალგამყოფამდე ხდება, თუ ამას რაიმე სერიოზული დასაბუთება არა აქვს.

პროგრამები, რომლებიც გადაიცემა წყალგამყოფამდე არ უნდა ასახავდეს გულახდილ ეროტიკულ კადრებს ან წარმოადგენდეს სექსუალურ საკითხებზე დაუფარავ მსჯელობას. დაუშვებელია მოზრდილთა და ბავშვთა შორის სექსუალური ურთიერთობის ჩვენება. წყალგამყოფამდე სიშიშვლის ჩვენება გამართლებული უნდა იყოს კონტექსტით.

დაუშვებელია ჯადოქრობაზე, ოკულტიზმსა და პარანორმალურ მოვლენებზე საუბარი ან მათი ასახვა იმ გადაცემებში, რომლებიც წყალგამყოფამდე გადის ეთერში. ასევე არ შეიძლება ასეთი

მოვლენების გასართობ პროგრამებში წყალგამყოფამდე გამოყენება (ეს წესი არ ეხება დრამას, ფილმსა და კომედიას).

16.6 ბავშვები და ინტერნეტი

საბავშვო ვებგვერდი, ასევე იმ ვებგვერდების შინაარსი, რომელიც სავარაუდოდ ბევრ ბავშვს იზიდავს, ბავშვებისთვის შესაფერისი მასალას უნდა შეიცავდეს. კერძოდ:

- მაუწყებლის მთავარ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალა შესაფერისი უნდა იყოს ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის, მათ შორის ბავშვებისთვის. მთავარ გვერდს არ უნდა ჰქონდეს ბმულები ისეთ ვებგვერდებთან, რომლებიც ბავშვებისათვის შეუფერებელია;
- ბავშვებისთვის განკუთვნილი არც ერთი რადიო ან ტელეპროგრამის ვებგვერდი არ უნდა იყოს მიბმული რადიო ან ტელეპროგრამის ისეთ ვებგვერდთან, რომელზეც ბავშვისათვის შეუფერებელი მასალა ქვეყნდება;
- მთავარ ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი მოძრავი სატელევიზიო კადრი უნდა იყოს საოჯახო ჩვენებისთვის შესაფერისი;

17 საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, ინტერაქტივი

17.1 საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გაშუქება

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შესახებ აუდიტორიას საკმარისი ინფორმაცია მიაწოდეთ, რათა თავად შეაფასოს შედეგების მნიშვნელობა და ღირებულება. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფი ატარებს და, ხშირად, ტენდენციურია. ამიტომ, ასეთი გამოკითხვის შედეგები არ გააშუქოთ, როგორც სამეცნიერო მეთოდოლოგიის მიხედვით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გაშუქებისას იხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპებით:

- ნუ დაიწყებთ საინფორმაციო პროგრამას გამოკითხვის შედეგებით;
- თავი აარიდეთ შედეგების ანონსში (ქუდში) აღნიშვნას, თუ იგი სიუჟეტის მთავარ თემას არ წარმოადგენს;
- მეტი ყურადღება გაამახვილოთ გამოკითხვის შედეგებზე, ვიდრე მათ ინტერპრეტაციაზე;
- ნუ დაეყრდნობით მხოლოდ იმ ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ ანალიზს, რომელმაც გამოკითხვა ჩაატარა;
- სკეპტიკურად მოეკიდეთ ისეთი შედეგების გაშუქებას, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის დრამატულ ცვლილებებს ასახავს და განმარტეთ ზოგადი ტენდენციებისგან მკვეთრად განსხვავებული შედეგი;

გამოკითხვის შედეგებს იმაზე მეტი დამაჯერებლობა არ მიანიჭოთ, ვიდრე იმსახურებს. გაითვალისწინეთ, რომ შედეგები შეიძლება ტენდენციური იყოს და რეალობას არ ასახავდეს. ფრთხილად შეარჩიეთ სიტყვები. ნუ იტყვით, რომ შედეგები „ადასტურებს“ ან „ნათელყოფს“ რამეს; თქვით, რომ ისინი „მიუთითებს“ ან მათ მიხედვით შეიძლება „ვივარაუდოთ“ რამე.

საზოგადოების აზრის გამოკითხვის შედეგების გაშუქებისას მიუთითეთ:

- ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა;
- გამოკითხვის დამკვეთი ან დამფინანსებელი;
- შეკითხვების ზუსტი ფორმულირება;
- შერჩევის მეთოდი;

- გამოკითხულთა რაოდენობა;
- ცდომილების ზღვარი;
- გამოკითხვის ჩატარების თარიღი..

17.2 ინტერაქტიული გამოკითხვა

ინტერაქტიული გამოკითხვა, მათ შორის სატელეფონო ზარებით, მოკლე ტექსტური შეტყობინებებით, ელექტრონული ფოსტით, ინტერნეტით, ან ნებისმიერი სხვა ისეთი გამოკითხვა, რომელშიც აუდიტორია საკუთარი სურვილით მონაწილეობს, არ ასახავს ფართო საზოგადოების აზრს, ვინაიდან არ არის წარმომადგენლობითი. **გადაცემის ფორმატში ჩატარებული ინტერაქტივის შედეგების გამოცხადებისას უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მხოლოდ იმ ადამიანთა მოსაზრებას ასახავს, რომლებმაც მოცემულ მომენტში მოისურვეს საკუთარი პოზიციის გამოხატვა. ასეთი გამოკითხვის შედეგებს ისეთივე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს, როგორც საგანგებოდ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს.**

ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგები უნდა გამოცხადდეს მხოლოდ იმ გადაცემაში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა აღნიშნული გამოკითხვა. აუდიტორიას ინტერაქტივის უნდა შესთავაზოთ იმ შემთხვევაში, თუ იგი:

- დამატებით ღირებულებას მატებს და უფრო საინტერესოს ხდის პროგრამას;
- შეეფერება პროგრამის თემას და კონკრეტულ მიზანს ემსახურება;
- შეესაბამება აუდიტორიის სავარაუდო მოლოდინს.

17.3 სატელეფონო ინტერაქტივი

სატელეფონო ინტერაქტივისას კომენტარები სატელეფონო საუბრებით კეთდება. ვინაიდან ასეთი ინტერაქტივი, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირი ეთერით გადაიცემა, ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღოთ, რომ თავიდან აიცილოთ გადაცემაში მონაწილე ადამიანის მხრიდან რაიმე შეურაცხმყოფელი თუ კანონსაწინააღმდეგო განცხადებების გაკეთება.

17.4 ფორუმი ინტერნეტში

ინტერნეტ-ფორუმი საშუალებას აძლევს საზოგადოებას, მონაწილეობა მიიღოს აქტუალურ საკითხებზე მსჯელობაში, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება და გამართოს დიალოგი.

ფორუმის წინასწარი ან შემდგომი მოდერაციით თავიდან უნდა აიცილოთ ისეთი განცხადებები, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს ცილისწამებას, შეურაცხყოფას, აღვივებდეს შუღლს, ქადაგებდეს სიძულვილს, ამართლებდეს დანაშაულს, ლახავდეს ადამიანის უფლებებს და ა.შ..

ფორუმი ცოცხალი დებატების ადგილი უნდა იყოს. წინასწარი ან შემდგომი მოდერაციით ხელი უნდა შეუწყოს პლურალიზმსა და მრავალფეროვნებას და შექმნათ საზოგადოებრივი დისკუსიის მასტიმულირებელი გარემო. ფორუმის წესები წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს.

18 სტატისტიკისა და რისკის შესახებ ინფორმაციის ბაზრცელება

სტატისტიკური ინფორმაცია ან ინფორმაცია არსებული რისკების შესახებ, ყურადღებითა და კონტექსტის გათვალისწინებით გააშუქეთ. სტატისტიკამ, განსაკუთრებით მონაცემებმა ჯანმრთელობის ან დანაშაულის შესახებ, საზოგადოების ზედმეტი შემოთება არ უნდა გამოიწვიოს.

მიუთითეთ დასაშვები ცლომილების ზღვარი და სტატისტიკური ინფორმაციის წყარო, რათა აუდიტორიამ თავად განსაჯოს მისი საიმედოობის ხარისხი. ზოგჯერ მიზანშეწონილია მხოლოდ ტენდენციების აღნიშვნა, რომ ისეთ ციფრებს, რომლებიც საეჭვო ჩანს, გადაჭარბებული მნიშვნელობა არ მიენიჭოს. როდესაც სტატისტიკა მნიშვნელოვან ცვლილებებს ასახავს, აუცილებელია საბაზისო ციფრების მითითება.

19 კონკურსები და პრიზები

მაყურებელთა და მსმენელთა კონკურსები სამართლიანად, ღიად და ობიექტურად უნდა ჩატარდეს.

სსმ-ის მიერ ჩატარებულ ნებისმიერ კონკურსს მკაფიოდ განსაზღვრული მიზანი უნდა ჰქონდეს. კონკურსის წესები წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს. კონკურსში შესასრულებელი ამოცანა სავარაუდო აუდიტორიის უნარების, ცოდნისა და ინტელექტის დონის შესაფერისი უნდა იყოს.

ჩვეულებრივ, სსმ საკუთარი ხარჯებით ყიდულობს საკონკურსო პრიზებს. უპირატესობა უფრო ორიგინალურ პრიზებს მიანიჭეთ, ვიდრე ძვირადღირებულს. კონკურსის პრიზი ან პრიზები, ეთერში ისე აჩვენეთ და აღწერეთ, რომ მისი მწარმოებლის ან მომწოდებლის რეკლამირებად ან პოპულარიზაციად არ ჩაითვალოს.

პრიზებად საჩუქრების მიღებაც შეიძლება, ოღონდ ასეთი საჩუქარი იაფფასიანი უნდა იყოს (მაგალითად, თეატრის ან ფეხბურთის ბილეთები, კასეტები, წიგნები, სხვ.). საჩუქრის სახით ზოგჯერ მოკრძალებული საოჯახო ან სხვა სამომხმარებლო ნივთის მიღებაც არის დასაშვები. გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებია საპრიზოდ განკუთვნილი ძვირადღირებული საჩუქრის მიღება, თუ ამით სსმ-ის სარედაქციო დამოუკიდებლობა და კეთილსინდისიერება ეჭვქვეშ არ დადგება. მაგრამ არ დაჰპირდეთ საჩუქრის მომწოდებლებს, რომ ნაჩუქარი პრიზის სანაცვლოდ მათ რაიმე რეკლამას გაუწევთ.

დაუშვებელია ფულადი პრიზის დაწესება საბავშვო კონკურსებში. საბავშვო კონკურსის პრიზი იაფფასიანი და მიზნობრივი აუდიტორიის და კონკურსის მონაწილეების ასაკის შესაფერისი უნდა იყოს.

20 ჩარევა

20.1 მასალის შეჩერების მოთხოვნა

მასალა, რომელიც ჩაწერილია ჟურნალისტური პრინციპების დაცვით, გამოიყენება გადაცემაში, თუ ამის საწინააღმდეგო სერიოზული მიზეზი არ არსებობს ან რაიმე სხვა შეთანხმება არ ყოფილა რესპონდენტთან მიღწეული.

ზოგჯერ რესპონდენტი, რომელიც თავად დათანხმდა ინტერვიუზე, წინააღმდეგია, მასალა ეთერში გადაიცეს. ვერც ერთი რესპონდენტი ვერ ავიკრძალავთ, გამოიყენოთ თანხმობით ჩაწერილი მასალა. თუმცა ასეთ თხოვნას ყურადღებით მოეკიდეთ. შეჩერების მოთხოვნას შეიძლება იმდენად სერიოზული მიზეზი ჰქონდეს (მაგალითად, მასალის ჩაწერის შემდეგ შეცვლილი გარემოება ან მასალაში ასახული პირისადმი თანაგრძნობა, სხვ.), რომ მასალის შეჩერება ეთიკურად უფრო

გამართლებული იყოს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელთან ერთად მიიღეთ.

20.2 ვეტოს დადება

მონაწილეებს არ უნდა მიეცეთ უფლება, გადაცემის რომელიმე მონაკვეთს ვეტო დაადონ. მხოლოდ მაუწყებელია პასუხისმგებელი იმაზე, თუ რას და როგორ გადასცემს. **ჟურნალისტი არ უნდა მოექცეს გადაცემის არც ერთი მონაწილის გავლენის ქვეშ.**

20.3 ცენზურა

არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტს ხელს უშლიან გადაცემის მომზადებაში. მაგალითად, ჟურნალისტი შეიძლება დააშინონ, გარკვეული პირობები წაუყენონ, ხელი შეუშალონ სასურველ რესპონდენტთან დაკავშირებაში ან მასალის მიღებაში. აუდიტორიას უნდა აცნობოთ, თუ ასეთმა შეზღუდვებმა სერიოზული გავლენა მოახდინა მასალის მომზადებაზე.

21 რეკლამა და სპონსორობა

21.1 რეკლამის ეთიკური კრიტერიუმი

სსმ-ში გასული რეკლამა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას და არ უნდა არღვევდეს ეთიკურ პრინციპებს. რეკლამა გამიჯნული უნდა იყოს გადაცემისგან.

არ უნდა გადაიცეს ისეთი კომერციული რეკლამა, რომელიც:

- ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს რეკლამის შესახებ;
- შინაარსით ან ვიზუალურად მავნე ზემოქმედებას ახდენს ბავშვის განვითარებაზე;
- შეიცავს იურიდიული ან ფიზიკური პირის ან მაუწყებლის შეურაცხმყოფელ მესიჯს;
- თავისი შინაარსით (ტექსტით, მუსიკით, სურათებით) ლახავს ადამიანის ღირსებას;
- მოუწოდებს ან უბიძგებს ისეთი საქციელისაკენ, რომელიც საფრთხეს უქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას;
- რეკლამას უწევს გარემოსათვის პოტენციურად საზიანო ქცევას;
- ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს და კულტურულ ფასეულობებს;
- შეურაცხყოფს ან ლახავს პიროვნების ან სოციალური ჯგუფის რელიგიურ თუ პოლიტიკურ შეხედულებებს;
- პროპაგანდას უწევს შეუწყნარებლობას ეთნიკური, რელიგიური, ან სხვა ნიშნით;
- შეიცავს ძალადობას ან პორნოგრაფიას;
- შეიცავს ცილისწამებას ან შეურაცხყოფას;
- რეკლამას უწევს არალეგალურ პროდუქციას ან მომსახურებას;
- არ არის ქართულ ენაზე (არ არის თარგმნილი ქართულად ან არ ახლავს ქართული სუბტიტრები);
- რეკლამას უწევს სსმ-ის უშუალო კონკურენტ სამაუწყებლო კომპანიას;
- მოწოდებულია კლიენტის მიერ, რომელსაც მაუწყებლის დავალიანება ან მაუწყებელთან სასამართლო დავა აქვს;
- არ აკმაყოფილებს მაუწყებლის ტექნიკურ სტანდარტებს.

21.2 რეკლამირება და პოპულარიზაცია

სსმ-ის გადაცემები რეალურ ცხოვრებას ასახავს და შესაბამისად, მასალები დროდადრო კომერციული პროდუქტების, ორგანიზაციების, სხვადასხვა სახის მომსახურების შესახებ მზადდება. ასეთმა გადაცემამ არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ სსმ რომელიმე პროდუქციას, მომსახურებას ან კომპანიას უწევს რეკლამას. **სსმ-ის გადაცემები არ უნდა შეიცავდეს პროდუქტის, მომსახურების ან მწარმოებლის თუ კომპანიის რეკლამირების ან პოპულარიზაციის რაიმე ღია ან ფარულ ელემენტს, რათა მაუწყებლის მიუკერძოებლობა არ შეილახოს.**

საინფორმაციო გამოშვებებში დაუსაბუთებლად არ ახსენოთ კონკრეტული კომპანია, პროდუქცია ან მომსახურება. კომერციაზე ორიენტირებულ ერთსა და იმავე სიუჟეტს დროის მოკლე მონაკვეთში რამდენიმე გადაცემაში ნუ გაუშვებთ. წამყვანებს, ჟურნალისტებს და გადაცემაზე მომუშავე სხვა პერსონალს არ უნდა ჰქონდეთ მატერიალური დაინტერესება იმ კომპანიაში, რომლის შესახებაც სიუჟეტს ამზადებენ.

კომერციულ პროდუქციასა თუ კომპანიაზე სიუჟეტის მომზადებისას გაითვალისწინეთ შემდეგი წესები:

- დაუსაბუთებლად ნუ ახსენებთ და/ან აჩვენებთ კომპანიის სახელს და სავაჭრო ნიშანს;
- ნუ შეაჩერებთ კადრს კომპანიის დასახელებაზე ან სავაჭრო ნიშანზე და ნუ ახსენებთ მას ხშირად, თუ ამას გადაცემის შინაარსი არ მოითხოვს;
- ნუ დაასახელებთ პროდუქტებს საბავშვო გადაცემებში;
- სარეკლამო კომპანიის მასალები გამოიყენეთ მხოლოდ სარედაქციო დასაბუთების შემთხვევაში.

21.3 პროდუქციის და მომსახურების მიმოხილვა

მომხმარებლისთვის მომზადებული გადაცემები ხშირად პროდუქციის და მომსახურების მიმოხილვას ეძღვნება. რაიმე კონკრეტულ პროდუქტზე ან მომსახურებაზე საუბრისას ნუ შემოიფარგლებით მხოლოდ ერთი მომწოდებლით ან მწარმოებლით. ეს შეიძლება პოპულარიზაციად ჩაითვალოს. აღნიშნეთ სხვა მომწოდებლები ან მწარმოებლები, ახსენეთ მათი კონკურენტი პროდუქცია და მომსახურება (მაგალითად, თუ გადაცემა დასვენებასა და მოგზაურობას ეხება, ახსენეთ სხვადასხვა ტურისტული სააგენტო). ამავე დროს, ნუ მისცემთ აუდიტორიას რჩევებს, სად და როგორ შეიძინოს ესა თუ ის პროდუქტი. პროდუქციის შენახვის წესი მხოლოდ სარედაქციო თვალსაზრისით გამართლებულ შემთხვევებში აღწერეთ. პროდუქციის მიმოხილვისას არ უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ სსმ ამა თუ იმ პროდუქციის რეკლამირებას ან პოპულარიზაციას ეწევა.

21.4 პროდუქციის განთავსება

პროდუქცია ან მომსახურება არ უნდა დასახელდეს ეთერში და არ უნდა გამოჩნდეს ეკრანზე რაიმე თანხის ან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. ამას „პროდუქციის განთავსება“ ეწოდება.

დაუშვებელია სსმ-ის ეთერში პროდუქციის განთავსება. პროდუქციის განთავსებად არ ჩაითვლება:

- უფასოდ ან ფასდაკლებით შესყიდული პროდუქციის ან მომსახურების მოხსენიება, როდესაც ეს პროდუქცია განთავსებულია პროგრამაში სათანადო სარედაქციო დასაბუთების საფუძველზე;
- გადაცემის ბოლოს, ტიტრებში, პროდუქციის ან მომსახურების მომწოდებლის მოკლე აღნიშვნა. ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემაში პროდუქციის დასახელება სხვა მხრივ ნახსენები ან ასახული არ არის.
- პროდუქციის ან მომსახურების ასახვა შეძენილ პროგრამებში, რომლებიც უცხოეთშია დამზადებული, ან კინოფილმებში.

21.5 ეთერში მომუშავე ჟურნალისტები და წამყვანები

ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებისა და წინასაარჩევნო დებატების წამყვანებს და ჟურნალისტებს ეკრძალებათ ნებისმიერი ტიპის რეკლამაში მონაწილეობა.

სარედაქციო გადაწყვეტილების საფუძველზე გამონაკლისი შესაძლოა დაიშვას ჰუმანიტარული ორგანიზაციების რეკლამების შემთხვევაში. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება იმ რეკლამებში მონაწილეობაზე, რომლითაც თავად მაუწყებლის პოპულარიზაციას ხდება.

21.6 პროგრამების სპონსორობა

კანონმდებლობით ნებადართულია სპონსორების მიერ სსმ-ის პროგრამების დაფინანსება. **აკრძალულია სპონსორის მიერ გადაცემის შინაარსსა და ხანგრძლივობაზე ზემოქმედება ან მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობაში სხვაგვარად ჩარევა.**

დაუშვებელია გადაცემის მოსამზადებლად დაფინანსების მიღება ადმინისტრაციული ორგანოს ან მისი წევრის/მოხელის, პოლიტიკური პარტიის ან მისი ლიდერის თუ თანამდებობის პირის, პოლიტიკურ პარტიათა კოალიციის, ბლოკის ან საარჩევნო სუბიექტისგან, ასევე, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირისგან, რომლის ძირითადი საქმიანობა ისეთი საქონლის წარმოება ან მომსახურების მიწოდებაა, რომლის რეკლამირებაც აკრძალულია საქართველოს კანონით რეკლამის შესახებ.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, არ უნდა მიიღოს დაფინანსება ისეთი ორგანიზაციებისგან, რომელთა ინტერესები ან საქმიანობა ეჭვქვეშ დააყენებს სსმ-ის ობიექტურობას. შესაფერისი სპონსორები შეიძლება იყვნენ საზოგადოებრივ საწყისებზე დაფუძნებული ორგანიზაციები, საქველმოქმედო ფონდები ან მოხალისეები, საერთაშორისო ორგანიზაციები. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, რათა დაცული იყოს სსმ-ს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპები. ასეთმა გადაცემებმა ხელი არ უნდა შეუწყოს სპონსორის პოპულარიზაციას.

იკრძალება შემდეგი სახის პროგრამების სპონსორობა:

- ა) ახალი ამბების პროგრამები (გარდა სპორტული მიმოხილვისა და ამინდის პროგნოზისა, თუ ისინი ცალკე პროგრამის სახით გადაიცემა);
- ბ) რეპორტაჟები სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე;
- გ) პროგრამები მომხმარებელთა უფლებების შესახებ, საარჩევნო ან საარჩევნო კამპანიასთან პირდაპირ დაკავშირებული პროგრამები.

გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, ყოველთვის აღნიშნეთ გადაცემის დაფინანსების წყარო. სპონსორის მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებულ პროგრამაში სპონსორი მიუთითეთ პროგრამის დასაწყისში და/ან დასასრულს. ეს მითითება უნდა იყოს მოკლე და მკაფიო, ყოველგვარი პოპულარიზაციისა და რეკლამის ელემენტების გარეშე.

22 ინტერნეტა კონფლიქტი

22.1 პირადი საქმიანობა და ინტერნეტა კონფლიქტი

სსმ-ის ჟურნალისტებმა, წამყვანებმა, პროდიუსერებმა და სხვა პასუხისმგებელმა პირებმა თავიანთი საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ სხვა არასამაუწყებლო საქმიანობით, ფინანსური ან

საინვესტიციო ინტერესებით, ეჭვქვეშ არ უნდა დააყენონ მაუწყებლის მიუკერძოებლობის და სამართლიანობის პრინციპები.

სსმ-ის თანამშრომელს სრული უფლება აქვს, ჩაერთოს ნებისმიერ საქმიანობაში, მაგრამ ამ საქმიანობამ არ უნდა წარმოქმნას ინტერესთა კონფლიქტი. პირად საქმეში თანამშრომელმა მაუწყებლის სახელი არ უნდა გამოიყენოს და პირადი შეხედულებები მაუწყებლის პოზიციად არ უნდა წარმოჩინოს.

22.2 ინტერესთა კონფლიქტის გაცხადება

თუ თანამშრომელს საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან შეიძლება წარმოიშვას ასეთი კონფლიქტი, იგი ვალდებულია ამის შესახებ მაუწყებლის ხელმძღვანელობას აცნობოს. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად მაუწყებელმა და თანამშრომელმა ყველა სათანადო ზომა უნდა მიიღონ. ვითარებიდან გამომდინარე, თანამშრომელს შესაძლოა გარკვეული საკითხების გაშუქებაზე უარის თქმა ან სხვა სამსახურის შესრულება მოუწიოს.

22.3 პოლიტიკურ ან პროფესიულ ორგანიზაციებში გაერთიანება

სსმ-ის ნებისმიერ თანამშრომელს სრული უფლება აქვს, გაერთიანდეს პოლიტიკურ, პროფკავშირულ ან ნებისმიერ პროფესიულ ორგანიზაციაში. მაგრამ **თანამშრომლის პოლიტიკური ან სხვა საქმიანობა არ უნდა უშლიდეს ხელს საზოგადოებრივ მაუწყებელში სამსახურებრივი მოვალეობებისა და ვალდებულებების ობიექტურად შესრულებას და ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს მაუწყებლის მიუკერძოებლობას.**

თუ სსმ-ის თანამშრომელი აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკაში, იქმნება საფრთხე, თანამშრომლის პოლიტიკური მოსაზრება მაუწყებელს მიეწეროს. მაუწყებლის თანამშრომელმა, რომელიც ეწევა საკუთარ პოლიტიკურ საქმიანობას, მაუწყებლის ნეიტრალობა არ უნდა შელახოს:

- პოლიტიკური კანდიდატების ან პოლიტიკური პარტიისადმი სიმპათიის საჯაროდ გამოხატვით;
- პოლიტიკური პარტიისათვის თანხების მოსაზიდ და სხვა პოლიტიკურ აქციებში ან პარტიის მხარდამჭერ საქმიანობაში მონაწილეობით.

თუ სსმ-ის თანამშრომელი აპირებს, კენჭი იყაროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საჯარო ორგანოს არჩევნებში, მან დროულად, კანდიდატურის წარდგენამდე, უნდა აცნობოს მაუწყებელს ამ განზრახვის შესახებ. არჩევნებში მონაწილეობისათვის ასეთ თანამშრომელს უხელფასო შვებულება მიეცემა. არჩევნებში მონაწილე თანამშრომელს ეკრძალება წინასაარჩევნო პერიოდში სსმ-ის პროგრამებში გამოჩენა, გარდა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული გადაცემებისა (მაგალითად, დებატებში, პოლიტიკურ რეკლამაში). ამ პერიოდში თანამშრომელს ეკრძალება შეასრულოს პროდიუსერის, ჟურნალისტის ან წამყვანის ფუნქცია.

თანამშრომელი იმ დღესვე დატოვებს მაუწყებელს, როდესაც ოფიციალურად არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდება. თუ თანამშრომელმა ვერ გაიმარჯვა არჩევნებში და მაუწყებელში გააგრძელა მუშაობა, იგი შეიძლება სხვა თანამდებობაზე დაინიშნოს, თუ კომპანიის ხელმძღვანელობა ჩათვლის, რომ თანამშრომლის ძველ პოზიციაზე დაბრუნება ეჭვქვეშ დააყენებს მაუწყებლის მიუკერძოებლობას.

22.4 ოჯახი და ინტერესთა კონფლიქტი

მაუწყებლის თანამშრომლის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს სრული უფლება აქვთ, ეწეოდნენ აქტიურ პირად და პროფესიულ ცხოვრებას. ოჯახის წევრებს არ მოეთხოვებათ ისეთივე სტანდარტების დაცვა, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს.

ოჯახის წევრის ლეგიტიმურმა (სამოქალაქო, პოლიტიკურმა, პროფესიულმა ან ფინანსურმა) საქმიანობამ მაუწყებლის თანამშრომლისთვის შეიძლება ინტერესთა კონფლიქტი წარმოშვას. მაუწყებლის ხელმძღვანელობას უნდა აცნობოთ ნებისმიერი სახის ოჯახური ბიზნესის, პოლიტიკური ან საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს თქვენი და მაუწყებლის ნეიტრალობა და ობიექტურობა. **ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, თანამშრომლებმა არ უნდა გააშუქონ ოჯახის წევრების და ახლო ნათესავების საქმიანობა.**

22.5 თანამდებობის გამოყენება

დაუშვებელია მაუწყებლის საკუთრების (შენობა, ტექნიკა, მარაგები) ან მაუწყებელში დაკავებული თანამდებობის პირადი ინტერესებისათვის გამოყენება.

დაუშვებელია მაუწყებელში დაკავებული თანამდებობის გამოყენება ისეთი ინფორმაციის მოსაპოვებლად, რომელიც არ არის საჯარო. დაუშვებელია კომპანიის ლოგოიან ქალაქზე კერძო საჩივრის დაწერა. დაუშვებელია მაუწყებელში მუშაობის დროს ან კომპანიიდან წასვლის შემდეგ, იმ კონფიდენციალური ინფორმაციის პირადი მიზნებისათვის გამოყენება, რომლის დაცვაც თანამშრომელს ევალებოდა.

22.6 კონკურენტ მედია საშუალებაში გამოჩენა და მონაწილეობა

თანამშრომლებს ეკრძალებათ მაუწყებლის კონკურენტ ორგანიზაციაში ანაზღაურებით ან უსასყიდლოდ მუშაობა; ასევე, ეკრძალებათ კონკურენტი ორგანიზაციის რაიმე პროექტზე მუშაობა. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მაუწყებლის ხელმძღვანელობის თანხმობის შემთხვევაში.

მაუწყებლის წინასწარი თანხმობით, შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ კონკურენტი მაუწყებლის სატელევიზიო და რადიოგადაცემებში:

- ფაქტბთან დაკავშირებულ გადაცემაში;
- საკუთარ პუბლიკაციაზე ან მეცნიერულ ნაშრომზე მომზადებულ გადაცემაში;
- ლოკუმენტურ ან საგანმანათლებლო გადაცემაში;
- გასართობ გადაცემაში.

მაუწყებლის ნებართვის გარეშე, არ იმუშავოთ დამოუკიდებელ რეპორტიორად სხვა კომპანიაში. დამოუკიდებელ ჟურნალისტობაზე თანხმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელი არაა დაინტერესებული კონკრეტული ამბით და იგი ისეთი მედია საშუალებით ვრცელდება, რომელიც არ არის მაუწყებლის უშუალო კონკურენტი. ჟურნალისტმა არ უნდა მიიღოს ისეთი დამოუკიდებელი შეკვეთა ან ჰონორარი, რომელიც შეიძლება შენიღბულ ქრთამად ჩაითვალოს.

22.7 საქმიანობა მაუწყებლის გარეთ

პარალელურად სხვა სამსახურში მუშაობამ და მაუწყებლის გარეთ სხვა საქმიანობამ არ უნდა შეაფერხოს ან იქონიოს უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ მაუწყებელში თქვენი საქმიანობის ეფექტიანობაზე.

სხვა სამსახურში მუშაობის დროს, არ იმოქმედოთ, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელმა, თუ ამის ნებართვა წინასწარ არა გაქვთ მაუწყებლის ხელმძღვანელობისგან მიღებული.

დაუშვებელია, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების საქმიანობაში ჩართვა.

სავალდებულოა აცნობოთ თქვენს უშუალო უფროსს, როდესაც აპირებთ:

- ჩვენება მისცეთ სასამართლოს;
- უხელმძღვანელოთ პროფესიული ან კომერციული ორგანიზაციის მიერ მოწოდებულ საჯარო ფორუმს ან სემინარს;
- ჩაერთოთ ისეთ საქმიანობაში, რომელიც სავარაუდოდ წინააღმდეგობაში მოვა თქვენს პროფესიულ მოვალეობასთან;
- უხელმძღვანელოთ საჯარო პოლიტიკურ ფორუმებს ან გამოჩნდეთ პოლიტიკურ პლატფორმაზე.

არ გამოხვიდეთ მოხსენებით, სიტყვით, ლექციით ისეთი ჯგუფების წინაშე, რომელმაც შეიძლება თქვენი მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დააყენოს. ეს შეიძლება მოხდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც თქვენი გამოსვლა შეიძლება რომელიმე ორგანიზაციის ან ჯგუფის მიზნების მხარდაჭერად იქნეს აღქმული.

ზემოაღნიშნული წესებიდან შეიძლება გამონაკლისის დაიშვება თუ ამით არ შეილახება მაუწყებლის მიუკერძოებლობა.

22.8 საჩუქრები, სარგებელი, შეღავათები

დაუშვებელია, ჟურნალისტმა აიღოს თანხა ან მიიღოს ნებისმიერი სხვა სახის მატერიალური სარგებელი რესპონდენტისგან მისი საქმიანობის ამსახველი მასალის ან ინფორმაციის ეთერში გადაცემისთვის.

დაუშვებელია, ჟურნალისტმა მიიღოს საჩუქარი ან სხვა სახის სარგებელი თუ შეღავათი (მაგალითად, უფასო საგზური, ბილეთი ან ძვირადღირებული ნივთი) კომპანიისგან, ორგანიზაციისგან ან ინდივიდისგან მათ შესახებ მომზადებული მასალის ისე შესაცვლელად, რომელიც დაარღვევს სიზუსტის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

თავაზიანობის სიმბოლური გამოხატულებისა და ტრადიციული საქმიანი სადილების გარდა, სამაუწყებლო კომპანიის თანამშრომლებმა უარი უნდა განაცხადონ ნებისმიერ ასეთ შემოთავაზებაზე. იშვიათ შემთხვევებში, მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით, შეიძლება ჟურნალისტმა მიიღოს გარკვეული შეღავათი. მაგალითად, ფასდაკლება თვითმფრინავის ბილეთზე, უფასო ბილეთი წარმოდგენაზე, უფასო ტრანსპორტირება და სასტუმრო, და ა.შ. ასეთმა შეღავათმა არ უნდა იმოქმედოს საკითხის ობიექტურად გაშუქებაზე.

დაუშვებელია საეჭვო ხასიათის შემოთავაზების მიღება. ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ მაუწყებლის ხელმძღვანელობას.

23 საჩივრების ბანხილვა

მაუწყებელმა დაუფარავად და ობიექტურად უნდა გააშუქოს მასთან და მის პერსონალთან დაკავშირებული საკითხები.

მაუწყებელი ვალდებულია, ყურადღებით გაეცნოს საზოგადოებისგან შემოსულ ყველა საჩივარს და სათანადო დროში გასცეს თავაზიანი პასუხი.

თუ საჩივარში გამოთქმული პრეტენზია საფუძვლიანია, დაუყოვნებლივ გაასწორეთ დაშვებული შეცდომები.

24 კონსულტაცია

ჟურნალისტებმა, პროდიუსერებმა, ტელე და რადიოგადაცემების შემქნელებმა უნდა აცნობონ შესაბამისი რედაქციის ხელმძღვანელებს თავიანთი სამუშაოს შესახებ და კონსულტაცია გაიარონ ისეთ საკამათო საკითხებზე, რომლებსაც საზოგადოების მხრიდან შეიძლება სერიოზული რეაგირება მოჰყვეს.

მწვავე საკითხების გაშუქებისას, კონსულტაცია გაიარეთ როგორც თქვენს უშუალო ხელმძღვანელთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფთან და, საჭიროების შემთხვევაში, იურიდიულ დეპარტამენტთან, რომ არ დაირღვეს პროფესიული სტანდარტები და ეთიკური პრინციპები. ასეთი კონსულტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება აუდიტორიის ნდობის მოპოვების გარანტიაა.